ლიტერატურული გაზეთი

№77 22 ივნისი - 5 ივლისი 2012 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 50 თეთრი



ჯარჯი ფხოველი

IV-V

დათო ქარდავა

VI-VII-XVI

ნინო გუგეშაშვილი

IX

გიორგი კეკელიძე

VIII

ტადეუშ დაბროვსკი

XV

როსტომ ჩხეიძე

ანბანივით — მიწის ენა

ლია სტურუას სილუეტი

— ჩემს ხალხით სავსე სიმარტოვეში.

მწარე განცდაა.

მწარეზეც მწარე.

მაგრამ რეალობასაც სად წაუხვალ, თუკი მის შეფერადებას ოდნავადაც არ ცდილობ, და თავის მოტყუებაც საძრახისად მიგაჩნია.

რეალობა კი ყოველთვის მკაცრია, როცა ღმერთსაა მოკლებული.

* * *

რა შეიძლება გაუზიარო ადამიანებს სამძიმრის მეტი, როცა ცხოვრება ცის გარეშე მიედინება და მითუმეტეს, ვარსკვლავების?!.

აქ, ამ გაუცნაურებულ სინამდვილეში აღარავინ იხედება ზეცისაკენ და ეგებ აღარც ახსოვთ მისი არსებობა.

და თუმც ქალაქს არ მოსწონს, როცა წითლად იღებება და ტკივილისგან იგრიხება მისი ქუჩები, თავდაღწევის გზაც ვერ გამოუნახავს რაკიღა ჩალუსკუმებულ რეალობაში აღარსად კრთის და ციმციმებს ვარსკვლავთა ანარეკლი და ციდანაც არავითარი ხმა აღარ მოისმის, რათა ხანდახან მაინც აგახედოს იქ და მოგანდომოს მასთან შემაკავშირებელი ძაფების ძიება... ოდინდელის, მიბინარებულის...

მათთან და... ერთმანეთთანაც, რადგანაც სამყაროს ჰარმონია და კანონზომიერება ამას და მხოლოდ ამას მოითხოვს, რომ არ დაირღვეს კავშირი ადამიანისა ცასთან, მიწასთან, მცენარესთან, ცხოველთან და... ადამიანთან, რაც ყველაზე მეტად გაძნელებულა, რადგანაც ცხოვრება გამარტივებულა, გაერთმნიშვნელიანებულა და სულიერი ძაფებიც ისე გაფერმკრთალებულა, რომ ვეღარც დაგიბეჯითებია, კვლავაც შემორჩენილა თუ... სულაც უკვალოდ გამქრალა...

და მაშინ შეგუებითაც შეგუებულხარ, რომ ყოფა ცის გარეშე მიედინება და, მითუმეტეს, ვარსკვლავების.

ეს ის ტრაგიზმია, რომლის შუაგულშიც მოქცეულან ლია სტურუაც და მისი ლირიკული გმირიც, რომელიც ბევრი ნიშნით იმეორებს ავტორის სულს, მაგრამ ხან კიდეც სცილდება მას და ეს დაცილება შესაძლოა ჭიდილადაც გადაიზარდოს, რაც ბუნებრივია იმ მშფოთვარე, აფორიაქებული, დრამატული, უკიდურესად დაძაბული ნერვების ზღვარზე მყოფი პოეტური სამყაროსათვის, ლია სტურუას ლექსები რომ შემორკალავს, კლასიკური ლექსწყობის რღვევითა და სიურეალისტურ ხილვა-ზმანებებით აღბეჭდილს, და იმ ნისლეულში ჩაძირულს, გალაკტიონური „გამჭვირვალე ბლონდებით“ რომ შემოგარსულა და ხან მიღმაც გადადის, მაგრამ ეს რღვევაც, ეს გულისჭიდილიც და ეს ნისლეულობაც მწვავე წყურვილი და მონატრებაა კლასიკური ჰარმონიის, რომლის სრულყოფილ გამომხატველადაც და სახე-სიმბოლოდაც თანადროულ სინამდვილეში გალაკტიონი წარმოუდგება და მისი ამაღლებული ხატი ასე ხშირად ამიტომაც გაიელვებს ლექსიდან ლექსში და სტრიქონიდან სტრიქონში.

და კიდევ ვაჟა-ფშაველას ლანდი, იმ ვაჟასი, რომელიც გალაკტიონივით გამჭვირვალე მინიშნებით კი არა, უშუალოდაა მოხსენიებული წინამორბედად („როგორი მასწავლებელი მყავდა?“), ხოლო იმისი მინდიასებური სული — ამ თავისებური მხატვრული სამყაროს პირველბიძგად თუ პირველსაფუძვლად.

— ანბანივით მასწავლა მიწის ენა.

და ამიტომაც დაერქმია თავისი პირველი პოეტური კრებულისათვის „ხეები ქალაქში“.

ურბანისტული გარემო წარმოისახებოდა ამ კრებულში — პეიზაჟიც ქალაქური გახლდათ და ლირიკული გმირიც ამ რეალობის შვილი, ვისთვისაც ბუნება თითქოს ძალზე შორეული და ბუნდოვანი სივრცეღა იყო, მეხსიერების სიღრმეში ჩალექილი... მაგრამ ამ ზერელე, გარეგნული შთაბეჭდილების მიღმა იფარებოდა მისი მონატრების ის განცდა, რომელიც თანდათან დაუოკებელ წყურვილად უნდა გარდაქმნილიყო.

ხეები ქალაქში პოეტისათვის არ აღიქმებოდა დეკორაციად თუ ბუნების ილუზიად, არამედ — შემაერთებელ ძაფებად ქალაქსმიღმა სამყაროსთან, ეს ძაფები კი ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სინამდვილეს მოჰქონდა, განმტკიცებითაც ის განამტკიცებდა და გზასაც მიჰკვალავდა იმ ჰარმონიისაკენ, რომლის გადმონერგვასაც ასე ესწრაფოდა ლირიკული გმირი თავის სულში, რათა პოეტური ხილვები და წარმოსახვანი ამ საწყისით გაეჯერებინა.

„ხეები“ ქალაქში, როგორც კრებულის სახელწოდება და როგორც მისივე შინაგანი ხატი, გადაჭდობოდა ლია სტურუას ჯერაც გაუმხელელ წადილს ჰარმონიასთან ზიარებისა, და თავიდან ვერც მივუხვდებოდით, ეს თვითაღიარება რომ არა: ვაჟამ მასწავლა ანბანივით მიწის ენაო.

მერე და მერე კი ჩვენითაც ვივარაუდებდით, რაკიღა ვაჟას ლანდი ასე მოუცილებლად გამოჰყვებოდა მის პოეზიას.

რაღა მისი და რაღა გალაკტიონის ლანდი, იმ გალაკტიონის, ვინც უკუღმართად თითქოს ყირაზე იდგა და ტერფებით აკავებდა ცის ჩამოქცევას. ზეცა ხომ მხოლოდ ვარსკვლავთა საუფლო არაა, ის შესაძლოა ჩამოსაქცევადაც გაემზადოს და ამ საფრთხეს კი ვინ იგრძნობს უკეთ, თუ არა იგი, ვისთვისაც მიწაზე არანაკლებ მშობლიურია ეს სივრცე და მოუბეზრებლად მისჩერებია მის კაბადონს — მზით გადაბრდღვიალებულსაც, მაგრამ უფრო მაინც მთვარის ნათელსა და ვარსკვლავთა ციმციმში ამოვლებულს.

და მის გადმოშვებას ფანჯრიდან ლია სტურუა ვერც ვერასოდეს აღიქვამდე თვითმკვლელობად, და, კაცმა რომ თქვას, ეს გადმოშვებაც არა ყოფილა, არამედ — გადასვლა, და ესეც იმიტომ, რომ:

— ფანჯარა უფრო ახლოს იყო ცასთან, ვიდრე კარები.

ძალიან დიდ განზოგადებას მიაღწევდა გალაკტიონის ლანდი, ილიას მოხუცის სიმბოლომდეც ამაღლდებოდა და, საქართველოს უკვდავ სულად გარდასახული, ძალდაუტანებლად მოიყოლებდა ამ უკიდურესად დრამატულ ხილვებსაც:

გახსოვს, იყო ასეთი ქვეყანა
საქართველო, რომელიც
მეხსიერებაში მაინც თუ არ შევინახეთ,
გადმოხტება საავადმყოფოს
ფანჯრიდან
და ვეღარ დავეწევით...

მეხსიერებაში თუ მაინც არ შევინახეთო...

როგორ გაშიშვლებულა ტრაგიზმი, რაკიღა მოჩვენებითობის საბურველი დაუნდობლად ჩამოფხრეწილა და აღარ გიტოვებს პოეტი საშუალებას, რომ ილუზიებით გაიბრუო თავი და კვლავაც გეგონოს, რომ ქვეყანა თავისთავადაც გადარჩება, ხელის შეუშველებლად... და რომ უფალი ისედაც არ გასწირავს...

მაგრამ ღმერთი რატომ გამოიდებს თავს, თუკი ხელიც ვერ გაგინძრევია და, უღონობასა და სასოწარკვეთში ჩანთქმულს, თვალებიც კი ვეღარ აგიპყრია ზემოთ.

გახსოვს, იყო ასეთი ქვეყანა!..

ხსოვნით... ხსოვნით თუ მაინც გახსოვს...

და ამ მყიფე ძაფზე თუ მაინც ჰკიდია ჯერჯერობით, და ვაივაგლახით ინარჩუნებს თავს, ვიდრე ეს წვრილი ძაფიც გაწყდებოდეს.

და თუკი ჯერ მაინც შენარჩუნებულია, ეს იმიტომ, რომ ისტორიიდან ამოგაქვს სახელები, გუშინ მოკლულთა, გუშინ გასვენებულთა, უკვე ვარსკვლავებად რომ გადაქცეულან, მაგრამ... მაგრამ ვაითუ დაირღვეს სულიერების უწყვეტობა.

კი მაგრამ, რატომ, დღეს ხომ მეტი კვდება?

ეგაა:

— ვარსკვლავებად ვერ იქცევიან.

განა რა მოხდა ამისთანა, რა უშლის ხელს აქამდე უწყვეტი ციკლური პროცესის კვლავინდებურად გაგრძელებას?

— რადგან ცა აღარა აქვს ქალაქს.

უზეცაო ქალაქი კი რაღა ქალაქია. ანუ ის არის, სამძიმრის გარდა სხვა სათქმელი რომ აღარ დაგრჩენია და მიედინება ცხოვრება უვარსკვლავებოდ.

ანბანივით მასწავლა მიწის ენაო...

თანდათანობითი შესწავლისას ხელშესახებად განიცდიდა, რომ იმ პატარა, აკაციებიან ქუჩაზე, სადაც თვალს გამოახელდა ამქვეყნად, ხეებს ხმაურისაგან ჯერ არა სტკიოდათ თავი და არც მისი მფარველობა სჭირდებოდათ.

ეს დროც დადგებოდა და ურბანისტულ გარემოში ხეთა არსებობას პოეზია მოევლინებოდა დამცველად და მანუგეშებლად, ხოლო ლია სტურუას სწრაფვა მინდიას სულთან ზიარებისათვის, ამ განცდაში ჩაიწურებოდა, თავდაპირველად გაუცნობიერებელში, მოგვიანებით ლიტერატურულ ფორმულადაც რომ უნდა ჩამოყალიბებულიყო:

— მე ვაჟა-ფშაველას შვილი ვიყავი.

„მოკლე ავტობიოგრაფიაშია“ ჩართული ეს ლიტერატურული ფორმულა, თავისებურ პოეტურ აღსარებაში, ავტოპორტრეტის ზოგად ნაკვთებად რომ წარმოდგება. პოეტებს სჩვევიათ იმგვარ ავტოპორტრეტთა წარმოსახვა, ხან სრულიადაც რომ დაცილებია რეალურ ხატს, ხან კი ნაწილობრივ მაინც. ეს ზოგჯერ წინასწარი განზრახვითაც მომხდარა, სხვადასხვა არალიტერატურულ გარემოებას რომ უბიძგებია საამისოდ, და ზოგჯერ უნებლიე ცთომილებითაც, შემოქმედს მთლად სწორად რომ ვერ ამოუხსნია საკუთარი სული და ხან ილუზიებს გამოდევნებია და ხან თამაშში გართულს ბავშვური ჟინიანობაც შემოპარვია.

ეს ის ვითარებაა, რომელიც გვავალებს ადვილად არ ვენდოთ ავტობიოგრაფიებსა თუ ავტოპორტრეტებს და მათ ქარგაში ხან ძალზე შორეული ანარეკლი ვეძიოთ და ხან ისიც არა.

და ამ ფონზე ლია სტურუას პოეტური აღსარება მართლაც მისი ბიოგრაფიის ზოგადი მონახაზია, მისი პორტრეტის რელიეფური შტრიხები.

გავყიდე სიტყვა,
ვიყიდე ლაჟვარდი.

ესეც ამ ავტობიოგრაფიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფეხური, რომელიც ძალდაუტანებლად უნდა გაგრძელდეს ამ ლაჟვარდის ჩუქებით შვილისათვის და იმ თხოვნით, რომ მანაც თავის შვილს ხეებთან ლაპარაკი ასწავლოს.

და კიდევ ერთი საფეხურია — გაჭედილ ლიფტში ფიქრი ზღვაზე და ეს ხომ ის ზღვაა, რომელიც შესაძლოა ჩაკეტილიც იყოს. ჩაკეტილი ზღვის ხატიც ნიშანდობლივია ლია სტურუას პოეტური აზროვნებისათვის, რომლის რთული სახეობრივი სისტემაც ის გარსია, ადვილად რომ არ განებებს ამ ორიგინალურ მხატვრულ სამყაროში შეღწევას, გარეგნულად ასერიგად მიმორღვეულში, მაგრამ იქ, სიღრმეში შინაგანი წესრიგი რომ სუფევს, მოდერნისტული ძიებებისთვისაც არანაკლებ აუცილებელი, თუკი ეს ძიებანი სრულფასოვანია და ნაყოფი პოეტურ მიდრეკილებათა ბუნებრიობის, და არა მოდური გატაცებების, რაც ვერლიბრსაც — საერთოდაც და მის ქართულ განშტოებასაც — ავად და მწარედ დააჩნდებოდა.

ქართული თავისუფალი ლექსის დამფუძნებლად საკუთარ თავს გამოაცხადებდა გალაკტიონი, თუმც ცოტათი მაინც იუხერხულებდა ამ თვითგამოცხადებას და... აღიარებდა, რომ წინამორბედებიც ჰყავდა და მთლად ცარიელ ადგილას არ შედგომოდა სიახლის დამკვიდრებას. მართლაც დამწყები თუ არა, გამგრძელებელი ხომ მაინც გახლდათ, ამ სტილისაც მარჯვე გამომყენებელი ჩინებულ ნიმუშთა შემქმნელი, მოგვიანებით ამავე ნაკადს უფრო თავგამოდებული ადეპტებიც რომ გამოუჩნდებოდნენ, თავიანთ უპირველეს მოვალეობად ქართული თავისუფალი ლექსისათვის მოქალაქეობის საბოლოო დამკვიდრებას რომ მიიჩნევდნენ.

ერთი უპირველესთაგანი ამ მხრივ ლია სტურუა აღმოჩნდებოდა, იმგვარი სულიერი წყობით, ძალდაუტანებლად რომ ეთვისებოდა ლექსის ამ ნაირსახეობას და, ფრანგულ სიურეალიზმთანაც რომ იგრძნობდა შინაგან საერთოს, იმ სტილისტიკასაც ისე მარჯვედ მოიხმობდა და გადაადნობდა თავის სულიერ ქურაში, საკუთარ ხმას შეუზავებდა და ჩამოქნიდა დახვეწილ ფორმას, რომელიც ზეგავლენას მოახდენდა ჩვენს სამწერლო პროცესზე და მიმდევრებსაც გაიჩენდა. იმათ ხელში ეს რთული სახეობრივი სისტემა გამარტივდებოდა და გაადვილდებოდა, რაკიღა მიბაძვა ყოველთვის ზედაპირის სესხება-გამეორებას გულისხმობს, და მკითხველისათვის ის უფრო იოლი აღსაქმელიც აღმოჩნდებოდა, მაგრამ ვერაფერი ვერასოდეს შეცვლის ორიგინალს, ნამდვილს, პირველსათავეს, ღრმა და ათასფერადი ასოციაციებითაც რომ გაჯერებულა, მაგრამ ეს ასოციაციებიც ბუნებრიობის ძაფზე ასხმულან, ლია სტურუას ორიგინალურ კამერტონზე და ამიტომაც მოშინაურებულან.

გავყიდე სიტყვა, ვიყიდე ლაჟვარდიო...

ამ მხატვრულ გარემოში ლირიკული გმირის სწრაფვას ხან ჯაგლაგა ცხენის სირბილიც შეიძლება გაუსიმბოლოვდეს, ხან მუშა ზმნის ტრიალიც, და ეს მაშინ, როდესაც ხედავს, თუ რა მკვეთრად და მხიარულად ჰყვავის იასამანი.

რა კარგია, რომ ჯერ კიდევ როდის შეგისწავლია იასამანთან საუბრის ენა.

ასეთ დროს ეგებ დაღლილობაც იგრძნო სიძლიერით და გენატრებოდეს ვიღაცის მზრუნველი ხელი, ჩრდილის რამდენიმე ფრთას რომ გთავაზობდეს, თორემ ნარინჯისფერი გუნდები ისედაც იმღერებენ სიცხეს, პაუზებში, მელანივით, ზღვა

ესხმევათ, სადაც თავის ჩაწობა შეგეძლება და პოეტობა, ან მუდმივ კალმად გადაქცევა — პასტიანი თუ მაზუთიანი წვერით, და წერა სექსზე, მზის ლაქებსა თუ ალერგიაზე.

რაღაც გამრუდებულა თუ სულაც გამქრალა, ან რაღა რაღაც — ის ხსოვნა, ის მონატრება, მთავარი ძარღვი რაც არის და თუ არ მოეჭიდები და არ გადაარჩენ, ღმერთდაკარგული სამყაროს ქარაშოტებში, ვაითუ ისე განიმქრეს, მერე ბევრიც ითავშიცემო, უკვე ვეღარაფერმა აღგადგენინოს.

როგორ ჰგავდნენ ჩიტებს
ძველი ლითონის კალმები,
სამელნეში რომ ჩააწობდი
და პირით ამოჰქონდათ იასამანი,
რომელიც უხდებოდა
მოწყენილი სამშობლოს სახეს.

კალამმა ჩიტთან მსგავსება თუ ვერ შეინარჩუნა, მიწის ენა, ვაჟა-ფშაველასაგან ანბანივით შეთვისებული, შესაძლოა ის ილუზია გამოდგეს, პოეტურ მდინარებაში მონაწილეობის ნაცვლად მის მიღმა რომ გაგისტუმრებს, ოღონდ შენ თვითონ ამას ვერასოდეს შეიტყობ და გეგონება, რომ შუაგულში მიცურავ.

როგორ ჰგავდნენ ჩიტებსო...

აქ, ამ პოეტურ გარემოში კვლავაც ჰგვანან, და როდესაც ამ განცდით აღვსილი ლია სტურუა უკიდურესი სიმძაფრით გამოთქვამს დაპირისპირებას კლასიკური მოთხოვნებისადმი:

— დაუსრულებელი რიტმული უაზრობა, თითქოს უნიჭო, თანაბარმაცვლიანი და გარითმული სტროფის ციხეში რომ გამომწყვდეულა.

ეს ხელოვნურ არტახებთან შეუთავსებლობაა, შეუგუებლობა იმასთან, რაც მის საკუთარ ხმას ჩახშობით ემუქრება, და ამიტომაც ხდება აუცილებელი ყოველგვარი შეზღუდულობის გადალახვა და შემოქმედებითი თავისუფლების სრულყოფილად შეგრძნება.

თითქოს ზღვარზე მიაბიჯებდეს.

კლასიკურ ჰარმონიასთან ზიარებისა და განახლების აუცილებლობის ზღვარზე, თანაბარმარცვლიანი და გარითმული სტროფის ციხიდან გაქცევისაკენ რომ უბიძგებს.

და ამ ჟინით აღვსილი თუ სადმე რაიმეს გადააჭარბებდა, და სრულფასოვანი მხატვრული ძიებანი გადაჭარბებათა გარეშეც არსად და არასოდეს ყოფილა, ამ შინაგან უხერხულობასა თუ დანანებას იმით გამოასწორებდა, რომ ერთ ყველაზე კლასიკურ ფორმასაც მოსინჯავდა და მოსინჯავდა იმ წარმატებით, ქართულ სონეტს თავის ტვიფარს რომ დააჩნევდა.

ეს ის სონეტია, რომელიც აქამდეც ვიცოდით, მაგრამ... მოდერნიზმი მაინც იჭრება ლია სტურუას ტვიფარდაჩნეულ მხატვრულ ქსოვილში და გარწმუნებს, რომ ამგვარი სითამამე გამართლებულია სხვადასხვა ნაკადთა მარჯვედ მორიგების წყალობით. და ყურს შეაჩვევ ასონანსურ რითმებსაც, უჩვეულოს კლასიკური სონეტის პოეტიკისათვის, მაგრამ ბუნებრივადქცეულს სონეტის ამ ნაირსახეობისათვის, რომელიც შუა საუკუნეთა ესთეტიკის თვალსაზრისით მთლად სონეტად აღარც ჩაითვლებოდა.

არც სიტყვა მიყვარს გამაძღარი,
არც ვითარება,
ნოყიერებას, ბგერისმიერს,
დავადე ტაბუ,
აქეთ გამხდარი სტრიქონები
ყლაპავენ აბებს,
ნერვიულობენ, მაგრამ ძვალი
არ ებზარებათ.

ან:

ვუსმენდე ნაცნობ დიალოგებს,
უკვე კლასიკას,
იყოს სიმართლე, უსასრულო
და უასაკო,
მზე ყვავილს ჰგავდეს და არა სისხლს,
ტვინში გაჟონილს,
იყოს ერთობა, მაგრამ მაინც
განმარტოებით,
ჰაერის პირველ საფეხურზე იდგეს
პლატონი,
იდეალისტი, ხოლო მიწას
ჩვენ გვიტოვებდეს...

ანდა:

როგორ დამღალა წვრილმანებმა
უსახო ყოფის,
უმნიშვნელობამ, უმწეობამ,
უსახლკარობამ,
ვიტოვებ იმედს, რომ სიზმარში
გავიპარები,
ანდა კედლიდან ჟანგიანი გაისვრის
თოფი.

ან კიდევ:

ცა ვარვარებდა, აბლაბუდას
ობობა ქსოვდა,
ვეღარ ამბობდა მიწა ბალახს,
გაუწყდა ქანცი,
მზე იყო ათასსანთლიანი და
გვალვის მაცნე
და ჩემი კეფა აბრეშუმის ჩრდილს
მოითხოვდა.

ეს სტროფის ციხე „იმპრესიონისტული სონეტიდანაა“ და გიკვირს კიდეც, ამ სახელთან თუ მიმდინარეობასთან მილაციცება ხშირი რომ არ არის ამ პოეტურ სამყაროში; და თუმც მისი ცალკეული ლექსების ცალკეული წახნაგები იმპრესიონისტული განწყობილებებითა და ფერწერული მონასმებით ელვარებენ, თითქოს გაცილებით ბევრი გამჭვირვალე ასოციაცია თუ პირდაპირი სახელდება უნდა მიმოფანტულიყო გარშემო, რაკიღა სულ სხვაგვარი სულიერი სიახლოვე აკავშირებს იმპრესიონისტი მხატვრებისა და სიმბოლისტი პოეტების დროსთან და, თუკი ჰკითხავთ: დღევანდელი დროისა და შენი ქვეყნის გარდა სად და როდის ამჯობინებდი ცხოვრებასო? — დაუფიქრებლად მოგიგებთ, რომ ეს იქნებოდა პარიზი და სწორედ ეს ხანა.

და რომ სისხლხორცეულად შეიგრძნობს ამ ჟამს და პარიზი „შიგნიდან“ აქვს განცდილი, ამიტომაც წარმოგვიდგება მისი პარიზული შთაბეჭდილებანი ორიგინალურ და წარმატებულ ნიმუშად, და ეს თვით ამ უაღრესად მაცდურ თემაზე შექმნილ მხატვრულ თუ მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებათა წყებას შორის, ყველაზე გახმაურებული მაინც ერნესტ ჰემინგუეის „განუყრელი დღესასწაული“ რომ აღმოჩნდებოდა. თვით სათაურიც რაოდენ მარჯვედაა მოფიქრებული — სამუდამოდ რომ დამკვიდრდება პარიზი მკითხველის შეგნებაში მართლაც განუყრელ დღესასწაულად, განსხვავებით სხვა ქალაქებისაგან, რომლებზეც შესაძლოა არაერთი აღმატებული ეპითეტი გაგემეტოს, მაგრამ ეს — არა, რადგანაც ეს — მარტოდენ პარიზზე ითქმის.

განუყრელი დღესასწაული...

ჰემინგუეის დოკუმენტური რომანი სწორედ იმით მოახდენდა განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მკითხველზე, რომ პარიზი ორმაგი მზერით დანახულიყო: სტუმრისა და მასპინძლის, გარედან მოსულის განცდითა და იქ ერთბაშად დამკვიდრებულ-ჩაფესვილის აღტკინებით.

გარეგნულად შენც შეგეძლო გაგემეორებინა ეს ზოგადი მონახაზი, მაგრამ თუკი საკუთარ თავზე ვერ გამოცდიდი ხელშესახებად, აღიარებული წიგნის ასლი გამოგივიდოდა — ეგებ არა უღიმღამო და გარკვეული რანგისაც, მაგრამ არა იმ გამორჩეული ღირსების, ლია სტურუას „ბედნიერი სიჩუმე“ რომ მოჩანს ქართულ სალიტერატურო ცხოვრებაში და უთუოდ მოიპოვებს შესაფერის დაფასებას საერთაშორისო ასპარეზზე, ფრანგულად თუ ითარგმნება და იქიდან მთელ დასავლეთსაც გადაწვდება.

ამ მოხდენილ შესიტყვებას — ბედნიერი სიჩუმე — ავტორი გუსტავ ფლობერს დაესესხებოდა და მისი გამოყენება უკვე მიგვანიშნებს იმ შინაგან მზაობაზე, რითაც მძაფრ შთაბეჭდილებათა ლიტერატურული ვერსია იქმნებოდა, ვერსია, რომელიც სრულ თავისუფლებამდე აღარ მივიდოდა და მის სიუჟეტმოშლილ ქარგაში... სულაც კლასიციზმი ამოეფინებოდა, ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობის მიხედვით თუ განვსჯიდით. და ოთარ ჩხეიძე კიდეც დაიდასტურებდა ამ მიმდინარეობის ხელშესახებ გამონაკრთომს ამ თხზულებაში, მოხდენილად შერწყმულს მოდერნისტულ ძიებებთან; საერთოდ კი ამ ვითარების არსებობას იგულისხმებდა ლია სტურუას შინაგან მოთხოვნილებად — რღვევა და დეკადანსი თანდათან დაებრუნებინა კლასიკურ წიაღში და მარჯვედ მოერიგებინა ის სხვადასხვაობანი, რაც გარეგნული უფრო გახლდათ, ხოლო სიღრმეში იმდენი საერთო დასტურდებოდა კლასიკასა და მოდერნიზმს შორის, მათი უგულებელყოფა ცოდვაც კი იყო.

კლასიციზმი ჯერ კიდევ როდის უარეყოთ რომანტიკოსებს, თორემ სიმბოლისტების, ნატურალისტების, რეალისტებისა და ათასგვარი ავანგარდული სკოლის თვალთახედვაში სრულიად აღარც გამოჩნდებოდა... მაგრამ არსებობს მხატვრული პრინციპები, რომელთაც თვით იქ შეიძლება ამოჰყონ თავი, სადაც ყველაზე ნაკლებ მოელი.

კომპოზიციის გარეგანი სქემით „ბედნიერი სიჩუმე“ იმეორებს ნიკო სამადაშვილის ბელეტრისტულ ქმნილებას „შეხვედრები და სინანული“ — ლექსისა და პროზის მონაცვლეობით, მაგრამ განსხვავება უფრო არსებითია — იქ თითქმის ცალკეა პროზაული ნაწილი და ცალკე — პოეტური, მთლად მექანიკურად არ გადაებმიან ერთმანეთს, მაგრამ იგრძნობა, ხელოვნური დაბრკოლებანი რომ არა ავტორის წინაშე, მისი ლექსების გამოქვეყნებას თვალბედითი შავი ყორანივით რომ ნავსავდა, იქნებ ეს ორიგინალური თხზულება არც შექმნილიყო; „ბედნიერ სიჩუმეში“ კი ისე გადადის ბელეტრისტული თხრობა ლექსში და ლექსი — ბელეტრისტულ თხრობაში, ხან შესაძლოა გარჩევაც კი გაგიძნელდეს, და ეს გარემოება ისევე თვალშისაცემია, როგორც მოგვიანებით ბესიკ ხარანაულის ვეება ქმნილებაში „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“, პროზის და ლექსის ამგვარივე მონაცვლეობით აღბეჭდილში, ერთმანეთში რომ გადაიღვრება.

ეს ორი სახელი — ლია სტურუასი და ბესიკ ხარანაულისა — იმთავითვე დაწყვილდებოდა კრიტიკულ მიმოხილვებში, სამწერლო ასპარეზზე მათი გამოჩენისთანავე, როგორც თავისუფალი ლექსის ყველაზე თავგამოდებული ადეპტებისა, და ასეც გამოჰყვებოდა სალიტერატურო ცხოვრებას, ახლა ბელეტრისტული თხზულებების თავისებურებათა მიხედვითაც რომ აღმოჩნდებოდნენ გვერდიგვერდ.

იმპრესიონისტებისა და სიმბოლისტების პარიზში ამჯობინებდა ცხოვრებასო...

ის ხანა პარიზის ქუჩებიდან და კაფეებიდან უფრო ძალუმად განიცდებოდა.

— როცა ვიცი, რომ დიდხანს ვეღარ ვნახავ პარიზს, მე მას გულის შორეულ კუნჭულში ვინახავ ზღვასთან ერთად. ჩემი ცხოვრების ყველაზე ძნელ, დეპრესიულ დღეებში თავდაცვის ინსტინქტივით წამოტივტივდება ხოლმე რაღაც, სრულიად უმნიშვნელო სიტყვა, ქუჩის სახელწოდება, უჰორიზონტო ზღვა... რიუ ჟოფრუა ლანიე, კაფე „პაოლო“, ოპერა, მახვილი ბოლო მარცვალზე, რის გამოც სიტყვა, უკვე ზეაწეული, მომღერალია.

გავყიდე სიტყვა, ვიყიდე ლაჟვარდიო...

სიტყვა — გაცვეთილიც და ხელუხლებიც ერთსა და იმავე დროს, მოზეიმეც, უჟმურიც და ძველიც („კბილს რომ მოგკვეთავს ქადის გულით, ლიმონის სუსხით“), ვისთვის აზრი რომ არის, ვისთვის — ჰანგი, ლია სტურუასათვის კი:

— ნუსხი თავისუფალი და თავკერძა, მზაკვარი მგელის.

და გრძელდება ამ ორიგინალური სტილისტიკისათვის ნიშანდობლივ სახეთა კასკადი, გამჭვირვალე ბლონდებში გამოხვეული:

რომელსაც ელი სიკვდილივით
და მაინც ელი,
როგორც ყველაზე ჭარბსისხლიან
და მშიერ ვნებას
გამოფიტული საუბრების
დინჯ სამყაროში,
და უცებ ვხედავ, ქვემდებარეს
გამოჭრეს ყელი
და მისი სისხლით დაიტიკნენ
გამხდარი ზმნები.

და აჰა ის ფინალური აკორდიც, რომელმაც უნდა შეჰკრას არამარტო ეს სონეტი სიტყვაზე, არამედ მის მხატვრულ ძიებათა ერთ-ერთი, ოღონდ ყველაზე არსებითი რკალი:

— არცერთი წუთი არ მაცოცხლა ამის გარეშე!

სონეტის ჟანრი ძალიან აიყოლიებდა და სულ უფრო და უფრო შეიტყუებდა თანაბარმარცვლოვანი და გარითმული სტროფების ციხე; და ის, რაც თავიდან დროდადრო და წამიერი გარინდებისათვის სჭირდებოდა, მხატვრულ სისტემად გამოეკვეთებოდა... მაგრამ შელევით მაინც ვერასოდეს შეელეოდა იმ თავისუფლებას, შინაგან ლტოლვას გარეგნულ ფორმასაც შესაფერისს რომ უსადაგებდა, თორემ წყებად და წყებად გადაგვიქროლებს თვალწინ სულიერ თავისუფლებათა ის თავბრუდამხვევი ნიმუშები, გარეგნულად მკაცრად ორგანიზებულ სისტემებს რომ მოირგებდნენ და ლია სტურუასთვისაც ყოველთვის დარჩებოდნენ ორიენტირებად იმის მიუხედავად, სონეტთა კლასიკურ ჰარმონიას მინებდებოდა თუ კვლავაც ძველებური სიჯიუტით დაეჯაჯგურებოდა თანაბარმარცვლოვან და გარითმულ სტროფთა ციხის კედლებს.

გავყიდე სიტყვა, ვიყიდე ლაჟვარდიო...

ის, რაც ერთსა და იმავეს უნდა გულისხმობდეს — სიტყვა და ლაჟვარდი — ხან უნუგეშოდაც დაშორდებოდნენ ერთიმეორეს და რეალობის ტრაგიზმიც აქ იჩენდა თავს, ყოფითობისა და ამაღლებული ოცნების შეუთავსებლობაში, სწორედაც ტრაგიზმი, დრამატიზმსაც რომ აღარ კმარობდა და ანკი როგორ იკმარებდა ზეცაგამქრალ ქვეყანაში, რომელიც მეხსიერებაში მაინც უნდა შეგენახა, თორემ... გადმოხტებოდა საავადმყოფოს ფანჯრიდან და ვეღარც... ვეღარც დაეწეოდი...

***

კიდევ კარგი, ვაჟა-ფშაველას სახელს შეთვისებოდი და მიწის ენით ამეტყველებულს სულ უფრო გაგითვალსაჩინოვდებოდა ოცნება, რომ ხელახალი დაბადებისას ხედ მოხვიდოდი — ხედ ბუნების წიაღში ან თუნდ ქალაქში — და ამგვარი ფიქრი გაგიადვილებდა სიცოცხლეს ხალხით სავსე სიმარტოვეში.

ჯარჯი ფხოველი

ვედრება

გულით საპყარნი ვინც განკურნა
შავ ქალაქში:
შავ ღამეში ცოდვილები ვინც დაასახლა...

ეხლა ხელებგაშვერილნი შესტირიან
შენს უკვდავ სახლს და
შენს აღდგომას ვერ ივიწყებენ!

და შენ აქა ხარ: საპყართა შორის!..

ვინც ამოგიცნობს და ცრემლებით ფეხებს დაგბანს,
განკურნებაც იმას ერგება!

მათ მოდგმით შეხვდათ გულის კეთრი, განუკურნელი!
მათი ხელმწიფეც ტყუილების კეთრმა შეჭამა!..
ამ მალემრწმენებს მაინც სჯერათ სუყველაფერი,
რაც ხელმწიფის ოხრობაში ნაცვეთ ტუჩპირს
გადმოსდინდება!

ძეკაცის გულში დაეტევა დაჭმუჭნილი ცა,
თავის უკვდავი ვარსკვლავებით,
თავის ცრემლებით...

კაცის გულში ხომ
სამყაროთა შორეული მოთქმა მარხია!
ამ გულს როგორ მოერია ეს ძველი კეთრი
ისე, რომ ცისკე აღვლენილმა ვედრებამაც
ვეღარ უშველა!

უფალო ჩვენო!
ხეიბრები ველოდებით ბეთ-საიდის სასწაულის
გამეორებას:
დავრდომილები და საწყლები,
გულის კეთრით შეპყრობილები
შენმა დარდმა ეგებ ფეხზე წამოგვაყენოს!

ღღეშავი

შენ აქ ჩაგქოლავს მელანქოლია
მშიერა მგელის უგუნურ გეშით...
დაექროლება მელანს ქორივით
შენი კალამი და უნუგეშო
დღე გაგრძელდება; ცას სიზმარივით
მოელანდები, შავად ფერილი,
დაგეკარგება სიტყვის მარილი,...
შენ რო გინდოდა, ეხლა ვერ ივლი
იმ გზებით, დღეს რომ ცაში მიდიან:
შენ ცის ბილიკზე ტკივილებს ვერ შობ!..
ეს მზიანი დღე შენთვის ბინდია,
მშიერა დროის ლუკმავ და გერშო!

დახარჯე შენი სიყვარული

უპატრონო ძაღლის ბედი შეგშურდება:
იმას გზაზე მიაცილებს
უცხო თვალი, თანამლმობელი...

და ამის მერე, ვიცი, აღარ გაგიკვირდება,
შენს არეულ ლანდს უცხო მზერა რომ დაედევნოს
ღვთაებრივი სიბრალულით
და რწმენით სავსე!

და გულს ჩასძახებ:
შეიყვარე უპატრონო ძაღლი,
შეიყვარე უპატრონო ადამიანი,
შენთან ერთად რომ მიისაწყლება
უდაბნოს გულის არტერიებზე...

დახარჯე შენი სიყვარული,
ყოფნის პირშავ აღმართებზე
რომ აგროვე თავგადაკლულმა...
დახარჯე შენი სიყვარული:
არაფერი არ დაიტოვო!

* * *

ჩამონგრეულან ძველი ყორენი,
რაც დაგრჩა, ისიც ქრება უმალვე...
კვალდაკვალ მოგდევს შავი ყორანი
და გკორტნის: გული ვერ დაუმალე!

ვერ დაუმალე მიწა, ნატოტნი,
ხანჯრით ნაცემი: ბევრის მნახველი...
ჩამოლეწილი მისი ტოტები
და მისი ღამე: დარდის ნახევი...

ვერ დაუმალე მიწის გვირგვინი:
ზეცა მზისა და ზეცა საყორნე!
ამ ლექსში ისე ამოვიგმინე,
რომ კვნესას გული ამოვაყოლე!

ჩამონგრეულან ძველი ყორენი
და ნანგრევზე ზის შავი ყორანი!

* * *

ვხედავ: ჩემს ნაღველს ცაში ათავსებთ,
გაკვირვებულო იის ტუჩებო...
როგორც გასულა წელი ათასი,
ისე გაივლის ეს დროც უჩემოდ!
ვერავინ იგრძნობს: სადა ხარ, ვინ ხარ,
ვერ გიგრძნობს ჯანღი, ცაში მყეფარი,
სანამ წყვიადში გადაყრილ თიხას
შენი წყეული სული ეფარვის!
ხარ დავრდომილი და შენ მოელი
იმას, ვინც მოვა იის სურნელით,
ცით მოვლენილი უდაბნოელი:
ის შენ მოგივლის საღვთო კურნებით!..
და თან გაჰყვები, სულო ობოლო,
რო დაგიტოვა, იმ დარდს, მკივანი...
ფიქრში დაგრჩება უსამშობლობა
და შენი ლექსის გული: მტკივანი...

* * *

წლებმა იმედის ნერგი აცელეს!
ხედავ სამოთხეს: დარბეულს, დაშლილს!
მიდი და ევნე და ითავცემე:
შენ გაგიყიდეს სამშობლო ვალში!

ბოლო არ უჩანს გველების სისინს,
შავ ბაზრობაზე შენს გულს ყიდიან!
რაც შენ წაგართვეს, დიდია ისიც,
რაც ვერ წაგართვეს, ისიც დიდია!

და ქალაქიდან ავიყარე

და ქალაქიდან ავიყარე მაშინ,
როცა მშობლიური მთების ძახილმა
დახანჯრა ჩემი მოლოდინი, მედღეხვალიე...

ასე მეძახდა დიდგორის ველი,
ასე მეძახდა კრწანისის მზე,
მაგრამ მაშინ ვერ გავიგონე!

დღეს ისტორიის ოღროჩოღრო გზებს
უკან გავყვები:
კვლავ გავივლი დროის უკუნეთს!

ვიტყვი: დიდგორის ომში დავეცი!
ვიტყვი: კრწანისის მიწაში ვწევარ!

დღეს გავიგონე მთების ძახილი...
ეს ხმა ოდღესღაც მოისმინა ვაჟა-ფშაველამ...
ამ ძახილმა გააოგნა,
მერე ის ხმა გულით აწონა
მთათა ერთობის მესაიდუმლემ!

ვამბობ: დღეს კარგად გავიგონე
მთების ძახილი
და ქალაქიდან ავიყარე
და თქვენთან ვდგევარ,
მთებო და მთებზე მაღალო მთავ, ვაჟა-ფშაველავ!

შენზე იტყვიან

შენზე იტყვიან: ჰგავდა განდეგილს
და დროის ქაფი ფეხზე ეკიდა!
ბოლოს უფსკრულის პირას დადექი,
ცა გამოთალე მთვარის ნეკნიდან;
და მზეს მიეცი, რაც შენ გერგება,
ამქვეყნად შენთვის რაც გაიმეტეს:
ცაში ნაკრები ლექსის ნერგები,
ისიც, რაც კლავდა კაცის იმედებს:
ის სიძულვილი და ის ღალატი,
დაბადებიდან თავს რო დაგწივის,
ეკლით ნაკერი შენი ხალათი
და უიღბლობის შავი არწივი!
საცაა თვალი უნდა მილულო,
თქვი ბოლოსიტყვა, მზის საზიარო:
მშვიდობით, ყოფავ განდეგილურო,
მშვიდობით, ჭალავ არაგვიანო!

* * *

ირმის ნახტომის თეთრი საჩეხე
და გალაქტიკა, თვალმოხამხამე...
აქ შავი ხვრელის ყბებში ჩაჩეხილ
კაცობრიობას იტირებს ღამე...

კვნესა წერია სამყაროს ხმაში:
გხედავ, მამულო, ცეცხლით ნამუსრო!
ეს ბედი რატომ არ გვითხარ მაშინ:
რად დაგვიმალე, ნოსტრადამუსო!

ჩვენ

თამაზ ფხოველს

ჩვენ არ მოვმკვდარვართ იმ წარსულში სხვების მაგიერ,
როცა სიცოცხლე მოძალადის ხმალმა გაკვნიტა!
მოჰქონდა ხსოვნას დავიწყებულ სულის მაგია
და ეს იყო: იწყებოდა დარდი აკვნიდან...

დღეს ესე არის: ემსჭვალება დღეებს ქაფიანს
ხან ბულბულის ხმა, ხანაც კიდევ სისინი ძლოკვთა...
როცა მოვკვდებით, წააწერონ ეპიტაფია:
იმას დიდება, ვინც სამშობლოს მაგიერ მოკვდა!

უსინათლო პოეტებს

გულით სიბრმავეს
თქვენ არჩიეთ თვალით სიბრმავე!

ამქვეყნიური ყვავილები დაგიმალეს და:
სამაგიეროდ თქვენ სამოთხის ყვავილებს რგავთ და
სამაგიეროდ თქვენ სამოთხის ყვავილებს ხატავთ!

და გულით ხედავთ
იმას,
რასაც თვალხილულნი ვერ იხილავენ...

გულით ხედავდა დიდი ხორხე ლუის ბორხესიც,
ისიც ხომ თქვენი ერთი ძმა იყო:
იმასაც ერგო
ბედისწერის ღვთაებრივი, შავი სიბრმავე...

მაგრამ მზე ენთო იმის ღამეში
და ვარსკვლავების ბრაილით წერდა!..

და იყო კიდევ ერთი პოეტი,
ვინც ტროას ომი უსინათლო თვალებით ნახა
და გადმოხატა ხსოვნის ღრუბლებით
და გადმოწერა დარდის ანბანით...
ბრაილის შრიფტი არა ჰქონდა,
აბა, მეტი რა უნდა ექნა!

თქვენზე რომ ვფიქრობ,
მომაგონდება
ჩემი დიდედის დიდი სიბრმავე:
იმისი დილა თენდებოდა
ხელუხლებელ და რძისფერი ქაღალდივითა
შორს, შორს: მაღალ არახიჯაში...

ვიცი, სულ მალე ჩემი დილაც გათენდება
ამ ქაღალდივით,
ეხლა ჩემი კალამი რომ ებღაუჭება...
და თქვენ რომ ხატავთ,
მეც ვიხილავ იმ ყვავილებს,
ცით მოფრენილებს
და სამოთხის ყვავილების დახატვაში
დაგეხმარებით...

უსინათლო დიდი აედო:
ჰომეროსო, გულდარდიანო,
ბორხესო, ღამის მესაიდუმლევ,
მითხარით,
როგორ შევიყვარო მე წყდიადი, გულშემზარავი;
ღამეს როგორ გამოვტაცო
უკვდავების მწარე წვეთები
და გულმოკლულმა მტკივან გულში
სიმღერები როგორა ვთქვა
მაშინ,
როცა სიყვარულის ცაში აწვდილ მთებს
და იმათ ღრუბლებს ვერ დავინახავ!

მთვარის აპოლოგია

მე ვუმღერი რეალურ მთვარეს!
მე ვადიდებ ღამის მანათობელს!
ვადიდებ მთვარეს: უკვდავი სულების სამკვიდროს!
ვუმღერი მთვარეს, ვარსკვლავების წინამავალს
და გზების გამნათებელს, ვარსკვლავების ხელისმკიდეს!
მე ვწერ მთვარეზე, მთვარის სიყვარულზე, მთვარის
იმედებზე...
მე ვარ მთვარის მეხოტბე ვინმე...
და ვინც ამქვეყნად ღამის მნათობს ჰიმნები უძღვნა,
მე ვარ იმისი პლაგიატორი და მიყვარს
ყველა საოცნებო მთვარესთან ერთად!
მე ვწერ მთვარედან წამოღებული მელნით და კალამი ჩემი
მთვარის ცაზე გადაფრენილ არწივის ფრთაა!
ხოლო ჩემი მკითხველია სავსე მთვარის მოსახლეობა!
მე ვუმღერი მთვარეს;
მე ვარ მისი ღამეული სხივებით ნაწერი პოემების
გადამკითხველი,
მისი ანბანის აღმომჩენელი!
მე ვწერ მთვარეზე!
მე ვადიდებ მთვარეს!
მე ვუმღერი მთვარეს: ვარსკვლავების წინამავალს,
გზების გამნათებელს, ვარსკვლავების ხელისმკიდეს!
მე ვწერ მთვარეზე!
ხოლო ჩემი მკითხველია სავსე მთვარის მოსახლეობა!
მთვარის ყვავილები:
ეს არის თეთრი სიზმარი სავსემთვარეობისას!
მთვარის აპოლოგია იწერება მათთვის,
ვისაც თავის გრძელ ღამეებში ეს სიზმარი დასიზმრებია!
ჩემი წიგნია სავსე მთვარის აპოლოგია!
მე ვადიდებ მთვარეს!
მე ვუმღერი მთვარეს!
მე ვდგევარ მთვარით განათებულ უდაბნოში:
აქ პოეზია ერთადერთი ოაზისია,
სადაც უკვდავების წყარონი ჩუხჩუხებენ...
ვიცი: გინახავს უდაბნოში ღამის წყარო, მთვარის რძეში
პირდაბანილი!
ვიცი: შეგისვამს შენ ეს წყარო, კბილისმტეხავი.
და სიტყვა გითქვამს, როგორც მთვარის სამადლობელი!
თვით მთვარესაც ჟრჟოლა აიტანს,
ამ წყაროს რომ დაეწაფება!
და ახედავს ვარსკვლავების ფეიერვერკს ირმის ნახტომის
კარმიდამოში...
ახედავს და კოსმიური სითბო აიტანს,
შორეულ ძმათა თანამლმობელი!
მოენატრება პოეზიის სამოთხის ნახვა:
იქ შვება და სიყვარულის ცეცხლის დანთება!
ვერავინ იტყვის, პოეზიის სამოთხედან პოეტებმა
რატომ გააგდეს!
პოეზიაში მთვარის შუქი ნუთუ მართლა ბანალურია!
გააგდეს მთვარე და ესღა დარჩათ:
მთვარის ალაგას კოსმიური სიცარიელე!
მე ვწერ მთვარის აპოლოგიას!
მთვარე უნდა დავაბრუნო თავის ადგილზე:
ძველისძველ ქართულ პოეზიაში!
არ ვიცი, ჩემი მკითხველები იცნობენ, თუ ვეღარ იცნობენ:
მიიღებენ თუ არ მიიღებენ!
მათ ხომ მთვარე დაივიწყეს დიდიხანია!
და აჰა: მე ვარ ერთადერთი, ამ უმთვარო ღამის სტუმარი...
და მე ვწერ მთვარის აპოლოგიას!
პოეზიის ძველისძველ და გაკვალულ გზაზე მე მთვარის
შუქს წინ მივუძღვები:
პოეტებო, გაგახსენებთ მთვარის თამაშებს!
გაგახსენებთ მთვარის ყვავილებს, რომ იზრდება
სიყვარულის ძველისძველ გზაზე!
მე ვარ ერთი პოეტი ვინმე, პოეზიიდან მგლის ბილეთით
გაგდებულ მთვარის გუშაგი!
და მე ვწერ მთვარის აპოლოგიას!
მთვარის ყვავილები იშლება მისთვის,
ვინც სავსე მთვარის სიზმრები ნახა,
ვინც სიყვარულის ცეცხლი იგრძნო გულში
სავსე მთვარეობისას!
მე ვადიდებ განდევნილ მთვარეს!
მე ვეუბნები პოეტებს: ლექსში შემოუშვით მთვარე:
ლექსი ხარობს და ფესვებს იდგამს მთვარით
განათებულ უდაბნოში...
ლექსი და მთვარე ორი ტყუპისცალია...
მთვარე ანათებს ოხერ დედამინას,
როგორც ირმის ნახტომის გულისგულს...
ხოლო ლექსი კაცის გულს ანათებს მთვარიდან აკრეფილი
სინათლით...
გეუბნებით: ლექსში შემოუშვით მთვარე:
გახსენით კარი და გახსენით ფანჯრები
და გახსენით გულისკარები: ლექსში შემოუშვით მთვარე!
დაე, გაიხსენოს თავისი ადგილი: გაიხსენოს ის ძველი ჟამი,
როცა სიყვარულის გზებს ანათებდა...
მე ვუმღერი განდევნილ მთვარეს!
მე ვწერ მთვარის აპოლოგიას!
სავსე მთვარის ყვავილები დღეს ჩემს წიგნში იშრიალებენ!

დალი ყარაულაშვილი

დე სიკვდილითაც არვის არ ვგავდე

მე შეცდომა ვარ ალბათ განგების,
ყველა მიყვარხართ თავდავიწყებით,
ფიქრიც, ოცნებაც, ვიცი სხვაგვარი,
ვარსკვლავებში და ცაში ვიწყები.
მუხთალ ცხოვრების ვიწრო ბილიკებს
მე ვერ მივყვები როგორც წესია,
თუ მიცინია? ბავშვის სიცილით,
კვნესით? სხვაგვარად დამიკვნესია.
თუ სასმისს ავწევ, სხვაგვარად ვთვრები,
სასოწარკვეთაც სხვაგვარი ვიცი,
ზეცას ავჭრილვარ ფასკუნჯის ფრთებით
და ვიფიცები სხვაგვარი ფიცით.
მგონი ქარიშხლებს ჩამოვყევ ციდან,
სატანას ვებრძვი, უხმლოდ, უფაროდ,
ასე მარტივი და თან სხვაგვარი,
რად გჭირდებოდი ნეტავ, უფალო.
აბობოქრებულ სულს ვერ ვაწყნარებ,
იქნებ გაკოჭოთ ტყავის ქამანდით,
ერთი თხოვნა მაქვს, როცა მოვკვდები,
მკერდზე სხვაგვარი ძეგლი დამადგით.
ჰგავდეს ქარიშხლებს, მზის სხივებს, წვიმებს,
მისი სიმაღლე ღრუბლებს ჰქარგავდეს,
მინდა საფლავიც სხვაგვარი მქონდეს,
დე სიკვდილითაც არვის არ ვგავდე.

* * *

მთის თხემიდან სიკვდილს ვხედავ,
ჩუმი გულისტკივილით,
წამი არის ეს საწუთრო,
სულს აღმოხდა კივილი.
თურმე ზღაპარი ყოფილა,
უკვდავების მჯეროდა,
დამყრანტალებს და დამცინის
ყვავი ვერხვის ჩეროდან.
დრო მეფობდა და კვლავ მეფობს,
ჩვენი ყოფის მდინარეს,
ეხ, სიბერეს ქედს მოვუხრით,
თვალთგან ცრემლმომდინარე.
ვეღარ ვყარამან-ვყანთელობთ
ძველებურად ქუჩებში,
უკვე თრთოლა შეგვპარვია,
გაფითრებულ ტუჩებში.
ყავარჯენზე დამხობილნი,
გზას მივყვებით ტაატით,
არვინ იცის, სად და როდის
შეჩერდება საათი.
ნაოჭიან სახეს ამკობს
ბავშვის მზერა-ღიმილი,
ჩამქრალ თვალში ცრემლით სავსემ
ვის მივმართოთ ჩივილით.
სიბერეზე ჟამი მეფობს,
წუთისოფლის ბატონი,
მიწის ზემოთ არვინ რჩება
უფალია პატრონი.
მოსვლა-წასვლით, წასვლა-მოსვლით
რაღაც დიდი კეთდება,
სადღაც ზემოთ, ღმერთთან ახლოს,
სიყვარული ერთდება.
ვერვინ ნახავს სამას წელზე
მიტანებულ ყვანჩალებს,
მოვა მიქელ-გაბრიელი
სადღაც წაგვაჩანჩალებს.
მთის თხემიდან სიკვდილს ვხედავ,
ჩუმი გულისტკივილით,
წამი არის ეს საწუთრო,
სულს აღმოხდა კივილი.

* * *

მინდა ზეცას ხელით შევხსნა
ეს ცისფერი ხალათი,
ანგელოზებს ღმერთთან მიაქვთ,
ჩემი გრძნობის ბარათი.
მინდორ-მინდორ, ქარს რომ მისდევს,
ჩემი მუზის კვიცია,
თავზე მეტად რომ მიყვარხარ,
პლანეტებმაც იციან.
მთვარე ღამით რომ ბუტბუტებს,
ჩემი ლექსის ბნკარია,
ამ გულზე რომ ხაზი მოსჩანს,
ტკივილების ბზარია.
ყვრიმალი რომ ამიწითლა
მოდებული ალია,
მითხარ, მაინც რად მიყვარხარ
კვლავ ისევ და ძალიან.
მითხარ, რატომ მენატრები,
ფიქრი დაგდევს ქარდაქარ,
ფოთლები რომ შრიალებენ,
შენ გიხმობენ, სადა ხარ?!
ქარმა ფერფლი გაიტაცა,
საით მიაქვს არ ვიცი,
ჩემი სულის ნაფერფლარი...
ვაი უკვე დავიწვი...
გვიანია, ჩავიფერფლე,
კვალი დარჩა სილაზე,
ვარსკვლავებში, ცისკენ მივქრი,
ვეღარ მნახავ მიწაზე.

ლიტერატურული კონკურსის — „პუბლიცისტიკა, კრიტიკა, ესეისტიკა“ — გამარჯვებული. III პრემია

„მდინარეები ფეხადგმული გზებია, რომლებიც მიდიან და მივყავართ იქ, საითაც გზა გვიძევს“.
ბლეზ პასკალი, „აზრები“

„ეძგერა (ურჩხული) კუნძულის კიდეს და, ეტყობა, პირველი ლუკმით მადაზე მოსულმა, ახლა უფრო დიდი მიწის ნაგლეჯი მოსწყვიტა“.
აკა მორჩილაძე, „ვეშაპი მადათოვზე“

დათო ქარდავა

მტკვარი და მისი არქიპელაგი

ბასაკვირი იქნებოდა, მიწისა და წყლისგან შექმნილი ადამიანი უწყლო და უმიწო ადგილზე რომ დასახლებულიყო. თბილისს, მტკვრისა და მისი ორი ნაპირის სახით, არც წყალი აკლია და არც – მიწა, თუმცა, ცხადია, ქალაქის – მსხვილი დასახლებული პუნქტის შექმნისათვის მხოლოდ ეს ორი ელემენტი არ კმარა. მტკვრის სიგრძე, სათავიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე, 1515 კილომეტრია, მაგრამ საოცრება, რომლის სახელი თბილისია, მდინარის სულ რაღაც 35 კილიომეტრიან მონაკვეთზე (ავჭალიდან ორთაჭალამდე) გვხვდება. თანაც მდინარეცაა და მიდინარეც. თუ ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველებას“ ვერწმუნებით, მტკვარი ედემის ოთხი მდინარიდან (ფისონი, გეონი. ტიგრისი. ევფრატი) ერთ–ერთია. ქართველ მეცნიერს ნაშრომში მოტანილი აქვს პროფესორ ფრანც კაულენის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „ფისონი, ანუ ბისონი უნდა იყოს ძველად ცნობილი „კურუს“, ანუ „კურ“, ეხლანდელი სახელით „მტკვარი“, რომელიც არაქსთან იმავე ურთიერთობაშია, როგორც ტიგროსი ეფრატთან. „კურ“ (მტკვარი) გამოდის იმ ადგილიდან, რომელიც შავი ზღვის სანაპიროდან ძალიან დაშორებული არაა და, როგორც სტრაბო ამბობს, იგი ჰყოფს არმენიას ალბანიისაგან და არაქსთან შეერთებული ჩადის კასპიის ზღვაში. ამის მიხედვით, ეფრატისა და ტიგროსის, არაქსისა და მტკვარის მხარე იყო ის ქვეყანა, რომელსაც „ედემი“ ერქვა და სადაც სამოთხე – პარადისი წარმოედგინათ“.

ვიქტორ ნოზაძის მტკიცებით, როცა ვეფხისტყაოსნის ავტორი ავთანდილის მიერ თინათინისათვის ნაჩუქარი მარგალიტის აღწერისას ამბობს, „პირსა დაიდვა, აკოცა, ცრემლი სდის, ვითა ბისონი“–ო, „ბისონში“ მტკვარს გულისხმობს.

არსებობს მტკვრის „დაბადების“ განსხვავებული, მატერიალისტური ვერსიაც. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ „ისტორიულ–გეოლოგიური თვალსაზრისით თბილისი და მისი მიდამოები წარმოადგენს ე.წ. მესამეული ეპოქის ზღვის ფსკერს. კავკასია ოდესღაც ზღვით ყოფილა დაფარული. ამ გეოლოგიურ ეპოქაში, რომელსაც კაინოზოურს უწოდებენ, დაიწყო მთების შექმნის ინტენსიური, მაგრამ ხანგრძლივი პროცესი. ამის შედეგად გაჩნდა ის მთები, რომლებიც თბილისს გარს აკრავს. მეცნიერთა მტკიცებით, სწორედ აქ, თბილისის ტაფობში, დროთა განმავლობაში, გზა გაუკაფავს მდინარე მტკვარს.

თბილისი რომ ზღვის ფსკერი იყო და ამ ზღვაში რომ ვეშაპი ბინადრობდა, კარგად იციან თანამედროვე ქართული ლიტერატურის მოყვარულებმაც. აკა მორჩილაძე მადათოვის ტრილოგიის ბოლო, მესამე წიგნში („ვეშაპი მადათოვზე“) წერს:

„ადრე სულ ზღვა იყო თბილისის ადგილზე. მერე დაშრა და ვეშაპი მტკვრის ფსკერზე დარჩა“.

მტკვრის ნაპირებზე (თურქეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში) ათზე მეტი ქალაქია გაშენებული, თუმცა მდინარემ მხოლოდ თბილისის ტერიტორიაზე მოხაზა ისეთი კონტურები, რომლის წყალობითაც, სპარს პოეტ საფი ხალხალის (მე-18 ს.) რომ დავესესხოთ, სამოთხის მეტოქე და ედემის ბაღზე აღმატებული ქალაქი იშვა.

მტკვარი არა მხოლოდ თბილისის, არამედ მთლიანად საქართველოს უპირველესი მდინარეცაა. აკი, პოეტ მურმან ლებანიძესაც მოსწრებულად შეუნიშნავს: ჭოროხს, ენგურს, რიონს, ტეხურს, იორს და არაგვს, დედა-მტკვართან ხმის ამოღების უფლება არ აქვს. შემთხვევით არაა, რომ ძველად როგორც „ქალაქი“ იყო თბილისის სინონიმი, ასევე „წყალი“ – მტკვრისა. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამ სახით მოიხსენიებს „ქართლის ცხოვრების“ ავტორი ლეონტი მროველი მდინარე მტკვარს: „ხოლო ამან ადერკი მეფემან უმატა სიმაგრეთა ქართლისათა ქალაქთა და ციხეთა, და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ქალაქისა წყლისა ამიერ და იმიერ“.

ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის თქმით, მტკვარი, რომელსაც გეოგრაფები უმეტესწილად „კირსა“ და „კორუსს“ უწოდებდნენ, გლობალურადაც მნიშვნელოვანი მდინარე ყოფილა:

„ეს მდინარე უფრო სასარგებლოა სპარსეთის ყველა მდინარეზე იმითი, რომ საკმაოდ დიდ მანძილზეა და გამოსადეგია ნაოსნობისათვის, რომლისთვისაც არც ერთი სპარსეთის მდინარე არ ვარგა. ძველი ისტორიკოსები მოგვითხრობენ: ამ მდინარეში სპარსეთის შესანიშნავი მეომარი კირსი ჩააგდეს ყმაწვილობის დროს, მდინარემ არ ჩასძირა და ამიტომაც სახელად კირსი დაარქვესო. ეს ამბავი, ჩემი აზრით, მით უფრო დასაჯერებელია, რომ მთელ ამ მხარეებში, რომლებზედაც ახლა ვლაპარაკობ, ამ მდინარეს საზოგადოდ შაჰ ბაჰმენ-სუს უწოდებენ, ესე იგი, მეფეთ-მეფის ბაჰმენის მდინარეს; ბაჰმენი კი მეფე კირსას სახელია, სპარსეთის მემატიანეები კირსს ამ სახელით იხსენიებენ.“ (ჟ. შარდენი, „საქართველოში მოგზაურობა“)

კუნძული მდინარეში

„ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ“
გრ. ორბელიანი, „მუხამბაზი“

„დიდებულია ყაბახზე დილა,
ახალი მთების ვხედავ კუნძულებს,
ორბელიანთა გაუთხოვარ ქალების
ძუძუებს“.
ტიციან ტაბიძე, „მუხამბაზი,
რომელიც არ იმღერება“:

იყო დრო, მტკვარში მდებარე კუნძულები ისეთივე თვალწარმტაცი სანახავი იყო, როგორც მდინარეში მობანავე ორბელიანის გაუთხოვარ ქალთა ძუძუები. აქ სათვალავში მისაღები არაა მტკვრის მღვრიე წყალში ადგილ–ადგილ თავწამოყოფილი მიწის პატარა ნაჭრები. ტფილისის არქიპელაგი ძირითადად ორი – ორთაჭალისა და მადათოვის, იგივე ორბელიანთა კუნძულებისგან შედგებოდა.

სახელწოდება „ორთაჭალა“ ორი სიტყვის – ქართული „ჭალისა“ და თურქული „ორთა“-ს („შუა“-ს) ნაერთია. ორთაჭალას ანუ შუაჭალას „ჭალის ბაღსაც“ ეძახდნენ. ბაღი მდებარეობდა კუნძულზე, რასაც ორად განტოტილი მტკვარი წარმოქმნიდა.

1880 წელს გამოცემული ტფილისის რუკის მიხედვით, მტკვარი ორად იყოფოდა მნაცაკანოვის ხიდქვეშ გავლის შემდეგ. კუნძულის სიგრძე 500 საჟენამდე, სიგანე კი 300 საჟენამდე აღწევდა (1 საჟენი 2,13 მ). რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების მიხედვით, ორთაჭალა (ანუ კუნძული და მტკვრის მარჯვენა სანაპირო) მთლიანად ბაღებით ყოფილა დაფარული. ამასთან კუნძული მარჯვენა ნაპირს საცალფეხო, ე.წ. ვირის ხიდით უკავშირდებოდა.

ორთაჭალის ბაღები გიორგი მეთორმეტეს ეკუთვნოდა. გიორგი მეფის სიკვდილისა და მისი ვაჟის –დავით ბატონიშვილის პეტერბურგში გადასვლის შემდეგ, ეს ბაღები დოსითეოს ფირცხელაურის ხელში გადავიდა: „ბაღი ეს იყო ორთაჭალას, შემდგომად მეფის ძისა რუსეთისა წასვლისა მიეცა იგი დოსითეოს არქიეპისკოპოსსა, გვარითა ფირცხალაურისა, და შემდგომად ამისა შეისყიდა იგი სომეხმან, თბილისელმან, მოქალაქემან ტერ-შიმოვანოვმა“ (პ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“).

„მცენარეთა სამეფო“ – ორთაჭალის ბაღები უსაყვარლესი თავშესაფარი იყო ზაფხულის პაპანაქების დროს. თბილისში ჩამოსულთა საპატივცემო ნადიმებიც ორთაჭალის ბაღებში ეწყობოდა. გასაკვირი არაა, რომ 1829 წლის 27 მაისს საქართველოში ჩამოსულ ალექსანდრ პუშკინს სწორედ ორთაჭალის ბაღში მოუწყვეს შესახვედრი სადილი, რომლის მონაწილე კონსტანტინ სავოსტიანოვი იხსენებდა:

„თბილისის თვალწარმტაც ადგილებში ძნელი არ იყო პატარა ადგილის პოვნა რუსი პოეტის სამასპინძლოდ. მე ავირჩიე ქალაქის გარეუბნის ბაღ-ვენახები, მტკვრის გაღმა, ორთაჭალაში და აქ მოვუწყვე შეხვედრა ჩვენს ძვირფას სტუმარს ევროპულ-აზიური გემოვნებით. აქ იყვნენ შეკრებილნი სხვადასხვანაირი მემუსიკენი, მომღერალნი, მოცეკვავენი და აზიელი მუტრიბნი, რომელნიც მაშინ საქართველოში იყვნენ. მთელი ბაღი იყო განათებული მრავალფეროვანი ლიფლიფებით და ცვილის სანთლებით ხის ტოტებზე. შუა ბაღში კი იყო აღმართული ხვეულწერილად იმისი სახელი, ვის პატივსაცემად გამართული იყო ეს ნადიმი. ...აქ იყო ზურნაც და თამაშიცა, ლეკურიც და სევდიანი ჰანგებიც“. (ი. ბალახაშვილი „ლიტერატურული წრეები და სალონები“).

სომეხი მწერალი, ძველი თბილისის დიდი თაყვანისმცემელი აგასი აივაზიანი მოთხრობაში „წმინდა ჭეშმარიტება“ მეგოგილოვი, მილიანი „მილოვის საპნისსახარში ქარხნიდან“, „კუზიკოვი და კომპანია“, მცხეთის მოურავი, თამამშვილის ქარვასლა, მელიქ-კაზაროვის დაწესებულება... ორთაჭალის ბაღების ხშირი სტუმარი იყო გრიგოლ ორბელიანი, რის დასტურადაც გამოდგება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული დ. ყორღანაშვილის შემდეგი შინაარსის წერილი: „იქნება ჩქარა გადმოხვიდე საქართველოში და კიდევ ვეღირსოთ ორთაჭალას ჩვენებურად სხდომას, ჰაზარფეშებით, წითელის ლალის ღვინით, ჭანარის ტყჩით ვაზის ფოთოლზე, თარფით თავისის შემკობილობით, მოტანილით ფეხთშიშველ წალდგარჭობილ წელში მებაღისაგან“.

უგემრიელესი იყო ორთაჭალაში – „მცენარეთა სამეფოში“ მოყვანილი ხილი და ბოსტნეული, რომლის შესახებაც აგასი აივაზიანი წერს:

„ორთაჭალის ბოსტნებში ამოხეთქილ ოქრახუშსა და ქინძს, როგორც შეშლილებს, ისე დაეყარათ დალალები მიწის მხრებზე. მათი მწვანე სისხლი კი დულდა და ხმაურობდა. კიტრი თითქოს გაზნექილიყო ტკივილისგან, ისე დაჭიმვოდა ახალგაზრდულად მკვრივი და მოქნილი ძარღვები. ისედაც სავსე პომიდორი კი უფრო მეტად ივსებოდა და მისი ნაზი წითელი კანიც ლამობდა შეხებისგან, უხეში მოფერებისგან გასკდომას.“

ორთაჭალა განთქმული იყო საეჭვო ხასიათის სეფა-სახლებითაც. ბაღებში, როგორც კი ჩაბნელებულ ცის კამარაზე ვარსკვლავები გამოჩნდებოდა, ინთებოდა ფერადი ლამპიონები და საფრანგეთიდან ჩამოსული ლამაზმანები ქათქათა, თავ-

ბრუდამხვევად სურნელოვან საწოლში ეპატიჟებოდნენ რომანტიული თავგადასავლების მაძიებელ ტფილისელებს...

„ჰბერავდა ქარი მადათოვიდან...“

მადათოვის კუნძული, როგორც ამას საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, ხელოვნურად გაუკეთებია სარდალ დავით ორბელიანს, რომელსაც გაუღრმავებია მტკვრის მარჯვენა კალაპოტი თავისი სასახლის წინ, რომელიც მდებარეობდა მარჯვენა ნაპირის მიწის ნაკვეთზე ახლანდელ „მშრალ ხიდთან“. მე-18 საუკუნის დამლევს ორბელიანის კუნძულზე ხეები და ვაზი იზრდებოდა, „ხანდახან კი საადრეო ბოსტნეულსაც სთესავდნენ“.

1946 წელს გამოცემულ „თბილისის საიუბილეო კრებულში“, რომლის ავტორები ს. ჯანაშია, შ. ამირანაშვილი, გ. ბეჟანიშვილი, გ. კალინინა და ნ. ბადრიაშვილი არიან, ვკითხულობთ:

„მე-19 საუკუნის ოციან წლებში ოდესღაც დავით სარდლის კუთვნილი სახლის მომიჯნავე მიწის ნაკვეთი თავად ორბელიანებს დაუთმიათ გენერალ მადათოვისათვის. მისთვის როგორც მეზობლისათვის, მიუციათ აგრეთვე კუნძულის ნაწილით სარგებლობის უფლება. შემდგომ დავითის ჩამომავლობამ სრულად მიივიწყა გაპარტახებული კუნძული დავით სარდლისა.“

ქალაქ თბილისის გეგმა, რომელიც პოლკოვნიკმა ბანოვმა შეადგინა 1809 წელს, მოწმობს, რომ ოდესღაც არსებულა მესამე კუნძულიც – ორბელიანის კუნძულის სამხრეთით. იგი შექმნა მტკვრის მარცხენა ტოტმა, რომელიც მიმდინარეობდა ახლანდელი ხეთაგუროვის ქუჩის ადგილას. მე-19 საუკუნის 20-იან წლებში ამ ტოტში წყალმა იკლო, რის შემდეგაც ხსენებული რაიონის სახელდახელოდ გამაგრებულ დაბლობ ნაპირზე აგებულ იქნა სახლები. ამ ადგილს, როგორც მტკვრის ყოფილ ფსკერს, დაერქვა რიყე, აქედან მომდინარეობს აგრეთვე ხეთაგუროვის ქუჩის წინანდელი სახელი – „რიყისა“.

1880 წელს გამოცემული ტფილისის რუკის მიხედვით, მადათოვის კუნძულის სიგრძე 300 საჟენამდე, სიგანე კი 100 საჟენამდე ყოფილა. ამავე რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების თანახმად, კუნძულის ცენტრალურ ნაწილში (მარჯვენა სანაპიროს მხარეს) იდგა რამდენიმე შენობა–ნაგებობა, მათ შორის სამხედრო საწყობი – ცოიგჰაუზი.

მტკვარზე აგებული ორი ხიდის შესაერთებლად ადგილი რომ აეწიათ, კუნძულზე დიდძალი მინა დაყარეს, რის შედეგადაც გაჩნდა ახალი ქუჩა, რომლის გაყოლებითაც, გარდიგარდმო, დაიდგა სავაჭრო დუქნები და ფარდულები.

მერე და მერე კუნძული გაპარტახდა და გაუკაცრიელდა. მადათოვის ტრილოგიის პირველ ნაწილში აკა მორჩილაძე კნუტ ჰამსუნის პროტოტიპის, მწერალ პედერსენის პირით კუნძულის ლანდშაფტსა და ინფრასტრუქტურას ასე აღწერს:

„კუნძული ამოზრდილია შუა მდინარეში, ზედ არის ყოვლად ბინძური და უინტერესო საამქრო, რომელსაც ერთი ვიწრო საბუხრე მილი აქვს... იქ არის ნაგავსაყრელიც. ყოველ დილით პატარა ხიდით ხალხს გადააქვს ნაგავი დიდი გოდრებით, რომლებიც ან ხელის ურიკებზე აწყვია, ან სახედრებსაა აკიდებული. კუნძულის ერთი ადგილი მთლიანად ვენახს უჭირავს. საამქროსგან მოშორებით ორიოდე უბადრუკი ფარდულია. ყოველ დილით ჩემი ფანჯრიდან ვხედავ კუნძულის ერთ ნაგლეჯს და სულ ვფიქრობ, რას უნდა ნიშნავდეს ეს მყრალი ადგილი ქალაქის შუაგულში?“

„კუნძულის“ დეტალური აღწერა გვხვდება კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობაში „ორთაჭალელი მეთევზეები“:

„დახევებული, მრავალ ადგილას დახრამული კუნძული მჭიდროდ იყო დასახლებული. ტალახიანი, ვიწრო ქუჩები, ერთმანეთზე უთავბოლოდ მიყრილი ქოხმახები, დუქნები, სახელოსნოები... რა გვარისა და ჯილაგის ხალხი არ ცხოვრობდა მადათოვის კუნძულზე. ყველა გიჟი და ოხერი აქ ეძებდა თავშესაფარს, აქეთკენ მორბოდა ყველა „უბაშფორთო“ და უსახლკარო, ნაკაცარი და ბედის მაძიებელი, რადგან ეს კუნძული ყველას აჭმევდა პურს: ამ კუნძულს ყველანაირი ხელობის კაცი სჭირდებოდა: მეკურტნე მუშაც და ქურდის ხელის დამცლელიც.

კუნძულის მარჯვენა მხარეს მეტწილად ხელოსნები უტრიალებდნენ. თერძები, ხარაზები, ჭონები, დაბაღები, მეკასრეები. აქ იყო მეეტლეების ფუნდუკი, დროგების სადგომი, თოჯინების ბალაგანი, კარუსელი, ძველმანის ბაზარი. ამ ბაზარს ხალხი ყველაზე უფრო ეტანება. კავკასიის ფრონტი რომ დაიშალა, სამხედრო საწყობებიდან უთვალავი საჭურველი და სურსათ-სანოვაგე დაიტაცეს. ყველას მიჰქონდა, ვისაც ხელი მიუწვდებოდა. აქ ჯერ კიდევ იშოვება ბევრი ისეთი რამ, რაც დიდი ხანია სახსენებლად გაჰქრა თბილისის მაღაზიებსა და დუქნებში: შაქარი, ბრინჯი, ბურღული, საპონი, მარილი, წეკო, ორცხობილა, ტარანი, ღვედები, თასმები, ტანსაცმელი, რუსული უნაგირები. ნახევარ თბილისს ამ უნაგირების ყვითელი ტყავისგან შეკერილი ჩექმები და ტუფლები ეცვა. აქ არიან ხონჩით მოვაჭრე კინტო-ბიჭები. მეაქლემე თათრები, ფეხმოკეცილი რომ სხედან ფარდულის წინ და ცხელი ჩაით პირს იფუფქავენ. მეხილე სპარსელები, წავკისელი მემაწვნეები, ახატნელი მენახშირეები, მოლოკანი მერძევეები, კრწანისელი მეთევზეები, თურქეთიდან აყრილი სომხები, მთვრალი დეზერტირები, თვალისწამში ჩექმას რომ გაიხდიან და გადაყრიან, რათა კახპა ქალებს არყითა და მაყალზე შემწვარი შიშაქაბაბით გაუმასპინძლდნენ.

ათასი ჯურისა და რჯულის ნაკაცარი დაეხეტება მადათოვის კუნძულზე, ადვილ საშოვარს დაეძებს, რომ საღამოხანს, ტივების საბმელთან, თოფიკას მამზელებს ესტუმროს; თოფიკას მამზელებს გარყვნილ ქალებს ეძახდნენ. ვიღაც სომეხმა ისინი ოდესიდან ჩამოიყვანა და მადათოვის კუნძულზე დაასახლა. მერე გაშალა ხელი და ზარისა და ბანქოს სათამაშო სახლიც გამართა.

ოფოფის ბუდესავით ყარდა იქაურობა. ათასგვარი ნამუსრევი და ნაჭამ-ნუჭამი. ძაღლები სძიძგნიდნენ სანაგვე ორმოში ჩამპალ ხორცის ნარჩენებს“.

კიდევ უფრო მძიმე ვითარება იყო კუნძულზე მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში. არჩილ სულაკაური თავის „ჩუღურეთულ მოთხრობებში“ „მადათოვს“ ასე აღწერს:

„ჩვენი აივნის წინ, მტკვარგადაღმა „მადათოვის კუნძული“ იყო. აქ ცლიდნენ თითქმის მთელი ქალაქის სანაგვე ყუთებს, ამიტომაც „კუნძულზე“ მუდამ დაძრწოდნენ მშიერი ძაღლები“.

თუმცა კუნძულის გაუკაცრიელებამდე, ვიღაცისთვის მადათოვი ერთგვარი დემონური, შავ-ბნელი საქმეების საკეთებელი ადგილი იყო, ვიღაცისთვის დროის სატარებელი, საქეიფო, ვიღაცისთვის კი წმინდა ალაგი, რომლის მახლობლადაც ზამთრის ყველაზე სუსხიან დღეებში ნათლისღების რიტუალი აღესრულებოდა. აკი, გალაკტიონიც წერდა:

„ეს შელამება ნათელს დამათოვს,
მტკვარიც დაანთებს ნათელ ხარებას,
ათოვს ხიდეებს, ათოვს მადათოვს,
ათოვს ზმანებებს და მწუხარებას...“

ან კიდევ:

„გადმოფრენას ეს ყორანი
მადათოვზე აპირებს,
გაანათებს რესტორანი
ტივებიან ნაპირებს,

ასე მიდის ეს ზამთარი
სიზმარივით მდევარი,
ასე რეკავს საზანდარი უქმი,
შემაქცევარი,
რომ ისმოდეს საიათნოვას
დაჟანგული ჰანგები...“

თუმცა დინებამ, ამ შემთხვევაში არა მდინარისამ, არამედ დროისამ, ეს მისტიური ადგილი ჯერ ქალაქის ცხოვრებიდან, შემდეგ კი რუკიდანაც ამოშალა. ლავრენტი ბერიამ 1933 წელს საქართველოს კპ თბილისის კომიტეტისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ერთობლივ სხდომაზე წამოაყენა თბილისის გენერალური რეკონსტრუქციის საკითხი. გეგმა ითვალისწინებდა ქალაქის გაზრდას მტკვრის გასწვრივ 25 კილომეტრამდე. გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სანაპიროს მშენებლობას და მტკვრის ნაპირებზე მწვანე მასივების შექმნას.

გრანიტის აკვანში

„თლილ ქვით შემოსე ლაღი მტკვრის
ორთავ ნაპირი“,
გრიგოლ ცეცხლაძე, „ახალ თბილისს“

„ზურმუხტის ფარჩას არ უჩანს ბოლო,
მტკვარი ქვის აკვანს ეამბორება“
შალვა ამისულაშვილი,
„თბილისის ცის ქვეშ“

სწორედ მადათოვთან დაკრეს პირველად ბარი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მშენებლებმა. აი, რას წერდნენ საბჭოთა ისტორიკოსები ამ ეპოქალური მშენებლობის შესახებ:

„მტკვრის ორთავე სანაპირო 1930 წლამდე უსწორმასწორო, ჭუჭყიან, დაჭაობებულ, წვრილი სახელოსნოებითა და ფიცრული სახლებით დახერგილ ზოლს წარმოადგენდა. განსაკუთრებით ანტისანიტარულ მდგომარეობაში იყო ე.წ. მადათოვის კუნძულის ტერიტორია, სადაც აშმორებული წყალი და ნაგავი ჰაერს წამლავდნენ. მტკვრის გაუმაგრებელი სანაპიროები ქალაქში სტიქიური უყედურების საშიშროებას ქმნიდა. 1933 წლიდან თბილისში ინტენსიურად გაიშალა სანაპირო ქუჩების მშენებლობა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 18-ე წლისთავზე თბილისის მშრომელებმა მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი, გრანიტოვანი სანაპირო ვ.ი. ლენინის სახელობის ხიდიდან კ. მარქსის სახელობის ხიდამდე მტკვრის მარცხენა ნაპირზე (1225 მეტრი). ეს სამუშაო გრძელდებოდა შემდგომ წლებში. სანაპირო ქუჩა მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადაიჭიმა ზემოთ ჩელუსკინელთა ახალ ხიდამდე, ხოლო ქვემოთ კალიაევის (ბარათაშვილის) ხიდამდე“.

1933 წლის დეკემბერში გაზეთი „კომუნისტი“ იტყობინებოდა: „...დაიწყო მადათოვის კუნძულის შემოგარენში დიდი ქალაქების ცნობილ სანაპიროთა შორის ერთი ყველაზე ულამაზესი მტკვრის სანაპიროს მშენებლობა. ძირკვავდნენ ბუჩქებს, ტკეპნიდნენ გზას და ხრეშს აყრიდნენ. მოჰქონდათ ხე-ტყე, ცემენტი. მტკვრის პირას ამზადებდნენ, ხრეშსა და ქვიშას, იქვე ულეველი იყო, მაგრამ ყველაფერი ეს დიდძალ მუშა-ხელს მოითხოვდა. ტექნიკა არ ყოფნიდათ, და მანქანების მაგიერ ურემსა და ხარ-კამეჩებს იყენებდნენ. მიწას ბარითა და ნიჩბებით თხრიდნენ, კლდეებს წერაქვითა და ჩაქუჩებით ანგრევდნენ. ...ამ მილეთ ხალხში ყოველდღე ახალახალი ნაკადი მოდიოდა, იმათგან ბევრმა, განსაკუთრებით ბორჩალოდან ჩამოსულმა მიწისმთხრელებმა, ხელმოწერა არ იცოდნენ. ფულს მიიღებდნენ თუ არა, ჯვარს დაუსვამდნენ ქაღალდზე.“

სანაპიროს რეკონსტრუქციაში, საბჭოთა მშენებლების გარდა, ჩართული იყვნენ საბჭოთა პოეტებიც, რომლებიც შრომის გმირებისა და მშენებლობის მნიშვნელობის შესახებ წერდნენ საეჭვო ღირებულების პროპაგანდისტულ ნარკვევებს, მოთხრობებს, რომანებსა და ლექსებს. სიმონ ჩიქოვანის ერთი ლექსის სათაური, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ „მტკვრის სანაპიროა“:

„წყალში ელავენ სარკმლის შუშები,
ნუშის რტოები მოურთავს აპრილს,
მტკვარში ჩამდგარან გამრჯე მუშები
და უსწორებენ დამტვრეულ ნაპირს.
...მღერის ალვების მწყობრი კრებული,
სანაპირონი სხედან მწვანეში,
და დგას თბილისი, ამოვლებული
მტკვარში, მზეში და მატიანეში“.

მშენებლობას ხელმძღვანელობდა თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილების გამგე, ინჟინერ-ჰიდროლოგი ტიტე ლორთქიფანიძე. მისი განკარგულებით, სანაპიროს მშენებლებმა მტკვარი ბეტონის მარწუხებში მოამწყვდიეს და გზა გადაუღობეს მადათოვისკენ. 1938 წელს ჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ თბილისში მიმდინარე გრანდიოზულ ურბანულ ცვლილებებზე თავმომწონედ წერდა, რომ „ფერშეცვლილია და ძველი თვალისათვის სრულიად უცნობი გრანიტის სალტეში ჩაჭედილი მტკვრის ნაპირები“.

თბილისის ცენტრალური ნაწილის რეკონსტრუქცია ჯამში ორ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში გაგრძელდა. მტკვრის ორივე სანაპიროს მთავარ კვანძებზე ქარვასლების, ხიდების თუ ძველი ქუჩების აღებით, თბილისი მნიშვნელოვნად განიძარცვა ისტორიული შემადგენელისგან. მშენებლობამ თბილისს, მის ისტორიულ უბანსა და იდენტობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. დაინგრა და განადგურდა ისტორიული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. მარტო ავანაანთხევისა და მტკვრის შესაყართან (ბარათაშვილის ხიდთან) მდებარე ვანქის (ფაშავანქის) დიდებული მონასტერი რად ღირს. სწორედ გასული საუკუნის 30-იან წლებში სანაპიროსა და ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციას ემსხვერპლა „პირველი მამათ მონასტერი, სადაც მჯდომარებს ეჯმიაწინით წარმოვლენილი ეპისკოპოსი ანუ არხიეპისკოპოსი, წინამძღვრად წოდებული, განმგებელი საქართველოს ჰაოსთა, ამას შინა არს. აღშენებული ქვით-კირით დიდი ეკლესია... არს აღშენებული წელსა 1480-სა“.

ზეპირი გადმოცემის თანახმად, კვების მრეწველობის საკავშირო კომისარს ანასტას მიქოიანს მოსკოვიდან დაურეკავს ლავრენტი ბერიასთვის და საყვედური უთქვამს, კულტურის ძეგლებს რომ ანგრევთ, უკეთესს რას აშენებთო. „კომუნიზმს ვაშენებთ, ანასტას ივანიჩ, მეტი უკეთესი რა უნდა ავაშენოთ“-ო, ცინიკურად უპასუხია ბერიას.

დასასრული მე-16 გვერდზე

გიორგი კეკელიძე

სიმღერა მშრალი ეკადიშისას

თოვლი დავმარხე,
მარტის შავი ჭიები ჭამდნენ,
საფლავზე ვწევარ – ზურგს მკვდრის
                                    სველი სუნთქვა მიგრილებს
და ვგრძნობ ნეკნებზე, რომ თეთრ დროშად მკიდია ხორცი
და ათასი მტრის დასანახად ურცხვად ფრიალებს.

გაფრინდი ჭრელო პეპელა

და სიზმრებს –
მრუდე ცხადის გამდინარე, ნათელ სარკეებს,
ძილამდე ვამღვრევ,
სამარეში რომ სხვად იდინონ.

გაფრინდი ნელა

ჩემი საქმეა ძნელი საქმე,
მეზობლების სამკალის მოვლა,
ეს ენა ძნაა – ძნად შევკარი,
ბანზე გავფინე
და სიტყვებს ქარის საკენკად ვმარცვლავ –
ჩემი საქმეა ძნელი საქმე –
ქარისთვის სიტყვის გატანება
და

შენც გაფრინდი,
აჰა, ყულფი უკვე მოვირგე,
ყელი არა, მხოლოდ შორი დღეები მტკივა,
სიცოცხლეს რომ მივამსგავსე.

გაფრინდი ნელა,
ჭრელო პეპელა,
გაფრინდი ნელა
გადამატარე ბედის საზღვარი.

ძლისპირი საიქიოსა და სააქაოზე

შელოცვა. ვერმოსწრებული სიზმრის საკითხავი

გამოდი, სულო, ტანიდან,
გამოდი, სულო, ტანიდან –
გააშიშვლე შიგნიდან ტანი
(მერე ტანს რცხვენია სიშიშვლის,
სირცხვილისგან იწურება
ნელ-ნელა
და
ქრება)
გამოდი, სულო, ტანიდან,
ქარის მოტეხილი ფრთა ბუჩქებში ტოკავს,
კოჭლი ძაღლი საგალობელს იზეპირებს –
შენი წასვლის ნიშანია.
მე ვარ აქიმი კაცისა.
მგლის ქონით მოვსულვარ,
წითელი თხის ბეწვით მოვსულვარ,
ბოცვერის თვალის წყლით მოვსულვარ
და მართალს გეტყვი:
მიწა იწვის სიზმრებისგან,
რომლებიც საფლავში ჩაიტანეს,
ცოცხლად დამარხული სიზმრებისგან,
იმ ღამით რომ უნდა ენახათ,
სანამ მკვდრები მოკვდებოდნენ,
სიზმრები მიწაში დაიბადნენ
და მიწა იწვის.
მე ვარ აქიმი სულისა,
მე ვარ ავი და მართალი,
მართალსვე გეტყვით:
სიზმარია ეშმაკი და ანგელოზი,
პური და მარილი,
ღვინო და ღიმილი,
ცრემლი და სარეცელი,
სიზმარია ჯოჯოხეთი და სამოთხე,
სიზმარია და მარადჟამს იმას ნახულობ,
რაც სიკვდილამდე ჩაისახა
და
მიწაში იშვა.

სხვა მაგდალინელის ძლისპირი

გალეწა წამწამში სარეველა წამწამი,
დაწვა და სხვა მინდვრებიც
გაითენა.
მოსინჯა თმაში ჩარჩენილი სავარცხელი,
უხარ–უმეხრეო წითელი
გუთანი.
ოდნავ გაიღიმა –
კბილებით ეჭვის ჭიაზე ინადირა,
უნებლიე ნაოჭში რომ დაძვრებოდა
და სარკე დახურა.
მობრუნდა და მითხრა:
„დაწერე ჩემზე ზღაპარი,
დამარქვი თუნდაც ეშმაკის მესაწოლე,
მეძახდე
კუდიანს,
მაძაგე
მეძავი,
თქვი, რომ ჩემი საშო გუგულის
ბუდეა,
გუგულის კვერცხებს გველის წიწილები
ეძებენ.
ოღონდ ბოლო იყოს ასე –
რომ ჭირიც იქა, ქატოც იქა,
ლხინიც იქა, ფქვილიც იქა,
იქა მეც და შაშვიც მგალობელი,
მისთვის მგალობელი შაშვი,
ის ბრმა
და ჩემი მწყალობელი“.

ძლისპირი ზღაპრით და უზღაპროდ

მე თვალით ქორი,
კბილით ბროლი,
ბაგით ცეცხლი,
ტანით სარო,
მუხლით მგელი
ანუ
მუცლითმეზღაპრე.
და სხვა ბევრი სიცრუეც ვთქვი –
კალოსავით გავლეწე მტერი
და აბჯრის ძნები მხარზე გავიდე...
მტვერი არაა იმის მეტი,
რაც ქარს შემორჩა,
მტრის სხვა მტვერი ბზედ მოვხვეტე,
თხებს დავუყარე –
ცად კი მზე მოკვდა,
მზე იხრწნება
და
ღრუბლის იაფ სუდარიდან ელვად მოჟონავს,
მკვდარი მზის სუნი ცის ციცაბო კედელს ჩამოყვა.
განრისხდა ღმერთი და ჩამომძახა –
„კაცი ხარ და პირსა მიქცევ,
კაცი ხარ და ფეხმძიმე,
აიღე დანა და გაიპე მუცელი“.
გავიპე მუცელი
ანუ
მე თვალით ბატი,
კბილით ჩვილი,
ბაგით ნაცარი,
ტანით ვაზი,
მუხლით ბოცვერი.

მზის ზამთრის ძილი

(არაბული სიმღერებიდან)

და თქუენ განლაღებულ ხართ და არა უფროისად იგლოვეთ, რაითა მოისპოს თქუენ შორის, რომელმან საქმე ესე ქმნა. პავლე მოციქულისა წიგნი კორინთელთა მიმართ

სანამ მოვედი — დამინახეს.
გზაზე ყველა ჭა დააყრუეს — ჩასძახებ და ექოდ სათლით
ყინვა ამოგაქვს.
სანამ მოვედი — დამინახეს.
გზაზე ჭორი დამიყარეს — რომ გამევლო,
ფეხი გამეჭრა
და შენს სახლამდე მოწითალო კვალი მეთესა.

სანამ მოვედი — დამინახეს.
მახედ შეთხზეს მკაცრი ზამთარი,
თუმცა მაინც მოვდიოდი —
ხელში საგზალი მეჭირა და ქვა — სალესი
და სალამური — მოწყენისას საალერსოდ.

სანამ —
გზა კეცეს, კეცეს და დაკეცეს.
მე თბილი სახლი ავიშენე.
ვცხოვრობ იოლად მოსაგნებად — სადღაც შენამდე.

სახლს ჭერი აქვს და ერთი კარი. ორი ლოგინი.
სანამ ძილისთვის დავითხრიდი ჯიუტ თვალებს
(რადგან ქუთუთო დედაჩემმა მომათალა,
                                    მზერა როცა ავიდგი),
ქარმა მათრახით ჩემი სახლის ზურგს
                                    ცხრაპირი თოვლი გადააძრო —
ნიშნავს — ცხრა ზამთრის თვე გავიდა და მომბეზრდა
                                    ფხიზლად ტკივილი.

თვალებდათხრილმა სისხლი დავლიე,
რომ ძილი უცხო ღვინოსავით მომკიდებოდა.
სალამი თქვენდა —
ახლა მძინავს.

ზამთრის ძილია —
როცა სათქმელი შეიბრუნე და სიტყვები მკვდარ
                                    ფილტვებში დაწრიალებენ,
როგორც პატარა სათევზაო პარკში ჭიები, მეთევზეს
                                    ძველი ჯიბიდან რომ ამოუვარდა.

ზამთრის ძილია,
როცა თვალი შეიბრუნე და ცრემლი ჩაიბრუნე,
როცა ჭაღარაც შეიბრუნე ანუ ახლა თმა შავია —
                                    სისხლი თეთრდება.

ზამთრის ძილია,
როცა ცხადის საკენკი არ გაქვს
და სიზმრებსაც მოშივდებათ,
ცარიელები ჩემს თხელ კედლებს მოაწყდებიან
და გამომხრავენ
და ჩემი ძვალი,
ბავშვებს ზაფხულში სათამაშო ჯოხად დარჩებათ,
ჯოხი — ჯოხია, მობეზრდებათ, ისვრიან სადმე
და კოჭლ მაძებარს დაუგდებენ მერე ვაჭრები.

ნინო გუგეშაშვილი

კვაკარდი

მეტროში მომადგა დარი-დურის ბავშვი, სანამ პრაეზდნოი არ გადავუსვი თავზე – არ შემეშვა.

დათო მდივანი

— მამაჩემი ხან დენის ქვითრებს კითხულობს, ხან სერვანტესს.

— დედაჩემიც რა ტიპია, იცი? გუშინ დაიჩემა, კარმენი ქალის სახელიაო...

— დაიფიცე! გეკაიფა ალბათ!

— შენ თავს გეფიცები! წინა საუკუნეში კარმენი ყოფილა ქალის სახელი!

— როგორ, ტოო?! კარ მენ...

— მაგდენი ინგლისურიც არ იციან და ჩვენ გვეძახიან გაუნათლებლებს. თქვენ კარმენი მანქანიანი კაცი გგონიათო. მე ვუთხარი, კი არ გვგონია, არის-მეთქი.

— კარ ვუმენ მაინც იყოს, ტოო!

გაიგუდნენ სიცილით შეყვარებულები.

ბიჭმა გოგოს ტუჩებზე საკრედიტო ბარათი გადაატარა, დაელოდა და ტუჩებმა კარგად რომ დაიწრიპინეს, მერე აკოცა.

— აუ მამაჩემიც ეგ ტიპია. რა გაუნათლებელია, იცი? სულ ვკითხულობო და ნაკითხი ვარო. არადა ხან ქვითრებს კითხულობს, ხან სერვანტესს.

— რა გინდა, ხო კითხულობს?! – ჩაბჟირდნენ ისევ.

— მე ვეუბნები, აიღე ახლა, ან ლონტენროი წაიკითხე, ან ფეზლიშვილი, რაღა დროს ქვითრები და სერვანტესია.

— რა საყვარელი ხარ! – ახლა გოგომ გადაატარა ბიჭს ტუჩებზე კვაკარდი და აკოცა.

— გამატარეთ ლამაზებო, ჩავდივარ. – წამოდგა ზერო და გასასვლელში ჩახუტებულ წყვილს მიადგა.

— ჩადით, ჩვენ რა შუაში ვართ?! – მხრები აიჩეჩა წყვილმა.

ზერომ ქურთუკის ჯიბიდან ამოიღო კვაკარდი, წყვილს თავზე გადაატარა.

წყვილმა დაიწრიპინა და გვერდზე მიდგა.

ზერომ გაიარა, ახლა სენსორზე გადაატარა კვაკარდი და ავტობუსიდან ჩამოვიდა. იქვე სუპერმარკეტში შეუხვია, სიგარეტი და მარილიანი ჩხირები აიღო, გამოსვლისას კვაკარდი დააწკეპა სენსორზე. ჩხირების შეკვრა სუპერმარკეტშივე გახსნა და გამოვიდა.

გაზაფხული დგებოდა, ჰაერში კრედიტების ფლუიდები დაფრინავდნენ და კვაკარდები გალობდნენ.

მეტროში შესულ ზეროს ერთი ჩხირი ძირს დაუვარდა ისე, რომ ვერ შეამჩნია. მაშინვე პოლიციელი გადაუდგა წინ.

— მოქალაქევ, დანაგვიანებისთვის დაჯარიმებული ხართ 15 კვაზარით, გადაიხადეთ.

— ახლავე! – უპასუხა ზერომ და კვაკარდი პოლიციელს დაადო თავზე. პოლიციელმა დაიწრიპინა და გაატარა.

შემდეგ მეტროს სენსორმა დაიწრიპინა და გაატარა.

ზეროს 15 კვაზარის დაკარგვის დარდი მოწესრიგებული საგადასახადო სისტემით სიამაყემ და ვალმოხდილი მოქალაქის სისავსის შეგრძნებამ შეუმსუბუქა. ესკალატორით დაეშვა. ესკალატორიდან გადმოსულს პატარა ხელგაწვდილი გოგონა მიუახლოვდა, ათიოდე, ან ცხრაოდე წლის, რომელსაც ხელში უფრო პატარა, ორიოდე წლის გოგონა აებღოტებინა. „დარი-დური, დარი-დური, დარი-დარალეეე“, მღეროდა მოზრდილი გოგონა, ხოლო პატარა გოგონა მელანქოლიური დილეით მიჰყვებოდა „დალი-დული, დალი-დული, დალი-დალალეეე“... ზერომ სათითაოდ გადაუსვა თავზე ორთავეს კვაკარდი, გოგონებმა დაიწრიპინეს და გაჩუმდნენ.

ბაქანზე რამდენიმე ასეთი ბავშვი დადიოდა, ხმოვანი ციცინათელებივით აქაიქ „დარი-დურის“ ანთებდნენ. მღეროდნენ, სანამ კვაკარდს არ დაადებდა ვინმე თავზე, არ ჩუმდებოდნენ. მერე დიდუბის სადგურზე დიდი ჩანთით და გულზე ახუტებული გაზეთების სქელი დასტით მაღალი ინტელიგენტი შემოვიდა, შუაგულ ვაგონში მაკრატელივით ფეხებგაშლილი დადგა და მხატვრული კითხვის ვეტერანის მსგავსად, მღელვარედ წარმოთქვა:



— თანამემამულენო, თუ დამითმობთ თქვენს ძვირფას ყურადღებას, თქვენ შეიტყობთ, რომ ვაგონიდან გაუსვლელად შეგიძლიათ შეიძინოთ ნაკურთხი ამინდის პროგნოზი, წლის, თვის და კვირის ჰოროსკოპები, ასევე მეტროს სადგურების და სუპერმარკეტების ცნობარები, მიწისძვრის პროგნოზი ერთად და ცალცალკე, ორიგინალი ანეკდოტები და ჩემი ბრძნული გამონათქვამები. თუ თქვენ შეიძენთ მხოლოდ ორშაბათის ჰოროსკოპს, მაშინ მას საჩუქრად მოჰყვება სამშაბათის ჰოროსკოპი და ორი ბრძნული გამონათქვამი, ხოლო თუ შეიძენთ...

როგორც კი ზერომ თავზე კვაკარდი დაადო და საეკლესიო კალენდარი გამოართვა, ინტელიგენტი იმწამსვე გაჩუმდა. ზერო დაჯდა და საეკლესიო კალენდრის თვალიერებას შეუდგა.

ზუსტად თხუთმეტ წამში ინტელიგენტი ისევ ალაპარაკდა:

— ხოლო თუ თქვენ შეიძენთ ორშაბათის ამინდის პროგნოზს, მაშინ მას საჩუქრად მოჰყვება პარასკევის მიწისძვრის პროგნოზი და თქვენი მონა-მორჩილის ერთი ბრძნული გამონათქვამი მიწისძვრის შესახებ...

ახლა ახალგაზრდა ქალმა გადაუსვა თავზე კვაკარდი ინტელიგენტს და ორი ბრძნული გამონათქვამი გამოართვა. ინტელი ისევ თხუთმეტი წამით გაჩუმდა...

„დარი-დური, დარი-დური, დარი-დარალეეე“, მოისმა მარჯვნიდან და მარცხნიდან ერთდროულად. მგზავრებმა კვაკარდები მოამზადეს.

— თუ თქვენ შეიძენთ სამშაბათის ბრძნულ გამონათქვამებს და შაბათის მიწისძვრის პროგნოზს, მაშინ საჩუქრად მიიღებთ პარასკევის სიზმრების ახსნას და ხვალის სავალუტო კურსს.

— მე მარტო ერთი ბრძნული გამონათქვამი მინდა სიყვარულზე. – მიუახლოვდა თინეიჯერი გოგონა.

— მარტო ერთ ბრძნულ გამონათქვამს საჩუქრად მოჰყვება მხოლოდ გასული ორშაბათის სიზმრების ახსნა და გასული კვირის ყველა პროგნოზი, როგორც მიწისძვრის, ასევე ამინდის და სავალუტო კურსის...

ზერო სამსახურში მივიდა, კაბინეტის კარის ჭრილში კვაკარდი ჩააჩხეტა და გააღო...

შესვენებაზე კაფეში გავიდა, ორი ცალი კარტოფილიანი და ორიც ხორციანი ღვეზელი აიღო, მაგიდას მიუჯდა და კვაზრიდერი ამოიღო. ჯერ ღვეზელებზე გადაატარა კვაკარდი, მერე კვაზრიდერზე. ბედნიერების ერთი საათი ჩაირთო — ზერომ უდარდელად ჩაკბიჩა დაწრიპინებული ღვეზელები, კვაზრიდერს ჩააშტერდა და „კარმენის“ კითხვას შეუდგა.

შესვენების მერე ისევ სამუშაოს დაუბრუნდა.

სამუშაო დღის ბოლოს, ზუსტად 6 საათზე, მისმა კვაკარდმა დაიწრიპინა, რაც იმას მოასწავებდა, რომ მისი დეპოზიტი შეივსო სწორედ იმდენი კვაზარით, რამდენიც მან გამოიმუშავა დღის ბოლომდე.

სახლისაკენ იგივე გზა რევერსით გამოიარა:

— ხოლო თუ შეიძენთ მთელი წლის მიწისძვრის პროგნოზს, მაშინ დასაჩუქრდებით ყველა ბრძნული გამონათქვამით, რაც კი ოდესმე თქვენს მონა-მორჩილს გამოუთქვამს...

— ჩემი კრედიტების დაფარვის განრიგი, ან პროგნოზი არ გაქვთ?

— კარგი აზრია, ბატონო. ხვალიდან ნებისმიერ მსურველს შეგეძლებათ შემოიკვეთოთ კრედიტების დაფარვის განრიგი. თუ თქვენ შეიძენთ მარტის კრედიტების დაფარვის განრიგს, მაშინ საჩუქრად მიიღებთ აპრილის მიწისძვრის პროგნოზს და ჩემს ორ ბრძნულ გამონათქვამს კრედიტების დაფარვის თაობაზე...

„დარი-დური, დარი-დური, დარი დარალეე“, მოახლოვდნენ ხელგაწვდილი ბავშვები, „დალი-დული, დალი-დული“...

იგივე სუპერმარკეტში ძეხვი, ცხარე საწებელი, ყავა და პური იყიდა, ჯიხურში – ლოტოს ორი ბილეთი. კვაკარდი ჯადოსნური ჯოხივით ეჭირა და გარესამყაროს მიუსვ-მოუსვამდა მარჯვნივ თუ მარცხნივ. ორ სხვადასხვა ბანკში შეიარა და იქ გადაატარა აპარატებზე, მერე ავტობუსში ავიდა და სენსორზე გადაასრიალა. მერე შეყვარებულ წყვილს გადაავლო თავზე, რომელიც ისევ გასასვლელში იდგა ჩახუტებული და ცხვირებმიბჯენილი.

— აი, გული მიგრძნობდა, რო გაიმარჯვებდი... რა მაგარია! – ამბობდა აღფრთოვანებული გოგო.

— აუ, რას მოვწყვიტე, იცი? ქვებივით ჩამოვიტოვე ყველა გონშიკი. ეს უნდა გენახა.

— ვაუ, რა მაგარიაა! ჰამილტონსაც გაასწარი?

— არა, ჰამილტონს რა უნდოდა რუსთავის ტრასაზე?!

— აბა, მარტო ჰამილტონი მისწრებსო?

— ჰამილტონი კომპში მისწრებს, თამაშში, მართლა კი არა! ეს მართალი რალი იყო, რუსთავის ტრასაზე.

— აააა, ეგ სხვადასხვაა?...

— კი, სხვადასხვაა. რა საყვარელი ხარ! – უთხრა ბიჭმა და ლოყაზე უფასოდ აკოცა.

გოგომ ტუჩები მიუშვირა.

— არ მაქვს კრედიტი, — უთხრა ბიჭმა.

გოგომ ჯერ გაბუტა ტუჩები, მერე დაუშვა...

ზერო სადარბაზოში შევიდა, ნელა აუყვა კიბეებს.

მეორე სართულზე შეჩერდა და საკაბელო ტელევიზიის და ინტერნეტ-პროვაიდერის ფარებს გადაავლო კვაკარდი, მესამეზე დენის მრიცხველს, მეოთხეზე წყლის მრიცხველს, მეხუთეზე გაზის, მეექვსეზე საკუთარი ოთახნახევრიანი ბინის კარებში შეაჩხეტა და ასე წრიპინ-წრიპინით დაბრუნდა სახლში.

ოთახში შესულმა კარი ჩაკეტა, კვაკარდი კედელზე დამაგრებულ, მოჩუქურთმებულ, მინიან ჩარჩოში ჩადო, წინ ყვავილები დაულაგა, ხელები აღაპყრო და წარმოთქვა:

— სახელითა ბანკისათა და ფულისათა და დიდისა ფულად-საკრედიტო სისტემისათა, დღეს და მხოლოდ და მხოლოდ ერთი თვით თავისუფალი ვარ გადასახადებისგან, კვაზრინ!

ტელევიზორი და კომპიუტერი ერთდროულად ჩართო, ძეხვი დაიჭრა, ყავა მოიდუღა.

არც ტელევიზორს უყურებდა, არც კომპიუტერს. უბრალოდ თვალებგაშტრებული ჭამდა და ფიქრობდა.

უკვე ჩვიდმეტი წელია დადის, პატიოსნად მუშაობს, მერე შეივლის მაღაზიაში და მხოლოდ იმდენის ყიდვის უფლებას აძლევს თავს, რამდენისაც რეალურად აქვს. სიგარეტი, ყავა, პური, გადასახადები, ხანდახან იაფი, ან მეორადი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, თვეში ერთხელ – სახინკლის დღესასწაული, ორ-სამ წელიწადში ერთხელ – ქობულეთი, ან ურეკი 5-6 დღით...

დადის, დააწრიპინებს ბარათს. იმუშავებს – შეივსება, მერე წავა იყიდის, იმგზავრებს – ჩამოეჭრება. მერე ისევ იმუშავებს – ისევ შეივსება...

დადის, კვაკარდს დაატარებს, მისი დაკარგვის პანიკური შიში დასდევს დაბლერივით. ერთხელაც რომ დაკარგოს?!...

ან რა წრიპინებს?! რა არის შიგნით?! რა ჯდება, რა ეჭრება?!

საერთოდ, ფული არსებობს? ქვეყანას ააქვს ფული?! სადაა?!...

„რა მოხდება, ერთხელაც რომ გადავყაროთ ეს ბარათები? ჩემით წავალ, ვიმუშავებ პატიოსნად და მერე იმდენს დავხარჯავ, რამდენიც გამოვიმუშავე. მე ხომ უკვე ვიცი, წლობით ვაკეთებ ამას, რატომ მაკონტროლებს ეს ბარათი! მენდოს სახელმწიფო, არ შეიძლება?! ხომ დავამტკიცე ჩემი ცხოვრებით, რომ...“

უეცრად კვაკარდმა დაიწრიპინა. ზერო წამოხტა შეცბუნებული, თითქოს მსხვილ დანაშაულზე წაასწრეს. ჩანგალი იატაკზე დაუვარდა. კვაკარდზე შეტყობინება მოსულიყო: სოციალისტური ფიქრებისთვის დაჯარიმებული ხართ 25 კვაზარით. სოციალისტური ფიქრების განმეორების შემთხვევაში დაჯარიმდებით ჯარიმის ათმაგი ოდენობით. კვაკარდი — თქვენი მატერიალური კეთილდღეობის და თავისუფლების გარანტი! იგრძენით მომავალი დაცულად!“

— განვარისხე „კვაკარდი“! – აღმოხდა ზეროს, ბარათი ჩარჩოში დააბრუნა, ყვავილები უფრო ახლოს მიულაგა და მუხლებზე დადგა, — გმადლობ, შენ, კვაკარდ, რამეთუ დღეს დამანაყრე მე ძეხვითა, საწებლითა და პურითა და დაფარე გადასახადნი ჩემნი დიდნი თუ მცირენი...

აღარ შეაწუხა კვაკარდი ძილის წინ, აღარ გადაატარა საწოლის თავზე, უსიზმროდ დაიძინებს დღეიდან. ზაფხული ახლოვდება, სამი თვე თუ უსიზმროდ დაიძინებს, იქნებ 5 დღით ქობულეთში წასასვლელი ფული მოაგროვოს.

ორი თვის წინ შავ-თეთრ სიზმრებზე გადავიდა — მარტო ნახევარ საწოლზე ასრიალებდა კვაკარდს, ეტაპობრივად დაიწყო ზოგვა. დღეს, რადგან ბარათიც განარისხა და თან ზაფხულიც უკვე ახლოსაა, საერთოდ უსიზმროდ დაწვება. რა აუცილებელია სიზმრიანი ძილი?! შეუძლია ცხადში დაისიზმროს, დაძინებამდე, თუ წარმოიდგენს რომ მიადგა ქობულეთის გარეუბანს, ან იქნებ სულაც ცენტრს, მოატარა კვაკარდი სივრცეში და წარმოთქვა: „ჩამოვედი პატიოსნად დაღლილი და მიმიღე შენ, ეჰა, ქობულეთო, დამასვენე 5 ისეთი გრძელი დღით, რომ ათად მომეჩვენოს“...

დასასრული მე-14 გვერდზე

კიროსი, არტასექსე და ერეკლე II

სპარსეთის მეფე კიროსმა ბაბილონი რომ დაამარცხა, ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ წასხმულ ებრაელებს გამოუცხადა, შეგიძლიათ მშობლიურ იუდეას დაუბრუნდეთო. თავისუფლება 70- წლიანი ტყვეობის შემდეგ მოვიდა.

იუდეის ებრაელობა ერთობ შეჭირვებული იყო – ბაბილონთან ომმა ქვეყანა გააჩანაგა – ვერა და ვერ მოითქვა სული, ვერც რიცხობრივ იმრავლა.

თითქმის რვა ათეული წლის შემდეგ სპარსეთის სხვა მეფე, ამჯერად არტასექსე, იუდეის სულიერ ლიდერად გზავნის რაბი ეზრას.

მეფე არტასექსემ ეზრას, თურმე, უთვალავი ოქრო-ვერცხლი გამოატანა. სასახლის კარმა რა დაინახა, მეფე ასე გაისარჯაო, თავადაც კარგად გაიკრა ჯიბეზე ხელი. ასე, რომ რაბი ეზრა დიდძალი საუნჯით დაუბრუნდა იუდეას. მეფური დიდსულოვნების და ტოლერანტობის დიდებული ნიმუშია დოკუმენტი, რომელიც არტასექსემ რაბი ეზრას გამოატანა: ეს ოქრო-ვერცხლი მხოლოდ ტაძრის აღდგენას მოხმარდესო, ხოლო იმით, რაც ტაძრის აღდგენის შემდეგ დაგრჩებათ, „ჰქმენით ის, რასაც შენ და შენს ძმათ ჭკუა-გონება გიკარნახებთ“. ეს ერთი. მეორე: და იქნებ, უფრო მნიშვნელოვანიც: „ხოლო შენ, ეზრა, შენი ღვთიური სიბრძნით დასვი მმართველნი და მსაჯულნი, რათა მათ განსაჯონ მდინარის გაღმელი ხალხი. განსაჯონ ყველა, ვინც არ შეასრულებს შენი ღმერთისა და მეფის კანონებს, დასაჯეთ სიკვდილით, ან განდევნეთ, ან ჯარიმა დააკისრეთ, ან არადა, ბნელში ჩაამწყვდიეთ!“

არტასექსე დიდი, ძლიერი პიროვნებაა და სჯერა, რომ სხვათა ღმერთი მის რწმენას არ გამორიცხავს, არც შეურაცხყოფს. ბედნიერება ის არის, როცა ადამიანებს აქვთ სურვილი და უფლება, ემსახურონ იმას, ვინც თავად მიაჩნიათ ღმერთად.

გადის 23-24 საუკუნე და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე ბაგრატიონი დაბა სურამიდან იღებს ერთი ებრაელი ქალბატონის – გვარად ფიჩხაძე – წერილს. ეს ფიჩხაძე მეფეს წერს: მამაჩემი გარდაიცვალა, ჩემმა ძმებმა მამაჩვენის ქონება გაიყვეს და მე არაფერი მარგუნეს. შენ ყოვლისშემძლე მეფე ხარ, იქნებ, რაიმე იღონო, ჩემი ძმები გონს მოიყვანო, რომ მამის ქონებიდან ჩემი წილი მივიღოო.

როგორც ხედავთ, ძმებზე დაწერილი ერთი ჩვეულებრივი საჩივარია. ძალზე უჩვეულო და მრავლისმთქმელია ერეკლე მეორის პასუხი: გამგებელსა სურამისასა. თუ ამ ქალს მოსეს რჯულის მიხედვით ძმათაგან წილი ეკუთვნის, მიეცესო.

მეფე ერეკლე მეორის ეს „რეზოლუცია“ რომ წავიკითხე, სახტად დავრჩი: არის სახელმწიფო, სახელმწიფოს აქვს დიდი ისტორია, თავისი კანონები, ჰყავს უზენაესი პირი – კანონმდებელიცა და აღმასრულებელიც და თავის, ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებას ავალებს საკითხი განსაჯოს სხვა ერის, ქვეყნის კანონთა მიხედვით?

რა საერთოა სპარსეთის მეფე არტექსესა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს შორის? სახელმწიფოც ჰქონდათ, კანონმდებლობაც, ძალაც მოსდევდათ, მაგრამ მათი შეხედულებები, ჰუმანისტური იდეალები კანონსაც კი სძლევდა. ასეთი იდეალები დიდბუნებრიობასა და სიკეთის ქმნაში იბადება.

იქნებ, ვინმე შემეკამათოს, მაგრამ მაინც მგონია: ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობისათვის ასეთი ტოლერანტობა ჩვენს განათლებულ, დემოკრატიის ზეობის ეპოქაშიც კი საოცნებოა.

რელიგიათა ზედაპირული ურთიერთობა

ლონდონში, ჰატროუს აეროპორტში რელიგიათა ურთიერთობის საკითხი უკვე თავისებურად მოუგვარებიათ: ერთ არცთუ ისე დიდ ოთახში მაგიდაზე ალაგია ახალი აღთქმა, ყურანი, ებრაული ლოცვანი, წინასწარმეტყველთა წიგნები. აქვე კარადაც დგას. კარადის უჯრებშიც ქრისტიანული, მუსლიმური, იუდაისტური წიგნებია.

რისთვის არის ეს ოთახი?

იმისათვის, რომ ამათუიმ ქვეყანაში, ქალაქში გაფრენის მომლოდინე ადამიანები, თუ ლოცვის ჟამი დაუდგებათ, აქ შემოვიდნენ, ილოცონ. აქვეა რელიგიური ატრიბუტიკა, განსაკუთრებით ბევრია მუსლიმური – პატარა ხალიჩები, რომელსაც ლოცვისას იატაკზე ჰფენენ. აი, მუსლიმი კაცი ხალიჩაზე დაჩოქილა. გატაცებით ლოცულობს, წელში იკაკვება. მეორე მუსლიმმა კი 5-6 წლის ბიჭი დაიყენა გვერდით, მეუღლე და პაწია შვილი აქვე ელოდებიან – ათიოდ ნაბიჯზე.

ვინც არ უნდა იყოს, რომელი რჯულისაც, მლოცველი კაცი ლამაზად მოჩანს, სათნოდ. ყოველი მლოცველი, რა რწმენისაც არ უნდა იყოს,სიმშვიდეს მიმოაფენს.

ნახევარ საათზე მეტი ვიყავი ამ ოთახში. არც ქრისტიანი, არც იუდეველი აქ არ შემოსულა.

მიუნჰენის აეროპორტშიც ცდილან რელიგიათა დაახლოებას – იმის შეგონებას, რომ ღმერთი ერთია. რელიგიური რეკვიზიტი აქაც უხვადაა – მუსლიმური, ქრისტიანული, იუდაისტური.

ესენი კი ცდილან, მაგრამ...



ოთახის შუაგულში თეთრი სვეტი დგას. ამ სვეტზე მუსლიმებს, ქრისტიანებს, თავთავიანთი მოსაზრებები მიუწერიათ. ყოველი ამათგანი თავიანთ ღმერთს ამჯობინებს – მუსლიმი – ალაჰს, ქრისტიანი – ქრისტეს. იუდეველებს არაფერი მიუწერიათ. სვეტზე ორი ქართული წარწერაც შევნიშნე: „ქრისტე!“ ღაღადებს ერთი, „ღმერთი მხოლოდ ქრისტეა“ — წერს მეორე.

კეთილი და პატიოსანი. ყველა თავის ღმერთს მიიჩნევს უმჯობესად, მაგრამ მუსლიმთა წარწერები რომ ათჯერ მეტია ქრისტიანულზე? წერენ არაბულად, ინგლისურად, გერმანულად.

მუსლიმური ზეგავლენის ზრდა სხვა ფაქტორებშიც ჩანს: აეროპორტის დირექცია ინფორმაციას გერმანულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე გვაწოდებს. ბებერი ევროპის ძარღვებში თურქული სისხლი ხმიანდება. ასე მეჩვენება, ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიდრე ის, რაც მოხდა 1453 წელს,როცა დაეცა კონსტანტინეპოლი. მაშინ ოტომანები ხმალს ისე ძლიერ იქნევდნენ, ქრისტიანობის ნავსაყუდელმა – ბიზანტიამ დაიჩოქა. დღეს ხმალი საჭირო აღარ არის, მუსლიმობა ევროპული ტოლერანტობით, დიდი შრომით, მუყაითობით იმკვიდრებს ადგილს გოთების საუფლოში.

რა იქნება ხვალ?

უფლის დღე

წმინდა ჰყავ დღე იგი შაბათი, ექვსი დღე იშრომე, ოფლი ღვარე, მეშვიდე დღე კი უფლისა იყოსო, ღაღადებს სინაის მთიდან მოსეს მიერ ჩამოტანილი ერთ-ერთი მცნება.

დიასპორის ებრაელები შაბათის განსხვავებულობას და განსაკუთრებულობის სრულყოფილად ვერ ვგრძნობთ – ადამიანი, რომელი რელიგიისაც არ უნდა იყოს, ცხოვრების რაგვარი წესითაც არ უნდა ცხოვრობდეს, გარემომცველი სამყაროს დიდ ზეგავლენას განიცდის. დიასპორის ებრაელობისათვის კი გარემომცველი სამყარო შაბათსაც იგივეა, როგორც ორშაბათს, სამშაბათს თუ ხუთშაბათს.

შაბათის რაობას მკაფიოდ, თვალსაჩინოდ ისრაელში შეიცნობ. პარასკევს მზე რომ ფეხაკრეფით ეცლება მისგან გათანგულ ქუჩებს, ამ მუდამ მოძრავ, ფუტკრის სკასავით ახმაურებულ, წუთისოფლის საზრუნავით აფორიაქებულ ქალაქებში სულის მომფონებელი სიმშვიდე ისადგურებს. სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში შეიცნობთ, თუ რა განსხვავებაა სადაგ დღესა და უფლის დღედ შესახელებულ შაბათს შორის: აღარ მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, იხურება ყველა საწარმო, ორგანიზაცია, მაღაზია. კოხტად მორთული, გაბრწყინებული მზერის ადამიანები ლამის ფეხაკრეფით მიეშურებიან სალოცავებისაკენ.

დასადგურებულ სიმშვიდეს კანტიკუნტად ჩავლილი მანქანის ძრავის ხმა თუ დაარღვევს. ის მანქანაც ჩაივლის და გარემოს ისევ სიმშვიდე ეფინება. ლოცვად მიმავალნი ჩავლილ მანქანას დანანებით, თავის უკმაყოფილო გაქნევით აყოლებენ თვალს. იციან: ამ მანქანებში მემარცხენე პარტიის წევრები, ან საბჭოეთიდან, უმეტესწილად რუსეთიდან, ჩამოსულნი სხედან. ისინი მიიჩნევენ, რომ შაბათი მხოლოდ იმით განსხვავდება სხვა დღეებისაგან, რომ სამსახურში არ მიდიხარ. მეტი არაფერი. უფლის მსახურება — ებრაელთა უწინარესი მოვალეობა? ზღვისპირა ქალაქში უფრო გამოკვეთილია შაბათისა და დასვენების დღის რაობა: ადამიანების (რეპატრიანტთა) ერთი ნაკადი ზღვისკენ, პლიაჟისაკენ მიეშურება, მეორე ნაკადი კი საპირისპირო მხარეს — სინაგოგისაკენ.

იწყება ლოცვა და საამო სახილველია, ადამიანები როგორ შეჰღაღადებენ უზენაესს, როგორ ავედრებენ მშვიდობას, ისინი სხვადასხვა ფერის არიან, იქნებ, ერთმანეთის მოქიშპენიც, აქ კი ერთიანდებიან – ერთსა და იგივეს ავედრებენ უზენაესს. სხვადასხვა ინტონაციით ლოცულობენ, სხვადასხვა კილოზე. ამათი ყურის მიგდება ბევრ საინტერესოს დაგანახებთ. მაგალითად, ქართველ ებრაელთა ლოცვის ინტონაციაში შესაძლოა, პოპულარული ქართული სიმღერების ინტონაციაც შეიცნოთ (ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახლდათ ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინის რაფაელ ელაშვილის ლოცვის მანერაში). ისე გულდაგულ ლოცულობენ, ისე შეჰღაღადებენ ღმერთს, თითქოს იგი აგერ, ახლოს იყოს და ყურს უგდებდეს, ვინ როგორ ლოცულობს, ვინ რამდენად გულწფელია უზენაესის ხოტბისას. ღრმად მორწმუნენი, ე.წ. „ხარედიმები“, დაბეჯითებით გვიმტკიცებენ: არა იარაღით, არა თქვენი სამხედრო სტრატეგიით, ჩვენი ლოცვით არსებობსო ისრაელი – ჩვენს ლოცვას შეისმენსო ღმერთი. აბა, რა აკავებს, რა თრგუნავს ამოდენა მტრულ სამეზობლოს, ყოველ დილას, ყოველ საღამოს წალეკვით რომ გვემუქრება. ებრაელები ზღვაში უნდა გადავყაროთო, გაიძახიან, ჩვენ კი კვლავ და კვლავ ვართ და ვიქნებით. ასეთია ნება უზენაესისა. ჩვენს ისტორიაში, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი ღმერთი მონაწილეობს“.

ისიც საამო სახილველია, ლოცვის დამთავრების შემდეგ კმაყოფილი, სახეგაცისკროვნებული ადამიანები ღვთისმადიდებელი პიუტების ღიღინით როგორ ბრუნდებიან შინ.

შაბათი ლოცვაში, მთელი კვირის ნაჯაფარი სხეულის შვებაში გაილევა და როცა საღამოს ცაზე ვარსკვლავები დასხდებიან, ისევ აფორიაქდება, ახმაურდება ქვეყანა. იწყება ცხოვრება – ბრძოლა გადარჩენისათვის. „ხარედიმები“ კი კვლავ ბიბლიას, თალმუდს, წინასწარმეტყველთა წიგნებს ჩასცქერიან და შესაძლოა, თავზე ისე დაათენდეთ, ვერც კი იგრძნონ.

ესენი არ ხმაურობენ – უხმოდ, უდრტვინველად ევედრებიან ღმერთს. იქნებ, ამ ახმაურებულ ფუტკრის სკაში უზენაესი სწორედ იმათ ლოცვას გამოარჩევს, ვინც მის მცნებებს მტკიცედ მისდევს?

ვინ იცის!..

შემოსვა-გახდა

ადამიანის შემოსვა უხსოვარ დროს დაიწყო. გაჩენიდან კარგა ხნის შემდეგ გადადგა ნაბიჯი პროგრესისაკენ: მიხვდა, რომ შიშველმა არ უნდა იაროს. შემოსვის პროცესი საუკუნეები გრძელდებოდა – ნელ-ნელა იმატებდა ტანსაცმელს. მერე ეს პროცესი დამთავრდა. საზოგადო ადგილებში ერთობ შემოსილი გამოდიოდა – ისე იმოსებოდა, როგორც შეეძლო. დღესაც ასეა, მაგრამ ამის პარალელურად გახდის პროცესი მიმდინარეობს – ადამიანი სამოსისგან ერთობ დაჩქარებული წესით ითავისუფლებს თავს. სოფლის ერთი ორღობიდან მეორეში კი არა, ქალაქიდან ქალაქში შილიფად გადადის. იმასაც კი ვხედავ, ერთი სახელმწიფოდან მეორეში, კონტინენტიდან კონტინენტზეც კი მოკლე შარვლითა და ფლოსტებით რომ მიემგზავრება. გაუბრალოვდა ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულება.

ამ პროცესში რა ადგილი უჭირავს მწერლობას? ან სჭირდებათ ამ ადამიანებს სიტყვაკაზმული მწერლობა? ადრეულ წლებში რკინიგზის სადგურებში, ავტობუსებში, მეტროში, ხშირად მინახავს წიგნს ჩაჩერებული ადამიანი. დღეს კომპიუტერებს ჩასჩერებიან. შიგ ახალ წამოწყებათა პროექტებს, აუდიტთა ანალიზის მასალებს კითხულობენ. ერთი შევნიშნე: პროზას კითხულობდა.

სიმართლე თუ წინდახედულობა?

ძალიან ძნელია განსაზღვრო, რა სჯობია, სიმართლე თუ შორსგახედულება. კარგად მახსოვს, ერთი ასეთი სენტენცია: ნუ იქნები მართალი, იყავი წინდახედული, გონიერი. მახსოვს, მაგრამ სრულად ვერ ვიზიარებ. სიმართლის უკანა პლანზე გადაწევა, სიმართლისადმი გვერდის ავლა ზნეობრიობას ვნებს. აი, ნახეთ, რას ღაღადებს ბიბლიური მეფე დავითი ფსალმუნებში: „მართლის მცირედი სჯობია, ცოდვილთა დიდ სიმდიდრეს, რამეთუ მკლავნი ცოდვილთა დაიმსხვრევიან, ხოლო მართალთა საყრდენი უფალია“ (37, 16-17), „ჩემი ფარი უპყრია ღმერთს, გულმართალთა მხსნელს. ღმერთი მართალი მსაჯულია“ (7, 12), „რამეთუ, შენ აკურთხებ მართალს, უფალო!“ (5,13) „მიპასუხე, ოდეს მოგიხმობ ჩემი სიმართლის ღმერთო!“ (4,1).

ხალხმა კი შეჰქმნა ზემოთმოხმობილი სენტენცია. ასე მგონია, ეს არის სიმართლის მსახურებით ვნებული ხალხის წამოძახილი: ასწონ-დასწონე, რას მოგიტანს სიმართლის თქმაო, ისევე, როგორც ქართველმა კაცმა: „მიჰყევ, მიჰყევ სიმართლესო, გამოგილევს სინათლესო“.

რატომ არის მიუღებელი რჩევა, მაგრამ მაინც...

მე რომ ეს რჩევა კარგად მქონოდა შესისხლხორცებული, ასე არ გავინაწყენებდი ისეთ დიდებულ ქალბატონს – მსახიობსა და საბავშვო მწერალს, როგორიც თამარ წულუკიძე გახლდათ. ჩინებული საუბარი სჩვეოდა — დინჯი, შთამაგონებელი: 30-იანი წლების პირველი ნახევრის რუსთაველის თეატრის დრამატულ ამბებს საინტერესოდ ყვებოდა.მეორეც, წამეკითხა, გამეგო ალ. ახმეტელისეული სპექტაკლების მშვენება გახლდათო. ყველაზე მთავარი: ახმეტელის მეუღლე იყო და დიდი რეჟისორი რომ დახვრიტეს, მას, როგორც უღლის გამწევს, პატიმრობა მიუსაჯეს – ასეთი წესი ჰქონია დიდ დიქტატორს.

გადასახლებიდან დაბრუნებული მინსკში ცხოვრობდა. ვგონებ, სამხედრო პირზე, გენერალზე გახლდათ გათხოვილი. საქართველოში დროდადრო ჩამოდიოდა.არა მხოლოდ თბილისში, თეატრალური საზოგადოების სოხუმის დასასვენებელ სახლშიც ვხვდებოდი.

საქართველოს ტელევიზია მინსკში ჩასულა და მისი შემოქმედებითი პორტრეტი მოუმზადებია. საინტერესოდ გვესაუბრებოდნენ მის მიერ განხორციელებულ როლებზე, გვაცნობდნენ იმ ტანჯვის გზას, გადასახლებაში რომ გაიარა.მერე კი თავად ქალბატონმა თამარმა ისაუბრა თავის ცხოვრებაზე, იმჟამინდელ ცხოვრებაზე, საბავშვო წიგნებზე.

ამასობაში ოპერატორი გვაჩვენებს ქალბატონი თამარის ოჯახურ გარემოს, მისი წიგნების გარეკანს, შესრულებული როლების ფოტოებს. ოთახის კედლებზე ბევრი ფოტოა, შეხვედრები, მეგობრები, მეუღლე – გენერალი, ძალიან ბევრი ფოტო... ბევრი სახე, ნაცნობი, უცნობი...

და ერთობ გულსაკლავი რამ... არსად არ არის სანდრო ახმეტელის ფოტო... ფოტოსურათებს შორის არ არის სანდრო ახმეტელის – მეუღლის, დიდი ქართველი რეჟისორის, ამ მსახიობის როლების არქიტექტორის ფოტო. გული მეტკინა, თითქოს ალექსანდრე ახმეტელი იმ დღეს ხელახლა დახვრიტეს. სიბრალული დამეუფლა... გულისტკენა კარგა ხანს მდევდა თან.

ორიოდ თვის შემდეგ ისევ თეატრალური საზოგადოების დასასვენებელი სახლი სოხუმში... აგვისტოს ერთ წყნარ საღამოს, ბაასისას ქალბატონ თამარს ვუთხარი, თქვენზე კარგი გადაცემა ვნახე და თქვენს ბინაში კედლებზე გამოკრულ ფოტოებს შორის, სანდრო ახმეტელის ფოტო რომ ვერ ვიპოვე, გული დამწყდა-მეთქი.

არ ვიცი, ვიყავი თუ არა მართალი, უნდა მეთქვა თუ არა, ახმეტელის ქვრივის, დღეს კი სულ სხვა პიროვნების მეუღლისათვის ეს სიტყვები. მაშინ, ამაზე არც დავფიქრებულვარ, უბრალოდ საუბრისას გულისტკივილი გავუზიარე. ამ კითხვაზე მოგვიანებით დავფიქრდი, მაშინ, როცა ქალბატონ თამარისგან სიცივე ვიგრძენი.

აი, სიმართლისა და წინდახედულების ურთიერთმიმართება.

სიმართლე, ცხადია, დიდი ძალაა, მაგრამ წინდახედულებასთან ხშირად კოჭლობს. იქნებ, ბრძნულია ის ჩემს მიერ დაწუნებული სენტენცია? ან ვის სჭირდებოდა ჩემი სიმართლე, ან რა სიკეთე მომიტანა? არა-რა. ზოგიერთი გადამკიდა კიდეც, ძლიერ გადამკიდა. ამით კი სხვები სარგებლობენ. იმ ჩემს მომდურავს იყენებენ.

„თუ სპექტაკლი მოგეწონებათ, შემოწირულობაც არ დაიშუროთ“!

„გრანდ ჰაიათ ჰოტელში“ პორტიე ვიდრე ნომრის გასაღებს მომცემდა, პაწია ქაღალდი გამომიწოდა, ამ ნომერზე დარეკვას გთხოვენო. დავრეკე. თურმე ირაკლი კავსაძე მირეკავდა, ერთ საათში გენერალური რეპეტიცია გვაქვს, იქნება მოსვლა მოახერხოთო. ნიუ-იორკიდან ვაშინგტონამდე მსუბუქი მანქანით წამოვედი, ხუთი შტატი გამოვიარეთ, გზაც მშვენიერია, მაგრამ მაინც მომთენთავი. დაღლილობა არაფრად ჩავაგდე და თეატრისაკენ გავემართე. ირაკლიმ როგორც ამიხსნა, ისე მოვიქეცი: ჩინურ უბანში მეტროში ჩავედი, ყვითელ მატარებელს კარგა ხანს ველოდე და „კრისტალ სიტიმდე“ ოც წუთში მივედი. „კრისტალ სიტის“ მეტროდან ქუჩაში არც უნდა გამოხვიდე, პატარ-პატარა დაფები იოლად გაპოვნინებთ „სინეტიკ თეატრს“.

ამ თეატრთან დიდი ხანია ვმეგობრობ, ვაშინგტონში ყოველ ჩასვლისას მოვდივარ აქ, რადგან ნიჭიერი ადამიანების საკრებულოს ვხვდები. ჩვენი პანტომიმის დიდი ოსტატის ამირან შალიკაშვილის მოწაფეები — პაატა და ირინე ციფურიშვილები, ადრე რუსთაველის თეატრის მსახიობი ირაკლი კავსაძე, ახალგაზრდა კომპოზიტორი კოკი ლორთქიფანიძე, ჩვენს დიდ სცენოგრაფს გოგი მესხიშვილს, ამ თეატრის არაერთი სპექტაკლის სცენოგრაფიაზე უმუშავია და წარმატებითაც, ახლა კიდევ ერთი ქართველი ყმაწვილის სახელი შემატებია ამ თანავარსკვლავედს – ვატო ციფურიშვილი.

იმდენი ქართული გვარი ჩამოვთვალე, ვშიშობ, მკითხველს არ შევუქმნა შთაბეჭდილება თითქოს ვაშინგტონის ქართულ თეატრში მიმეჩქარებოდეს, არა, ეს არის ამერიკული თეატრი, ამერიკის თეატრალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, რომელიც ამერიკული თეატრალური პრემიების განაწილებისას აშშ-ს არაერთ დრამატულ თეატრს გაჯიბრებია და უჯობნია კიდეც – წლის პრემიები ხან პაატას, ხან გოგის, ხან ირინას, და ხან ირაკლის მიუღია.

ამის თაობაზე არაერთხელ დაუწერია „ვაშინგტონ პოსტსა“ თუ „ნიუ-იორკ თაიმსს“, ამის თაობაზე მანამ ვიცოდი, სანამ ციფურიშვილებს გავიცნობდი – ჯერ კიდევ ნიუ-იორკში მიამბობდნენ: ქართველებმა ვაშინგტონში ისეთი თეატრი შექმნეს, უმალ მოექცა ამერიკის თეატრალური სამყაროს ცენტრში, პრემიებსაც ხშირად ღებულობენო.

და მე მაგონდება დიდებული ვასო ყუშიტაშვილი, რომელმაც უცხო ქვეყანაში —საფრანგეთში შექმნა თეატრი „ატელიე“. ამ თეატრმა გარკვეული როლი ითამაშა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგული თეატრის ისტორიაში.

„სინეტიკ თეატრი“, რასაკვირველია, ამერიკულია. მისი მსახიობები აშშ თეატრალურ სასწავლებლებში აღზრდილი ახალგაზრდები არიან, მაგრამ თეატრის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა ციფურიშვილია, მან შეჰქმნა ეს თეატრი. პაატას მაგალითზე კიდევ ერთხელ ვხედავთ ამირან შალიკაშვილის მოღვაწეობის მადლს – მისმა აღზრდილებმა არაერთ ქვეყანაში დაიგდეს კარგი სახელი. პაატა და ირინა დღეს ცოტა იუმორითაც გვიამბობენ იმ გასაჭირზე, რაც მათ აშშ-ში ჩამოსვლის პირველ წლებში გადახდათ. იმ დიდ, მძიმე, თავაუღებელ შრომაზე, რომელიც ამ თეატრის შექმნის პირველ წლებში გადახდათ. ამერიკა ტანჯვა-ვაებით, თავისუფალი, პატიოსანი შრომითა და ნიჭიერებით, სიხარულისაკენ მიმავალი ქვეყანაა. ამათაც ასე იშრომეს, იტანჯეს კიდეც და აშშ თეატრალური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცნენ. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ ორიოდე წლის წინათ ამ თეატრს საკუთარი შენობა მისცეს. ჩინებული ნაგებობაა – დაახლოებით 500 ადგილიანი დარბაზით. მეტროდან 3-5 წუთის სავალზე. აჰა, მდინარე პოტომაკთან მეტროს მატარებელი ზედაპირზე ამოყვინთავს, პოტომაკს გადაივლის, ისევ მიწის სიღრმეში შევა და მომდევნო გაჩერებაც „კრისტალ სიტია“. არ ვაგვიანებ. რვა საათი ჯერაც არ შესრულებულა. თეატრისაკენ მიმავალ გზაზე მხვდება მინიშნებები, თუ როგორ მივიდე თეატრთან. „სინეტიკ თეატრის“ ბანერები, სცენები სპექტაკლებიდან. სამწუხაროდ, არსად არის ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელის“ ბანერი. ეს ამ თეატრის ადრეული წლების სპექტაკლია და როგორც მეუბნებიან, ძალიან კარგი სპექტაკლი. მუსას როლში კახი კავსაძეს უთამაშნია. კაცს, რომელმაც ინგლისური არ იცის, მაგრამ მისი აქტიორული ნიჭი აქაც გამოჩნდა – იგი თურმე, ძალიან კარგი ინგლისურით მეტყველებდა სცენაზე და სპექტაკლის მერე, როცა მაყურებელს უბრალო შეკითხვაზე პასუხი ვერ გასცა, იმ მაყურებელს არაფრით არ დაუჯერებია, რომ ნახევარი საათის წინ სცენაზე სწორედ ეს კაცი მეტყველებდა მშვენიერი ინგლისურით.

დღეს გენერალური რეპეტიციაა, ამიტომ მაყურებელი არც უნდა იყოს. მაგრამ დარბაზში მაინც არიან ადამიანები, როგორც მერე შევიტყვე, ესენი თეატრის ადმინისტრაციული საბჭოს წევრები, მეგობრები არიან, რეჟისორს აინტერესებს უწინარესად მეგობრებისგან მოისმინოს მოსაზრებები, შენიშვნებიც.

თამაშდება პაატა ციფურიშვილისა და ბენ გუნიშის პიესა „ჯარისკაცთა სამყაროში“.

ერთი თვის წინაც – მაისის დამდეგს ვიყავი ვაშინგტონში, „სინეტიკ თეატრს“, ცხადია, ვერც მაშინ ავუარე გვერდი, რეპეტიციაზე გახლდით სულ ერთი საათით. ჯარისკაცთა ლაღობის, გართობა-დასვენების რეპეტიციას ირინა ციფურიშვილი ატარებდა, უფრო სწორად, ცეკვებს დგამდა. იმ სცენით სპექტაკლის სტილისტიკა ვერ შევიცანი, ეს იყო ხალისიანი სცენა გოგო-ბიჭი ჯარისკაცების ლაღობისა. მერე სპექტაკლში ის სცენა ერთობ საჭირო და შინაარსით დატვირთული ვიხილე. ახალგაზრდები მომქანცველი ვარჯიშის — სამხედრო წრთვნის შემდეგ ხალისობენ, მაგრამ ამ ხალისობას ტერორისტთა თავდასხმა შეწყვეტს. ამ თავდასხმის შედეგი – ერთი დაღუპული მეგობარი, ყველასათვის საყვარელი ჯარისკაცი. სპექტაკლი გვიამბობს ერთი რაზმის ყოველდღიურ ყოფაზე, სიკვდილ-სიცოცხლის შერკინებაზე, იმაზე, თუ რაოდენ მწარედ, დრამატულად განიცდიან ჯარისკაცები მეგობრის დაკარგვას.არის სისტემატური შეტაკებები ტერორისტთა დაჯგუფებასთან, რომელსაც ერთ-ერთი ჯარისკაცის – სონის (ვატო ციფურიშვილი) მამა (ირაკლი კავსაძე) მძევლად ჰყავთ აყვანილი.სონი ყოველნაირად ცდილობს მამის ადგილსამყოფელის გაგებას. იგი ახერხებს ერთ-ერთი დატყვევებული ტერორისტის სულში ადამიანური გრძნობების გაღვივებას და ამ გზით გაიგებს კიდეც, თუ სად ჰყავთ მამამისი. ტარდება სამხედრო ოპერაცია – სპექტაკლის ერთ-ერთი შესანიშნავი, გამომგონებლობით აღვსილი სცენა – და მამას ანთავისუფლებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, გამარჯვება მსხვერპლს მოითხოვს – ილუპება შვილი. თავისუფლებას დიდი ფასი ადევს, თავისუფლებამ ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე მოითხოვა. ამდენად გამარჯვება თალხითაა მოსილი.

პაატა ციფურიშვილი და ბენ გუნიში ცდილობდნენ პიესა დოკუმენტურ მასალაზე – ჯარისკაცების ნამდვილ ყოფაზე აეგოთ. ამიტომ ხვდებოდნენ ავღანეთის ჯოჯოხეთგამოვლილ მებრძოლებს, დაჭრილებს. თურმე მათი ნაამბობი იმდენად მწვავე, ემოციური იყო, მომავალი პიესის ავტორები ცრემლსაც კი ვერ იკავებდნენ.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს: პიესის ფაბულა ერთობ მარტივია. ავტორებმა ჯერ სპექტაკლი, მისი კონცეფცია, ვიზუალური ფორმა მოიფიქრეს და მერე შეჰქმნეს მისი შესაბამისი ტექსტი. ჩვენც ხომ სპექტაკლზე მივდივართ და არა პიესის კითხვაზე. ამიტომ ხაზგასმით ვამბობ: აქ არა ლიტერატურული მასალა, ტექსტი, არამედ სპექტაკლია საინტერესო, ერთობ სანახაობრივი. იგი ისეა მოფიქრებული, სცენური სახილველი ისეთ დონეზეა აყვანილი, რომ მაყურებელი საათნახევრის განმავლობაში აქტიურადაა ჩაბმული მოქმედებაში. არის ერთობ ემოციური დრამატული სცენებიც და არის პლასტიკური, მოძრაობის თეატრის ვირტუოზული გამოვლენაც. ამგვარ სცენებში ჩინებულად იკითხება რეჟისურა და ქორეოგრაფია. მიგნებები, ნახაზი, რომელსაც ქორეოგრაფი ქმნის, მსახიობს ავალდებულებს არა მხოლოდ კარგად ფლობდეს სხეულს, იცოდეს ყოველი მოძრაობის ფასი, არამედ შეძლოს მოძრაობით რეჟისორის კონცეფციის გამოხატვა. ზანა გან-კუნგი, ჯუდი ნეიროფი, ჟოზეფ კარლსონი, დალას ტოლენტინო, მატეუ ვარდი, პასკუალე გუდილი, ჯესიკა ტორნი, კეტრინ კონერსი, ფილიპ ელეტჰერი შესაშურ ოსტატობას ავლენენ.

სპექტაკლში უხვადაა გამოყენებული ვიდეოკადრები, იმდენად უხვად, რომ გენერალური რეპეტიციის შემდეგ რეჟისორის დაკვირვებულმა თვალმა იოლად დაინახა ის, რაც ზედმეტი იყო. მომდევნო – საპრემიერო დღისათვის მან მთელი ათი წუთი „ამოჭრა“ სპექტაკლში.

ხოლო რაც შეეხება სამხედრო ოპერაციის სადადგმო მხარეს, რეჟისორის მიერ ხომ ჩინებულად, დიდი გამომგონებლობითაა მოფიქრებული, აქ მსახიობებიც დიდ პატივისცემას იმსახურებენ: მათ ძალიან კარგად შეასრულეს რეჟისორის ნახაზი. ამ ერთი სცენითაც კი ცხადია, რაოდენი პოტენციის დამდგმელი რეჟისორია პაატა ციფურიშვილი.

სპექტაკლი ვნახე. კმაყოფილი გახლდით, მაგრამ მაინც მეწადა პრემიერის ნახვა. მეწადა დავკვირვებოდი მაყურებელს, მაინტერესებდა თეატრისა და მაყურებლის ურთიერთობა. საბედნიეროდ, ებრაული ახალგაზრდობის განათლების კონფერენციის (რისთვისაც გახლდით ჩასული ვაშინგტონში), დღის წესრიგმა საშუალება მომცა 2 ივნისს პრემიერაზეც მივსულიყავი.

თვალში მომხვდა ახალგაზრდობის სიმრავლე, რაც შეეხება საყელოში ბაფთებით მორთულ ხნოვან მაყურებელს, შევამჩნიე, რომ ისინი ამ თეატრის მუდმივი მაყურებლები არიან. ირინა და პაატა ციფურიშვილები მათ ისე ეგებებოდნენ, როგორც მეგობრებს, კარგა ხნის ნაცნობებს. შემიმჩნევია: ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის თეატრებში მაყურებელთან ურთიერთობის საკითხი ერთობ მნიშვნელოვანია.

სპექტაკლის შემდეგ მაყურებელი არ იშლება, საუბრობენ, ერთმანეთს მოსაზრებას უზიარებენ, ამასწინათ, ერთ-ერთი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, (თეატრში „JT“) მაყურებელმა ათიოდ წუთი შეისვენა, მერე სცენაზე დასხდნენ რეჟისორი, სცენოგრაფი, კრიტიკოსი და მაყურებელს ესაუბრნენ სპექტაკლის თაობაზე. მაყურებლის მრავალ შეკითხვასაც უპასუხეს.

„ჯარისკაცთა სამყაროს“ დაწყებამდე პაატა და ბენ გუნიშიც გამოვიდნენ სცენაზე. ისინი მაყურებელს ესაუბრნენ მუშაობის პროცესზე, მსახიობებზე, იმაზე, თუ რამდენ ხანს იქნება ეს სპექტაკლი რეპერტუარში. (2 ივნისიდან 2 ივლისამდე. ეს უცნაური წესია აშშ დრამატულ თეატრებში. მოგვიანებით კიდევ შეიძლება ითამაშონ, მაგრამ არც თუ ხშირად.) დასასრულს კი პაატამ მაყურებელს ღიმილით მიმართა:

– „თუ სპექტაკლი მოგეწონებათ, შემოწირულობა არ დაიშუროთ“.

მაყურებელმა ამ მოწოდებას ტაში დაუკრა. ამის უფლებას რეჟისორი მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემს თავს, თუ მას მაყურებელთან უშუალო, მეგობრული ურთიერთობა აქვს, იგი თეატრის მეგობრებს, გულშემატკივრებს მიმართავდა.

„სინეტიკ თეატრის“ ბოუჯეტი, რამდენადაც ვიცი, ერთ მილიონ დოლარამდეა, მას მართავს დირექტორთა საბჭო, რასაკვირველია, ქალაქის ხელისუფლება მონაწილეობს თეატრის დაფინანსებაში, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია შემოწირულობანი.

სასტუმროში დაბრუნებული დაკვირვებით გავეცანი სპექტაკლის პროგრამაზე დართულ სიას. აქ მოთავსებულია იმ ადამიანთა გვარები, ორგანიზაციათა დასახელება, ვინც თეატრს შემოწირულობას სწირავს. ასე მაგალითად: წელიწადში 20-20 ათას დოლარს სამი იორგანიზაცია აძლევს, 5 ათას დოლარს ორი ორგანიზაცია, მერე მოდის იმათი სია, ვინც 2.500 დოლარს სწირავს თეატრს, ამას მოსდევს 2 ათასიანები, ათასიანები და ასე 100 დოლარამდე. ყოველი მათგანის გვარია მითითებული, ისინი ასეულობით არიან. მე რომ კაცმა მკითხოს, თეატრი სწორად იქცევა, 100 დოლარის გამღებიც არ არის დავიწყებული. მათ უყვართ თეატრი, თავისად მიაჩნიათ და რამდენიც შეუძლიათ, იმდენს აძლევენ, ხვალ მეტს მისცემენ. ამ სიაში რამდენიმე ქართული გვარიც ამოვიკითხე, თუმცა, უნდა გამოვტყდე: სამი წლის წინანდელ პროგრამაში მეტი ქართველი შემომწირველი იყო მითითებული.

დიახ, „სინეტიკ თეატრი“ ამერიკული თეატრია, მაგრამ...

იგი ქართულიც გახლავთ, აქ ქართული სული ტრიალებს. აქ ქართველები იყრიან თავს — ოკეანის გაღმელი ქართველები. იმ 2 ივნისის ღამეს რამდენი ქართველი კაცისა თუ ქალის გაცისკროვნებული სახე დავინახე „სინეტიკ თეატრში“.

მწერალი

თეა თოფურია

თეა თოფურიას მოთხრობები რამდენიმე წლის წინ ქართულ პერიოდიკაში წავიკითხე. მახსოვს, მომეწონა ოსტატურად მოთხრობილი ამბები და ენა, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა იმ პერიოდში ასე მოდური თანამედროვე სკაბრეზულ-ქალაქური სტილისგან. წერდა სოფელზე, მოხუცებზე, სოხუმზე, სადაც დაიბადა და გაიზარდა, სახლზე, პიტნის კალოზე... იყო ლექსებიც — სათაურით და უსათაუროდ (ძირითადად უსათაურო, რადგან ლექსისთვის სახელს დარქმევა უჭირს), ცხრა მზითა და ღარიბი კაცის მაცივრისმაგვარი სიყვარულით, ჩინური ანდაზითა და დაწყებული წასვლით, ბონსაით, ცარიელი სულითა და გასაბერი ბურთის მსგავსი ცხოვრებით.

5 წლის წინ მოთხრობებისა და ლექსების პირველი კრებული, „პიტნის კალო“ გამოსცა, შემდეგ საბავშვო მწერლად მოგვევლინა და „პარადიის არდადეგები“ შემოგვთავაზა მოდრეიფე სოფლითა და უცნაურ ქალაქ პარადიით. გასული წლის ბოლოს წიგნის თაროს მისი ორი ახალი წიგნი შეემატა: „ეკოციდი,“ სადაც ბოლო სამი წლის განმავლობაში დაწერილი ლექსები შევიდა და „გასაღვიძებელი ზღაპრები“ — დილის ძილის მოყვარული ზარმაცი პატარებისთვის.

23 აპრილს ეროვნულ ბიბლიოთეკაში შექმნილმა სპეციალურმა ჟიურიმ თეა „ასტრიდ ლინდგრენის პრემიის“ ერთ-ერთ ქართველ ნომინანტად დაასახელა. ეს ფაქტი მისთვის მოულოდნელი, თუმცა სასიამოვნო აღმოჩნდა. ლინდგრენის პრემია საბავშვო ლიტერატურის დარგში ძალზე პრესტიჟულია. მას ყოველ წელს ანიჭებენ სხვადასხვა ქვეყნის მწერლებს, ილუსტრატორებს, ზეპირ მთხრობელებს და მოზარდთათვის განკუთვნილი ლიტერატურის განვითარების ხელშემწყობ ორგანიზაციებს. სოლიდური ჯილდო — 525 ათასი ევრო ყოველწლიურად ერთ ან რამდენიმე გამარჯვებულს გადაეცემა. საუბარს სწორედ ამ თემით ვიწყებთ.

— ლინდგრენის პრემია ერთ-ერთი პრესტიჟული ჯილდოა საბავშვო მწერლობის სამყაროში. რამდენად მოულოდნელი იყო მასზე წარდგენა და რა პასუხისმგებლობას გაკისრებს ნომინანტის სტატუსი?

— მოულოდნელი ნამდვილად იყო, რადგან ისიც კი არ ვიცოდი, რომ ამ ნომინაციაზე განმიხილავდნენ. მართლაც პრესტიჟული პრემიაა, თუმცა ძირითადად ასაკოვან მწერლებს ანიჭებენ, მთელი ცხოვრება საბავშვო მწერლობას რომ შესწირეს. დაახლოებით ისეთია, „საბაზე“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი ღვაწლისთვის რომ აჯილდოვებენ, ამიტომ გამარჯვების დიდი იმედი არ მაქვს. პასუხისმგებლობა უფრო მეტია. ასე მგონია, მეტყვიან, 50 წლის შემდეგ გამოიარეო და სიამოვნებით გავუვლი. სიმართლე გითხრათ, გარკვეული პერიოდის შემდეგ სულაც არ მეჩვენება ეს ფაქტი მიუღწევლად. საბავშვო მწერლობაში თავს ნამდვილად ვხედავ, პროზისგან განსხვავებით, რომელიც ჩემი შემოქმედებიდან ყველაზე მეტად მოსწონთ, თუმცა თავად ყოველთვის მაქვს უკმარისობის გრძნობა.

— ანუ პროზაში უფრო თვითკრიტიკული ხარ?

— არ ვიცი, თვითკრიტიკაა თუ სხვა რამ, მაგრამ როდესაც საკუთარ ნაწერებს კლასიკოს მწერლებსა და თანამედროვე ავტორებს ვადარებ, სულ მაქვს განცდა, რომ ასე ვერასოდეს დავწერ, რასაც ვერ ვიტყვი ლექსსა და ზღაპარზე. მომავალში რა იქნება, არ ვიცი, დღესდღეობით კი თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ პოეზიასა და საბავშვო მწერლობაში.

— რატომ მოგინდა ავტორს, რომელიც სერიოზულ, „სადიდო“ თემებზე წერდი, ერთ მშვენიერ დღეს (პირობითად) ბავშვებისთვის მხიარული და სახალისო ამბები მოგეთხრო?

— განსაკუთრებული შემთხვევა არ ვარ, ამას ქართული ტემპერამენტი განაპირობებს. სამხრეთული ტიპის ქვეყნებში, რომელთაც ჩვენც მივეკუთვნებით, ადამიანის ხასიათში საპირისპირო თვისებები იყრის თავს. იქ სადაც ცივი კლიმატია, უფრო მშვიდი და გაწონასწორებული ხალხი ცხოვრობს, სამხრეთულ ქვეყნებში კი ხასიათიც რადიკალური აქვთ და მწერლობაც ასეთივეა.

— მიზეზი, რამაც ზღაპრის დაწერისკენ გიბიძგა?

— რომ გითხრა, რამე განსაკუთრებული მიზეზი იყო-მეთქი, მოგატყუებ. უბრალოდ მომინდა, დავწერე და ხალხს მოეწონა. რატომ მომინდა? ჯერ ერთი, ეს არის ძალზე სუფთა და გახსნილი სამყარო — რასაც გინდა, იმას დაწერ. სრულიად თავისუფალი ხარ მოქმედებაშიც და გამოხატვის საშუალებებშიც. საბავშვო მწერლობა უფრო ლაღი, მხიარული და უდარდელია. აქ არც საკუთარ თავს თრგუნავ, არც — მკითხველს. განტვირთვის მშვენიერი საშუალებაა და ეს მე არ მომიგონია. თერაპიის მიზნით ადამიანებს ხშირად აწერინებენ ზღაპრებს. ამ დროს მთლიანად იცლები იმ უარყოფითი ემოციისგან, რაც დროთა განმავლობაში გიგროვდება.

— ამის მიუხედავად, ქართველებს არცთუ ბევრი საბავშვო მწერალი გვყავს.

„სამყაროს მარტივად უნდა ხედავდე“

— ქართველები ამპარტავანი ხალხი ვართ და ბავშვებზე წერა გვეჩოთირება. ჩვენში ამ თემით ძირითადად საკუთარი შვილის ხათრით ინტერესდებიან. ეს საბავშვო მწერლობა არ არის. საბავშვო მწერალს კონკრეტული ბავშვი კი არ უყვარს, არამედ ზოგადად, ის ბავშვურობა, რომელიც ადამიანს ამ ასაკში ახასიათებს. სამყაროს მისი თვალით უყურებს. მეორეა, ამაზე წერა არ გეთაკილებოდეს. სხვათა შორის, ეს დიდი ნაკლია, რადგან ჩვენს გარდა ბავშვებისთვის წერა სათაკილოდ არავის მიაჩნია.

— არა მგონია, ასე იყოს, რადგან ბევრს უთქვამს, რომ ძალიან უნდათ პატარებისთვის წერა, მაგრამ არ გამოსდით. რთულია იმდენად, რამდენადაც ბავშვები ყველაზე მგრძნობიარე შემფასებლები არიან, მაშინვე გრძნობენ სიყალბეს.

— საქმეც ის არის, რომ არ გამოსდით. ხშირად რომ ვწერდეთ, გენებში გვექნებოდა და გამოგვივიდოდა, მაგრამ ჩვენს კულტურაში არ ზის და სწორედ ესაა ცუდი. საბავშვო ლიტერატურა, კინო, მულტიპლიკაციური ფილმი ყველა ქვეყანაშია განვითარებული, ჩვენთან კი მხოლოდ რამდენიმე საბავშვო მწერალია, რამდენიმე ფილმი, ისიც, ისე რა...

— რა კრიტერიუმებია საჭირო იმისთვის, რომ ავტორი საბავშვო მწერლად ჩამოყალიბდეს?

— პირველ რიგში, ამოუწურავი ფანტაზია; გულწრფელობა, რომლის გარეშეც ნაწერი ყალბი იქნება; გარდა ამისა, მარტივად უნდა ხედავდე სამყაროს, რადგან ბავშვი მას სწორედ ასე აღიქვამს. სინამდვილეშიც ხომ მარტივია ყველაფერი, უბრალოდ, ასაკის მატებასთან ერთად ვამუქებთ რეალობას.

— პერსონაჟები და ტიპაჟები, რომლითაც პატარა უნდა მიიზიდო?

— ეგ ჩემთვის სირთულეს არ წარმოადგენს. უამრავი საინტერესო პერსონაჟი მყავს, შეიძლება ითქვას, თავზე მაყრია. ამისათვის ძალიან კარგი საშუალებაა დაკვირვება, დეტალების შემჩნევის უნარი, რაც შემდეგ ზღაპრის გმირში იყრის თავს. ჩვენს გარშემო ბევრი სახასიათო ტიპაჟია, უბრალოდ, უნდა დაინახო და საჭირო დროს საჭირო ადგილას ჩასვა. ამბის განვითარება და სიუჟეტის აგება უფრო მიჭირს. ხანდახან მხოლოდ დასაწყისი და დასასრული მაქვს, შუაში რა დავწერო, არ ვიცი. ანუ ეს უფრო რთულია ჩემთვის და არა პერსონაჟის გამოგონება.

— დღეს ცოტა ძნელია ბავშვის წიგნთან მიყვანა, უამრავი საცდურია იმისათვის, რომ სხვა რამით დაკავდეს. თუ გიფიქრია, როგორ შეიძლება შეაყვარო კითხვა პატარა ადამიანს?

— რამდენადაც რთულია, იმდენად მარტივიც არის. ჯერ ერთი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს და იმას, არის თუ არა ოჯახში მკითხველი. ზოგან კოღოს მოსაკლავ წიგნს ვერ იპოვი. შეიძლება სახლში წიგნები იყოს, მაგრამ თუ ბავშვი ვერ ხედავს ადამიანებს წიგნით ხელში, კითხვას არ დაიწყებს. ანუ, უამრავი ფაქტორი უნდა გადაიკვეთოს: წიგნი, მკითხველი, საუბრები წაკითხული ნაწარმოების შესახებ და ეს ყველაფერი ბუნებრივად ხდებოდეს. თავად ასე დავიწყე კითხვა: ჩემს სახლში ყველგან წიგნი იყო, ბუხარშიც კი. არავინ მეუბნებოდა, წაიკითხეო, მაგრამ ისეთი გარემო იყო, ძალაუნებურად ვკითხულობდი. მშობლისთვის შვილის მკითხველად აღზრდა პრიორიტეტი უნდა იყოს, ამის გარეშე წარმოუდგენელია სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბება. არადა, ფაქტია, რომ დღეს ბავშვები არ კითხულობენ. კვლევებითაა დადასტურებული, სკოლის მოსწავლეთა უმეტესობას წაკითხული ტექსტის გაანალიზება უჭირს, აზრს ვერ ავითარებს. ეს იმის ბრალია, რომ წიგნი არ წაუკითხავს, არ გაუაზრებია, არ უოცნებია. ბავშვობაში ხშირად გამიგრძელებია ტრაგიკულად დამთავრებული ამბავი, ზღაპრის გმირები გამიცოცხლებია და სულ სხვა სიუჟეტი ამიგია. მათთვის ეს უცხოა, არ უცხოვრიათ პერსონაჟის ცხოვრებით. ამიტომაც გვაქვს ასეთი სურათი.

— რამდენიმე თვის წინ გამოვიდა შენი ლექსების პირველი კრებული — „ეკოციდი“. საინტერესო სათაურია, რომელიც მკითხველის ყურადღებას თავიდანვე იპყრობს. საიდან ამოტივტივდა ეს ტერმინი და რა გახდა ამავე სახელწოდების ლექსის დაწერის მიზეზი?

— „ეკოციდს“ ბიძგი აგვისტოს ომმა მისცა. ბორჯომის ტყეები რომ გადაიწვა, ამ თემაზე ვმუშაობდი. სწორედ მაშინ გავიგე პირველად, რომ „გენოციდის“ გარდა არსებობს „ეკოციდიც“. ეს ტერმინი ჩემთვის ძალიან შთამბეჭდავი და ასოციაციური აღმოჩნდა. ზოგადად ეკოციდი ბუნებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ადამიანის შემთხვევაშიც დაახლოებით იგივე ხდება. სწორედ ამაზეა ეს ლექსი — როგორ შეიძლება ეკოციდი თითოეულ ჩვენგანს დაემართოს. სათაურიც აქედან წამოვიდა. ვერ ვიტყვი, რომ ომზეა, უფრო სიყვარულზეა.

— ცნებათა აღრევა ხშირია შენს ლექსებში?

— საკმაოდ. ბევრია ისეთი, რომელიც ნახევარ ტონშია დაწერილი და ვერ გაიგებ, რაზეა. შეიძლება „მიწა“ ან „ადამიანი“ ეწეროს და სულ სხვა რამ იგულისხმებოდეს. ხანდახან თავადაც მავიწყდება, რა შინაარსი დევს კონკრეტულ ფრაზაში, თუმცა რაღაც ეტაპზე ეს მეორეხარისხოვანი ხდება.

— რამდენად მნიშვნელოვანია, მკითხველმა ზუსტად აღიქვას ის მუხტი, რაც ნაწერში ჩადე?

— საერთოდ თუ ვერ აღიქვამს, რა თქმა უნდა, ცუდია. ზოგჯერ საწინააღმდეგოდაც გაუგიათ, მაგრამ ამაზე მაინცდამაინც არ ვნერვიულობ. კერძო მესაკუთრე ხომ არ ვარ, ვილაცას მივუთითო, გინდა თუ არა, ასე გაიგე-მეთქი? როგორც უნდა, ისე მოირგოს მკითხველმა ლექსი. სასიამოვნოც კი იქნება, თუ საკუთარ განწყობას შეუსაბამებს.

— რა არის ყველაზე მთავარი ლექსის წერისას?

— არ მიყვარს ლექსები, რომლებიც შინაარსს გადმოსცემენ და რომელთა მოყოლაც შეიძლება. შესაძლოა, ზოგი ძალიან ნიჭიერადაც იყოს დაწერილი, მაგრამ არ მიყვარს და რა ვქნა. ჩემთვის ლექსი, პირველ რიგში, განწყობაა. განწყობა და ემოცია. რეალურად ამის განხორციელება რთულია. მეეჭვება, რომელიმე პოეტმა ზუსტად შეძლოს იმ გრძნობის გადმოცემა, რასაც წერის დროს განიცდის, მაგრამ თუ მიახლოებითი განწყობა მაინც ჩანს ლექსში, ის უკვე შემდგარია.

— ამბობ, რომ განწყობა მნიშვნელოვანია, თუმცა შენს ლექსებში განსჯა უფრო აქტუალურია. არ იგრძნობა ლირიკა და სენტიმენტალიზმი. შენ ხარ ავტორი, რომელსაც საკუთარი დამოკიდებულება აქვს კონკრეტული თემების მიმართ, თავისი ხმა.

— განსჯა და მსჯელობა ჩემთვის სრულიად ბუნებრივია. იმ ადამიანებს მივეკუთვნები, რომელთაც ყველაფერზე გამზადებული პასუხი აქვთ, ამიტომ განსჯაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, თავისთავად იგულისხმება. მთავარია, ის ემოცია მივიტანო მკითხველამდე, რომელიც ლექსის წერისას მქონდა.

— შენს პოეზიაში ძალიან ხშირია წასვლის თემა, სულ სადღაც მიდიხარ. ამის ერთგვარი შეჯამებაა ლექსი — „წასვლა დაიწყო“. რა არის ეს, რაიმე ტიპის სიმბოლიკა თუ უბრალოდ, აკვიატება?

— რამდენად ხშირია, არ ვიცი, თუმცა ეს თემა მართლაც მნიშვნელოვანია. ზოგადად, წასვლა ბევრნაირია: პიროვნებისგან, სიტუაციისგან, ზოგჯერ — სამსახურიდანაც... ადამიანს ბევრი რამისგან უწევს წასვლა, იმის მიუხედავად, უნდა ეს თუ არა. თუმცა აქ უფრო სხვა რამეა ჩადებული — იმ ძირითადი მისიის შესრულება, რაც შემოქმედმა დააკისრა ადამიანს — ღმერთამდე მისვლას ვგულისხმობ. ნებისმიერი ჩვენგანი მთელი სიცოცხლე ორ პოლუსს შორის იხლიჩება: იყოს ამ ცხოვრებისთვის, თუ იმისთვის, რისთვისაც დაიბადა. ეს „წასვლებიც“ ამ მიზანს ემსახურება – წასვლას ყოველდღიური რუტინიდან ცოტა უფრო სერიოზული მიზნებისკენ; წასვლას საკუთარ თავში იმ „მეს“ აღმოსაჩენად, რაც უფალმა ჩადო ადამიანში.

— ერთი პერიოდი აკვიატებული თემები მოთხრობებშიც გქონდა — სოფელზე და მოხუც ქალებზე წერდი...

— ვწერდი და მერე მივატოვე, რადგან სევდიანი იყო. ის პერსონაჟები, რომელთა შესახებაც ვყვებოდი, მომწონდა, თუმცა მერე გამიქრა ამაზე წერის სურვილი. ამ ეტაპზე მოთხრობებისკენ გული არ მიმიწევს, ლექსებსაც იშვიათად ვწერ, უფრო საბავშვო პროზით ვარ დაკავებული. რამდენიმე ზღაპარი მაქვს დასამთავრებელი და ამაზე ვმუშაობ.

— ძირითადად მცირე ზომის მოთხრობები გაქვს, ვრცელ პროზაზე არ გიფიქრია?

— მიფიქრია, მაგრამ ჩემს ძალებს აღემატება. გულწრფელად მშურს მათი, ვისაც ასე წერა შეუძლია. ზოგადად, ძალიან ლაკონური ადამიანი ვარ: არ მიყვარს სახლში ზედმეტი ნივთები, ზედმეტი ლაპარაკი, ჩემიც და სხვისიც... ხშირად ეს პრობლემებს მიქმნის. წერის მიმართაც ანალოგიური დამოკიდებულება მაქვს — მირჩევნია, მცირე ზომის ტექსტში ჩავტიო სათქმელი, როგორი დიდიც უნდა იყოს. ძალიან მომწონს რომანები, მათ შორის, საბავშვოც, მაგრამ ჩემთვის „ჰარი პოტერი“-ს 7 ტომის დაწერა წარმოუდგენელია.

— ანუ მცირე ზომის ტექსტია შენი ნიშა?

დასასრული მე-14 გვერდზე

მთარგმნელი

თამარ კოტრიკაძე

თამარ კოტრიკაძე პროზასა და ესეისტიკას გერმანული, ინგლისური, რუსული და ფრანგული ენებიდან თარგმნის. სისტემატურად აქვეყნებს წერილებს ლიტერატურაზე, თანამშრომლობს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლიტერატურულ თუ სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებთან. მკითხველი მას იცნობს ასევე წიგნებით „ქრისტინე ლავანტი: ლექსები და მოთხრობები", „მითოსის ძიებაში" და სხვა.

თსუ დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, არაერთ მთარგმნელობით თუ სამეცნიერო-ლიტერატურულ პროექტში მიუღია მონაწილეობა. მუშაობდა კულტურულ ურთიერთობათა ცენტრში „კავკასიური სახლი", იყო ამავე ცენტრის ბაზაზე არსებული „რ.მ. რილკეს საზოგადოების" სწავლული მდივანი; ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტად მიიჩნევს „კავკასიური სახლის" გამოცემას „რაინერ მარია რილკეს თხზულებები 5 ტომად", რომელზეც ცენტრის სხვა თანამშრომლებთან ერთად წლების განმავლობაში იმუშავა. ერთხანს ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა — ასწავლიდა გერმანულ ენას და კითხულობდა ლექციების კურსს დასავლეთევროპულ ლიტერატურასა და კულტურაში.

ქალბატონი თამარი არაერთი ლიტერატურული პრემიის ლაურეატია. ავსტრიის კულტურის სამინისტრომ იგი მთარგმნელობითი პრემიით დააჯილდოვა.

— გრიგოლ რობაქიძის რომანი „მცველნი გრაალისა" თქვენი ბოლო ნამუშევარია. როგორც იქნა, მკითხველს საშუალება მიეცა, რომანის სრულ ქართულ თარგმანს გაეცნოს.

— გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი რომანი „მცველნი გრაალისა" 1937 წელს გერმანიაში დაიბეჭდა. ქართველი საზოგადოება ნაწარმოებს იცნობდა სპექტაკლიდან „გრაალის მცველნი", რომელიც ნაირა გელაშვილის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით 90-იან წლებში დაიდგა. დაახლოებით იმავე პერიოდში რომანი რუსულად თარგმნა სერგო ოქროპირიძემ. ვფიქრობ, ეს მართებული გადაწყვეტილება იყო, რადგან „მცველნი გრაალისა" ეროვნული სულისკვეთების გამომხატველი ნაწარმოებია, აგებულია ქართულ მითოსზე, ისტორიაზე და დარწმუნებული ვარ, გერმანელებსა თუ რუსულენოვან მკითხველს დააინტერესებდა.

რაც შეეხება ტექსტის ქსოვილს, ვფიქრობ, თანამედროვე მკითხველი ჩათვლის, რომ ის ერთობ ბანალურია, მასში მუნჯური კინოსთვის დამახასიათებელი ემოციურობა ჭარბობს და პერსონაჟებიც მაქსიმალისტური შტრიხებითაა დახატული. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რომანი ნიცშეს ეპოქაშია შეიქმნილი; მაშინ კი მაღალფარდოვანი სიტყვები და პათეტიკური სტილი უცხო არ იყო ლიტერატურისთვის.

მეორე მხრივ, „მცველნი გრაალისა" მოიცავს ყველაფერ იმას, რაც ასე ძვირფასია ქართველებისთვის. ამიტომ მის თარგმნას, თუნდაც დაგვიანებით, მაინც მოვლენად ვთვლი და მიმაჩნია, რომ ის ყველა ახალგაზრდამ უნდა წაიკითხოს. იგი რობაქიძისეული სათაურით გამოქვეყნდა.

გამომცემლობა „არტანუჯმა" გადაწყვიტა შეეკრიბა და ეთარგმნა რობაქიძის ყველა ის ნაწარმოები, რომელიც ქართულად არასოდეს თარგმნილა და გამოეცა სერიით „უცნობი გრიგოლ რობაქიძე". პროექტის ავტორი ზვიად კვარაცხელია გახლავთ. ამავე სერიით დაიბეჭდა „კავკასიური ნოველები". გერმანიაში ეს წიგნი სამჯერაა გამოცემული. მასში სამი ნოველაა გაერთიანებული. ორს — „ენგადსა" და „იმამ შამილს" მკითხველი კარგად იცნობს, ხოლო მესამე — „წმინდა ხარის მოკვლა" — პირველად ვთარგმნეთ ქართულად. კრებულს წინ უძღვის რობაქიძისავე შესავალი. უცხოელ მკითხველს ავტორი წმინდა ნინოს, თამარ მეფის შესახებ უყვება, საუბრობს ქართულ მითოსზე, კულტურაზე. „კავკასიური ნოველები" ისეთი სახით გამოიცა, როგორც თავის დროზე — გერმანიაში. მალე გამოვა კიდევ ორი უცნობი რომანი — „მეგი — ქართველი გოგონა", რომელსაც ნანა გოგოლაშვილი თარგმნის და „ქალღმერთის ზახილი", რომლის მთარგმნელიც დალი ფანჯიკიძეა. შეიძლება ითქვას, გრიგოლ რობაქიძე უბრუნდება თავის სამშობლოს, თუმცა — დიდი დაგვიანებით. მისი ტრაგიკულობა ამაშიც ჩანს.

— საკმაოდ ბევრს თარგმნით. მკითხველს სხვადასხვა ჟანრისა თუ მიმართულების ავტორებს სთავაზობთ. თქვენ თვითონ როგორ ირჩევთ მასალას სათარგმნელად, ან ვინ არიან თქვენი ავტორები?

— ტექსტებისადმი ჩემი თავდაპირველი დამოკიდებულება იყო სწორედ ისეთი, როგორც მკითხველისა. რაც მომწონდა და რაზეც ვფიქრობდი გავწვდები-მეთქი, იმას ვთარგმნიდი. ლიტერატურაზე მეტად არაფერი მიყვარს და მაინტერესებს, ეს ჩემი ბედისწერაა. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ავტორებს სისტემურად ვეცნობი და ვკითხულობ. განათლებით დასავლეთევროპული ენების სპეციალისტი ვარ. აქედან გამომდინარე, უფრო ევროპელ ავტორებს ვთარგმნი და ვიკვლევ. მყავს საყვარელი ავტორები. ისინი უცბად მიყვარდება და დიდხანს აღარ ვშორდები. ეს ურთიერთობა სიყვარულის ისტორიას ჰგავს.

„ლიტერატურა ჩემი ბედისწერაა"

კრიტიკულ წერილებშიც მუდამ ჩემს ავტორებთან ვტრიალებ. ამ მხრივ, ჟანრების ამორჩევაც არ ყოფილა ჩემი თვითმიზანი. რომელი ავტორიც პიროვნულად, შემოქმედებითად დამაინტერესებს, მას ვუღრმავდები და ვიკვლევ. მყავს მწერლები, რომლებიც არ მითარგმნია, თუმცა პიროვნულად, შემოქმედებითად ისინი ძალიან მნიშვნელოვანნი არიან ჩემთვის. რუს ავტორებს ვგულისხმობ. საერთოდ, რუსული ლიტერატურა ძალიან ახლობელი და ძვირფასია, მაგრამ სლავისტი არ ვარ, რუს ავტორებს იშვიათად ვთარგმნი.

— დაინტერესებულმა მკითხველმა ალბათ იცის, ვინ არიან „თქვენი" ავტორები. არაერთხელ დაგიწერიათ მათ შესახებ, გითარგმნიათ ისინი, შემდეგ კი თავი მოუყარეთ წიგნში „მითოსის ძიებაში".



— სხვათაშორის, არც თუ დიდი ხნის წინ აღმოვაჩინე, რომ გამუდმებით მოდერნისტებში „ვტრიალებ", თარგმანის, კვლევისა თუ კითხვის თვალსაზრისით სწორედ მათი ეპოქა — XX საუკუნის პირველი ნახევარი მაინტერესებს; მიზიდავს მითოსური, ძველი წარმართული პლასტების ძიება ლიტერატურაში. გარკვეულწილად, ამ კრიტერიუმებით ვირჩევ ავტორებსაც, ოღონდ — გაუცნობიერებლად.

როგორ „გავიცანი" ერთ-ერთი საყვარელი ავტორი, ბრიტანელი დეივიდ ლორენსი აღარც მახსოვს, ალბათ — შემთხვევით. შემდეგ ვთარგმნე კიდეც კლასიკური ამერიკული ლიტერატურის შესახებ მისი ესეები, სადაც ძალიან კარგად აანალიზებს კლასიკურ ამერიკულ მწერლობას. საერთოდ, ამერიკა მუდამ შემოქმედებითად დამუხტულ სივრცედ წარმომედგინა. იქაურ მწერლებს გატაცებით ვკითხულობდი. საუკუნეების განმავლობაში ჩადიოდნენ ევროპელები და თავიანთი კულტურები ჩაჰქონდათ უცხო მიწაზე, იქ კი ხვდებოდათ ადგილის სული, რომელიც ძლიერია, არ იკარგება. ალბათ უკიდეგანო სივრცეებიც მოქმედებს და ასევე — განცდაც, რომ ყველაფერი შენს ხელთაა. ამერიკა ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა ლიტერატურისთვის და წარმოიშვა საოცარი ამერიკული მწერლობა.

ლორენსი თავის ესეებში ფენომორ კუპერის, უოლტ უიტმენის, ედგარ პოს და სხვათა შემოქმედებაზე საუბრობს და ცოცხლად გვიხატავს მათ პორტრეტს. ის ძალიან საინტერესოდ ლაპარაკობს სწორედ ისეთ ფენომენზე, როგორიცაა ადგილის სული, რომელიც ყველა ადგილს თავისი აქვს და ტემპერამენტის, ხასიათის განმსაზღვრელია.

შემდეგ გავიდა დრო და ჩემთვის აღმოვაჩინე დიმიტრი მერეჟკოვსკი — „ვერცხლის საუკუნის" საკმაოდ თვალსაჩინო წარმომადგენელი. ვნახე, რომ რუსულ ლიტერატურას ისიც ძალზე ახლებურად, სტერეოტიპების ნგრევით განიხილავდა. ჩანს, ეს ზოგადად ეპოქის ნიშანი იყო და მოდიოდა ნიცშედან. რომელმაც XIX საუკუნის პატრიარქალურობას, სტანდარტულობას რევოლუციური ხედვა დაუპირისპირა და გაილაშქრა ყველაფერზე, დაწყებული ქრისტიანობიდან. შეიძლება ითქვას, ნიცშეანური ლიტერატურა მიყვარს. მერეჟკოვსკი ძირეულად იკვლევს ლევ ტოლსტოისა და დოსტოევსკის შემოქმედებას და მათთან ერთად მთელ რუსულ ლიტერატურას თავდაყირა აყენებს, „ქვას ქვაზე არ ტოვებს", სრულიად ახლებურ პორტრეტებს გვიხატავს. მისი სქელტანიანი თხზულებიდან — „ქრისტე და ანტიქრისტე რუსულ ლიტერატურაში: ლევ ტოლსტოი და დოსტოევსკი" — მხოლოდ ფრაგმენტები ვთარგმნე.

— ქრისტინე ლავანტი – საოცარი სიღრმის ავსტრიელი ლირიკოსი, შეიძლება ითქვას, თქვენ გააცანით ჩვენს მკითხველს. 2001 წელს, მისი ლექსების პირველი ქართული კრებულის გამოცემამდე, მგონი, ერთადერთი ლექსი იყო თარგმნილი დავით წერედიანის მიერ. თქვენი დამსახურებაა ისიც, რომ ლავანტის შემოქმედებას „მეოცე საუკუნის ავსტრიული ლირიკის" მრავალტომეულში გამორჩეული ადგილი დაეთმო.

— ქრისტინე ლავანტი ავსტრიის ერთ-ერთ პროვინციაში ყოფნისას „გავიცანი", მართალია, უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ იქ, მის მშობლიურ მხარეში, ყველაფერი მისით სუნთქავდა. მას უცნაური და ძალზე თანამედროვე ლირიკა აქვს. მუშების ოჯახში დაიბადა, ბევრს ავადმყოფობდა, ქალური ბედნიერებაც არ ეღირსა, მძიმე ცხოვრებით იცხოვრა, მაგრამ სულიერად ძლიერი და ღრმა ადამიანი იყო. ადგილობრივი ლეგენდები, თქმულებები გააცოცხლა თავის შემოქმედებაში, თავის ფესვებს არ მოსწყდა, მაგრამ მწერლური რანგით დიდ სიმაღლეებს მიაღწია. ამ მხრივ, ლავანდი ძალიან ჰგავს ვაჟა ფშაველას.

პირველი ქართული კრებული, რომელშიც ლავანდის ორი მოთხრობა და რამდენიმე ლექსი შევიდა, „კავკასიურმა სახლმა" გამოსცა. შემდეგ დავით ბარბაქაძემ დაიწყო საინტერესო პროექტის განხორციელება — „მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკის" მრავალტომეულის გამოცემა. ლექსებს არ ვთარგმნი, ამიტომ დიდხანს ვეძებდი პოეტს, რომელსაც ქრისტინე ლავანტით დავაინტერესებდი. მერე სასწაული მოხდა — ლავანტმა თავისი მთარგმნელი იპოვა. ვასილ გულეური, ახალგაზრდა საბავშვო პოეტი, რომელიც ამავდროულად შესანიშნავად თარგმნის რუსული და ინგლისური ენებიდან,— დაგვთანხმდა ავსტრიელი ლირიკოსის ლექსები გადმოეღო ქართულად. პწკარედული თარგმანი მე შევასრულე. ასე ითარგმნა ლავანტის ასამდე ლექსი და „XX საუკუნის ავსტრიული ლირიკის" მერვე ტომში განთავსდა, ლექსებს საინტერესო წერილიც დაერთო. ორენოვანი გამოცემაა, ორიგინალი და თარგმნილი ტექსტები გვერდიგვერდაა და ვინც ენა იცის, მას შედარების საშუალებაც ეძლევა. ლავანტის შესახებ დიდი მასალა მოვაგროვე, იქნებ მასზე წიგნიც დავწერო. მისი არქივი ჯერ ბოლომდე შესწავლილი არც არის, ყველაფერი ჯერ არ გამოუციათ, არ უკვლევიათ. ნამდვილად ღირსია, რომ მსოფლიომ გაიცნოს.

— რამდენიმე წლის წინანდელ ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემაში გადავაწყდი თქვენს წერილს „რეი ბრედბერის „ბაბუაწვერას ღვინო" — ხელახლა აღმოჩენილი ამერიკა". შემდეგ ამ ნაწარმოების თარგმანის წაკითხვის საშუალებაც მომეცა.

— ბრედბერი ერთ-ერთი საყვარელი ავტორია ჩემთვის და გამორჩეულად ღრმა, პოეტურ მწერლად მივიჩნევ. მისი პროზა მხოლოდ ნარატივი არ არის, ის ძალზე ლამაზი ენით ქმნის პოეტურ სახეებს. უმეტესობა მას ფანტასტად მიიჩნევს, ჩემი აზრით მისი პროზა უფრო ფილოსოფიურია და ფანტასტიკის ჟანრული ელემენტები მისთვის მხოლოდ სათქმელის უკეთ გამოხატვის საშუალებაა.

ის სულ ახლახან, ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა.

სიამოვნებით ვითანამშრომლე ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობასთან და ვთარგმნე „ბაბუაწვერას ღვინო". მახსოვს, ბავშვობაში ამ ნაწარმოებს ტომ სოიერის თავგადასავალივით ვკითხულობდი. ეს არის წიგნი, რომელიც სხვადასხვანაირად შეიძლება წაიკითხო. ერთი მხრივ მარტივი სიუჟეტია — ზაფხული ერთი ბიჭის ცხოვრებაში. ამავე დროს, ეს არის წიგნი იმაზე, თუ როგორ იზრდება პიროვნება შინაგანად, როგორ მდიდრდება მისი სამყარო და რამდენად დიდ გავლენას ახდენს ბავშვობის შთაბეჭდილებები ადამიანზე. აქ ძალიან ღრმა და ფაქიზი დამოკიდებულება ჩანს ავტორისა სამყაროსადმი, ადამიანისადმი. ეს არის წიგნი, სადაც ძირითადად ბავშვები და მოხუცები „სახლობენ" და მკითხველსაც მათთან ერთად უყვარდება მზის გულზე მთვლემარე პატარა ქალაქი — მანსარდებიან-აივნებიანი „ერთსართულიანი ამერიკა". იქ დიდები არც კი ჩანან, ისინი წუთიერი საზრუნავით არიან მოცულნი, სამსახურებში დადიან, დროებით, ხილულ სამყაროში ცხოვრობენ. აქაურობა კი მარადისობის განზომილებაა, სადაც მხოლოდ ბავშვებისა და მოხუცებისთვისაა ადგილი.

„ბაბუაწვერას ღვინო" ბრედბერიმ 1957 წელს გამოსცა. წარმოიდგინეთ, ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა და ახლახან, სიბერეში, დაიბეჭდა მისი ახალი წიგნი „მშვიდობით, ზაფხულო", რომელიც „ბაბუაწვერას ღვინოს" გაგრძელებაა. ეს უფრო სევდიანი წიგნია. ცხოვრების მიწურულს, ავტორმა ალბათ კიდევ უფრო სხვაგვარად დაინახა თავისი ცხოვრება. მართალია, ვერ იტყვი, რომ ეს წიგნები ფანტასტის დაწერილია, მაგრამ მათში მაინც არის

დასასრული მე-14 გვერდზე



თეა თოფურია:

„სამყაროს მარტივად უნდა ხედავდე“

დასასრული

— ნიშა არა, უფრო შესაძლებლობა. ის, რაც ყველაზე ბუნებრივად გამომდის. სხვათა შორის, მინდა რამდენიმე ვრცელი საბავშვო ზღაპარი დავწერო, მაგრამ ზოგჯერ დავფიქრდები ხოლმე – მჭირდება კი? ხომ არ იქნება ეს საკუთარი ნიჭის გამრუდება?

— საკუთარი ნიჭისთვის სწორი მიმართულების მიცემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მწერლისათვის. როგორ ფიქრობ, კიდევ რა არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანებმა შენი ნაწერები წაიკითხონ? მარტო წერის სურვილი ალბათ არ კმარა.

— ძალზე მნიშვნელოვანია, რა გაქვს სათქმელი და რამდენად აინტერესებს ეს სათქმელი სხვას. ტექსტმა მკითხველის ყურადღება უნდა მიიპყროს. შესაბამისად, ის, რასაც წერ, ან გამოცდილებით უნდა გქონდეს გამყარებული, ან დიდხანს ნაფიქრი და გააზრებული. ნებისმიერი მწერალი იძიებს ინფორმაციას მისთვის საინტერესო თემაზე, აანალიზებს და საკუთარი ინტერპრეტაციით გვთავაზობს მას. რაც მეტად ემთხვევა ეს ინტერპრეტაცია საგნის ან მოვლენის რეალურ არსს, მით უფრო მაღალია ავტორის პროფესიონალიზმი. სხვათა შორის, ეს მწერლის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმადაც შეიძლება გამოდგეს: როგორია მისი ინტერესების სფერო, რა თემები აღელვებს, რამდენად უღრმავდება საგნის არსს...

ესაუბრა ნანა კობაიძე



თამარ კოტრიკაძე:

„ლიტერატურა ჩემი ბედისწერაა“

დასასრული

რაღაც ზღაპრული, მითოსური. ალბათ ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებას ახლავს პიროვნული მითოსი, ბედისწერას რომ ეძახიან.

ჩემი წიგნის — „მითოსის ძიებაში“ — ეპიგრაფად ანტიკური ეპოქის ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის, სალუსტიუსის სიტყვები გამოვიტანე: „მითოსი ისაა, რაც არასოდეს ყოფილა, მაგრამ რაც მუდამ მყოფობს“. განა ლიტერატურა, მხატვრული სამყარო ასეთი არ არის? „ჩემს“ მწერლებთან შეხვედრაც მითოსია ჩემთვის, შემთხვევით ხომ არაფერი ხდება.

— სამეცნიერო ხარისხი დაიცავით თემაზე „ანგელოზის თემა და მოტივი დასავლეთევროპულ ლიტერატურაში (ფრანც კაფკა, დ. ჰ. ლორენსი, ქრისტინე ლავანტი, შტეფან გეორგე, გეორგ თრაქლი და რ.მ. რილკე)“. ნაშრომი წიგნადაა გამოცემული. ფაქტიურად, თქვენ წარმოადგინეთ საფუძვლიანი კვლევა ახალ დარგში — კომპარატივისტიკაში, ანუ შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში, რაც ჯერ კიდევ აუთვისებელია ჩვენთან.





— ნაშრომის თემა მართლაც მჭიდროდაა დაკავშირებული რელიგიის სფეროსთან, საიდანაც ანგელოზის იდეა, ხატი და მოტივი დასავლურ ლიტერატურაში იქნა ტრანსპორტირებული. ზემოთ ჩამოთვლილმა ავტორებმა — XX საუკუნის მოდერნისტებმა ანგელოზის თემა ლიტერატურაში აბსოლუტურად სხვაგვარად შემოიტანეს და არა იმ სახით, კანონიკურ ქრისტიანობაში რომ ჰქონდა. კვლევისკენ მიბიძგა რილკემ, რომლის ეპოქალურ ნაწარმოებში „დუინური ელეგიები“ ანგელოზის სახე ძალიან საინტერესოდაა წარმოდგენილი. რაკიღა რილკე ჩემი საყვარელი ავტორია და თან გერმანისტი ვარ, დავიწყე კვლევა. შემდეგ სხვა ავტორებზე გადავედი, დიდი სივრცე მოვიცავი, ჩემთვის საინტერესო მასალა მათ შემოქმედებაშიც მოვიძიე და ერთმანეთს შევადარე. ზოგადად რომ გითხრათ, სურათი ასეთია: მე-20 საუკუნეში ევროპა ფაქტიურად სულიერ კოლაფსში აღმოჩნდა. მას „დაკარგული“ ჰქონდა ქრისტიანობა, დარჩენილი იყო საყრდენის გარეშე, დაუცველობის შეგრძნებამ წარმოშვა დეპრესიები, უსასოობა და ასე შემდეგ. იმ ეპოქის ადამიანის წარმოდგენაში ანგელოზი თანდათან დაშორდა თავის ტრადიციულ სახეს და დაიკავა ღმერთის ადგილი; მეორე მხრივ, იგი იქცა სრულყოფილი ადამიანის, ზეკაცის იდეალად — სახედ, რომელსაც შეიძლება მიმართო, მიბაძო, მაგრამ ვერასოდეს მიუახლოვდე, რადგან ღმერთის სიმაღლეზეა. ამრიგად XX საუკუნემ, თავისი ურწმუნოების მიუხედავად, ბოლომდე მაინც ვერ დაივიწყა ქრისტე. რილკემაც, ყოველმხრივ რომ უარყოფდა ქრისტიანობას, — და ამას თავისი მიზეზები ჰქონდა — აბსოლუტურად არარელიგიურ ნაწარმოებში პოეტურ ხატად სწორედ ანგელოზი აირჩია.

იმისათვის, რომ განგვესაზღვრა, რას წარმოადგენს ანგელოზის ფენომენი ლიტერატურაში, აუცილებელი იყო გვცოდნოდა, რა როლს თამაშობს იგი რელიგიის სივრცეში. ამიტომ თავდაპირველად ანგელოზის ბიბლიური სახის შესწავლა დავიწყე. ასე რომ, ამ თემის კვლევა საინტერესოც იყო და რთულიც.

— როგორც მთარგმნელი აქტიურად თანამშრომლობთ ქართულ გამომცემლობებთან. გარდა „უცნობი გრიგოლ რობაქიძისა“, ბოლო დროს კიდევ რა პროექტებში იღებდით მონაწილეობას?

— საინტერესოა „ინტელექტის“ პროექტი სახელწოდებით „ნობელის პრემიის ლაურეატები“. ამ სერიით ქართველმა მკითხველმა არაერთი, მისთვის ახალი ავტორი გაიცნო. მეც ორი, ჩემთვის აქამდე უცნობი ნობელიანტი ვთარგმნე. ერთ-ერთია ვიდიადჰარ ნაიპოლი, ინდური წარმოშობის ინგლისურენოვანი მწერალი, რომლის შემოქმედებაც მჭიდროდ უკავშირდება ინგლისურ კულტურასა და პროზის ტრადიციებს.

მეორე ნობელიანტი, რომელიც ვთარგმნე, სამხრეთ აფრიკელი მწერალი ნადინ გორდიმერია — მოთხრობის ოსტატი. წიგნს გრძელი და პროვოკაციული სათაური აქვს — „ბეთჰოვენს 1/16 ზანგის სისხლი ჰქონდა“ და აფრიკის სინამდვილეს გვიხატავს. თვითონ ნადინი, თეთრკანიანი კულტურის წარმომადგენელი, ემიგრანტების შვილია. ყოველთვის აქტიურად იბრძოდა რასიზმის წინააღმდეგ და ნელსონ მანდელას თანამოაზრე იყო. როცა მანდელა პატიმრობიდან გაათავისუფლეს, პირველად სწორედ ნადინ გორდიმერთან მოისურვა შეხვედრა. წიგნის გარეკანზე მკითხველი მანდელასა და გორდიმერის ფოტოსაც იხილავს წარწერით: „ორი ნობელიანტი“.

მონაწილეობა მივიღე „ინტელექტის“ კიდევ ერთ საინტერესო პროექტში — „ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი“. ვთანამშრომლობ გამომცემლობა „დიოგენესთან“, სხვებთანაც.

— ქართული ლიტერატურის ნიმუშები თუ გითარგმნიათ უცხო ენებზე?

— ჯერ-ჯერობით რუსულ ენაზე ვთარგმნე „კავკასიური ფოლკლორი“ და ფრაგმენტი ნატო დავითაშვილის წიგნიდან „ამბავი ლილე იროელისა“. თუკი გამომცემლები შემომთავაზებენ, სიამოვნებით ვიმუშავებ ამ მიმართულებითაც.

ესაუბრა თამარ ჟურული

ნინო გუგეშაშვილი

კვაკარდი

დასასრული

უცებ კვაკარდი საგანგაშო სიგნალით ატუტუნდა. ზერო ახტა და ყავის ფინჯანი გაუვარდა ხელიდან. კვაკარდის მონიტორზე ახალი შეტყობინება მოვიდა: „ფასიანი ფიქრებისთვის დეპოზიტიდან ჩამოგეჭრათ 16 კვაზარი. თუ გსურთ განაგრძოთ ფასიანი ფიქრები, ხმოვანი სიგნალის დასრულების შემდეგ განაგრძეთ, თუ არა და შეწყვიტეთ ხმოვანი სიგნალის დასრულებამდე“ და ჩაირთო ხმოვანი სიგნალი: „დარი-დური, დარი-დური, დარი-დარალეეე“...

ზერომ სასწრაფოდ შეწყვიტა ფასიანი ფიქრები და დაწვა უსიზმროდ, უფიქრებოდ და გაუხდელად...

დილით ზერო დარწმუნდა, რომ თვით ეს ყოვლისშემძლე კვაკარდი, ყოვლადმზრუნველი ფულად-საკრედიტო სისტემაც კი არაა უზადო, იმდენად რამდენადაც ქვეცნობიერის დაფარვის ზონაში გაუთვალისწინებელი ავარიებით და შეფერხებებით მუშაობს. ღამით ზეროს კონტროლიდან გაექცა სიზმრები და უნებურად დაესიზმრა, რომ ჩავიდა ქობულეთში, ამოიღო ეს თავისი კვაკარდი, მოავლო ჰაერს, მზეს, ზღვას, შემდეგ შვიდვარსკვლავიან სასტუმროს, კატერს, ბანანს, პარაშუტს, კატამარანს, ტაროებს, შეზლონგს და ქოლგას. მერე რესტორანში შევიდა და ყველა საყვარელი კერძი და სასმელი ერთად შეუკვეთა.

ცისარტყელაც კი ნახა ზღვის თავზე, შიგ გაიფრინა პარაშუტით, თუმცა ამაზე არასოდეს უოცნებია...

დილით დაფეთებული წამოვარდა, ეს რა კოშმარი დაესიზმრა – ყველა ოცნება აისრულა სიზმარში! ვაიმეეე, ეს რა დაემართა! როგორ მისცა თავს ამდენის უფლება, რომ თუნდაც სიზმარში ოცნებები აისრულა! რეტდასხმული წამოხტა და კვაკარდის მონიტორს დახედა. „თქვენ გაგიაქტიურდათ სერვისი „უნებლიე ნისია“ და ანგარიშიდან ჩამოგეჭრათ სერვისის საფასური, 4 კვაზარი, პლიუს ნისიად ნაანახი სიზმრების საფასური 37 კვაზარი. სულ 41 კვაზარი. თუ არ გსურთ სერვისით „უნებლიე ნისია“ სარგებლობა, გთხოვთ ღამით გამორთოთ კვაკარდი. კვაკარდი – თქვენი სიმშვიდის და მატერიალური სტაბილურობის გარანტი! გაიღიმეთ – კვაკარდი თქვენთანაა!“



ზერომ გაიღიმა. „უჰ, 41 კვაზარს კიდევ არაუშავს, გამისკდა გული!“... სამაგიეროდ დღეიდან უკეთესი გახდება, უფრო პატიოსნად იცხოვრებს, უფრო ფრთხილად — ემანდ უნებლიე ნისია არსად შემოე(ნი)სიოს, არაფერი გაეფიქროს, არაფერი მოესურვოს, გაფიქრებაც ცოდვაა, არაფერი შესცოდოს... მე ვარ კვაკარდი, კარდი შენი და არა არიან კარდნი უცხონი...

მოულოდნელად კვაკარდმა ნეტარ ხმაზე დაიტუტუნა, „გლორი, გლორი, ჰალელუია“ შეასრულა. ეს რაღააო, გაიფიქრა ზერომ და გული ჰამაკივით შეუქანდა. „გილოცავთ! თქვენ ჩაგერთოთ სერვისი „გასხივოსნება“ და საჩუქრად დაგერიცხათ დეპოზიტზე ერთი კვაზარი. სერვისის ჩართვის საფასურია 3 კვაზარი. გასხივოსნების განმეორების შემთხვევაში სერვისის ჩართვის საფასურის გადახდა საჭირო აღარაა. კვაკარდი — თქვენი სულიერი განწმენდის გარანტი...“

ტადეუშ დაბროვსკი

ტადეუშ დაბროვსკი ხუთი კრებულის ავტორია და ხუთივე პოლონეთის პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდოებით აღინიშნა, მათ შორის – ჰერბერტ ბურდასა და კოშჩელსკის პრემიებით 2008 და 2009 წლებში, მაგრამ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლონეთის კულტურის ფონდის პრემიაა, რომელიც დიდმა პოლონელმა პოეტმა, ტადეუშ რუჟევიჩმა დააარსა და ლაურეატებსაც თავადვე არჩევს.

მისი ორი კრებული, Te Deum (2005) და „შავი კვადრატი“ (2009), გერმანიასა და შეერთებულ შტატებშიც გამოიცა. ამერიკული გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი და, გამოცემის შემდეგ, ერთ-ერთი პირველი შემფასებელი ადამ ზაგაევსკი იყო, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პოლონელი პოეტი.

ვიკიპედიას თანახმად, მისი ლექსები მსოფლიოს ჩვიდმეტ ენაზეა თარგმნილი; ანუ ქართული, მინიმუმ, მეთვრამეტეა, – გააჩნია, რამდენად ახალია ვიკიპედიას მონაცემები.

ეს ყოველივე, დამეთანხმებით, სერიოზულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს 33 წლის პოეტისათვის, მითუმეტეს, ისეთი მდიდარი პოეტური ტრადიციების ქვეყანაში, როგორიც პოლონეთია.

ტადეუში და მისი მშვენიერი მეუღლე აგნეშკა ერთ უცნაურ რუმინულ პოეტურ ფესტივალზე გავიცანი 2009 წლის ზაფხულში.

ოცამდე ქვეყნიდან ჩამოსული ფესტივალის მონაწილეები მთელი დღის მანძილზე ვიკრიბებოდით ბუქარესტის აეროპორტში, საიდანაც ტრანსილვანიისკენ გაგვამგზავრეს და გრაფ დრაკულას ციხესიმაგრის მახლობლად, პატარა ქალაქ კურტ-დე-არჯესში დაგვაბინავეს. ეს იყო მართლაც უცნაური და სასაცილო ფესტივალი, რომელიც მთლიანად მიეძღვნა ფესტივალის ორგანიზატორის, პოეტ დუმიტრუ იონის მეუღლის, პოეტესსა კაროლინნა ლიკკას საეჭვო პოეტური მიღწევების გამომზეურებას...

მოკლედ, უცნაური და სასაცილო ბევრი რამ ხდებოდა დრაკულას მამულში, შესაბამისად, მე და ტადეუშიც ძალიან ადვილად და, უკვე შეიძლება ითქვას, სამუდამოდ დავმეგობრდით, საფესტივალო ორომტრიალისგან ნებაყოფლობით გავირიყეთ და დიდებული დროც ვატარეთ, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ფესტივალის ორგანიზატორებს და, რაღა დასამალია, გვარიანადაც შევირისხეთ, ოღონდ ეს ცალკე საუბრის თემაა, რისთვისაც, იმედია, ოდესმე მოვიცლი.

მე და ტადეუში შარშანაც შევხვდით კიევის საერთაშორისო პოეტურ ფესტივალზე, ბევრიც ვსვით, აქტიურადაც ვიმეგობრეთ, სასტუმროს ერთ ნომერშიც ვცხოვრობდით, მაგრამ არა: იმდენი აღარ გვიცინია.

ახლა რაც შეეხება თარგმანს, რომლის ავტორიც, სამწუხაროდ, პოლონურის ცოდნით ვერ დაიკვეხნის, თუმცა ვერც იმას იტყვის, რომ ეს ენა მისთვის ჩინურია.

რუსულის მცოდნე და, რაც მთავარია, თანამედროვე პოეზიაში ასე თუ ისე ჩახედული ნებისმიერი ადამიანი განსაკუთრებული ჯადოქრობის გარეშე გაიკვლევს გზას პოლონური ლექსის, სულ მცირე, სტრუქტურულ წიაღში, მითუმეტეს, თუ თითოეული ლექსის ორ-ორი განსხვავებული ინგლისური თარგმანიც უმაგრებს ზურგს. აღარაფერს ვამბობ იმ ფუფუნებაზე, რასაც, საჭიროების შემთხვევაში, ავტორთან პირდაპირი კომუნიკაციის და საჭოჭმანო დეტალების დაზუსტების შესაძლებლობა ქვია.

სწორედ ასე ითარგმნა წარმოდგენილი ლექსები, ინგლისური ვერსიების, პოლონურ-რუსული ონლაინ ლექსიკონისა და დროდადრო თავად ტადეუშის დახმარებით.

მთარგმნელი

* * *

სიტყვა *ვაშლი* არ შეიცავს არანაირ სიმართლეს
ვაშლზე, ისევე როგორც მის ფორმაზე,
სურნელზე, ფერზე
ან გემოზე. სიმართლე არ ჩანს, ვერ დაყნოსავ
და ვერც ჩაკბეჩ. ნათქვამი *ვაშლი* არ იჭმევა.

სიტყვა *ვაშლსა* და ნამდვილ ვაშლს შორის
ხდება ვაშლი. მანძილი სიტყვა *სიკვდილსა* და
სიკვდილს შორის გაცილებით ტევადია, იქ ხდება
სიცოცხლე. ხოლო სიტყვა *სიმართლეს* და სიმართლეს
შორის

ხდება სიკვდილი.

ჭუჭყიანი ფულის გარეცხვა

ყავის აპარატი მიბრუნებს შვიდ ზლოტს,
ანუ მთელ შვიდ ზლოტს. მაგრამ ვის ეკუთვნის
ეს ფული? ვყოყმანობ, მიღირს თუ არ მიღირს
ხელის ხლება, რადგან ის მეძლევა: ა –

სატანისგან, ბ – ღმერთისგან, გ – აპარატისგან.
ჩემს უკან მდგომები არც დაფიქრდებოდნენ.
გადავწყვიტე დავაბრუნო, რაც არ მეკუთვნის,
დანანებით ვუშვებ ხურდებს აპარატში; ისინი ისევ

ჩამოცვივდნენ, თითქოს ზუსტად იგივენი, მაგრამ მაინც
სხვანაირები: ახლა უკვე ზუსტად ვიცი –
მათ მაძლევს ღმერთი.

* * *

ეს პირველი სტრიქონია. მასში არ ხდება არაფერი.
ეს კი მეორე სტრიქონია, სადაც შენ უკვე შენ აღარ ხარ,
ე.ი. ის არ ხარ, ვინც იყავი პირველ სტრიქონში,
ახლა კი უკვე ისიც არ ხარ, ვინც იყავი მეორეში
და მესამეში, მეოთხეში, ისევე როგორც

მეხუთეში. ლექსი ცხოვრებაა, რას აღარ ვაკეთებ,
რათა ვიყო ჩემი თავი ყველა სტრიქონში, რათა მოხდეს
სასწაული
და დავემთხვე ყველა სტრიქონს; ხოლო შენ ამ დროს,
მოგწონს თუ არა, უნდა იცხოვრო გადარჩენა, და

ბოლო სტრიქონში, ვიდრე დასასრული დაიწყება,
გაბედო და მოახდინო შეჯამება, რომლის შინაარსიც
იქნები
შენ. და გადარჩები მხოლოდ მაშინ, თუ აღიარებ,

რომ ეს ლექსიც ღმერთზე იყო. თუმცა ბოლო სტრიქონი
მაინც
დაიწერება მანამდე,
ვიდრე...

* * *

ხელმარცხიანო ღმერთო, შენ მოინდომე გაგეწმინდა
ჩახერგილი მოძრაობა
და ოთხი სატვირთო მანქანა დაიმტვრა. დაცემინებისას

შენ დაგავიწყდა სახეზე ხელის აფარება და
ქარიშხალმა წალეკა
ფლორიდა. ნუ გაგიკვირდება, თუ ზოგი ჩვენგანი

მთელი დღე დადის თავისთავით შენიღბული,
რომ ვერ შეძლო
მათი დანახვა. ზოგჯერ მეც ვშიშობ, დაუდევრობით

არ წამკრა შენი ვეება ცერი
და ცოცხალი არ შემაგდო საიქიოში.

ოდესმე

თუ ვინმეს დაინტერესებს
სიმართლე დროზე, რომელშიც ვცხოვრობ,
მე მას ვეტყოდი:

სწორედ ჩემს თვალწინ სიყვარული
იქცა სექსად, სექსი იქცა
პორნოგრაფიად,
პორნოგრაფია
სიყვარულად.

და შემდეგ ისევ.
სულ უფრო სწრაფად.

* * *

გიხაროდეს, რომ გაქვს სხეული, სხეული, რომელიც
საუბრობს სულის სიკვდილზე.

გამბანე – ითხოვს სხეული, რომელიც წუხელ გაილახა.
გამომრწყე – ითხოვს ფურუნკული, რათა ჩირქმა

სინდისივით ამოხეთქოს. ყოფილიყავი მხოლოდ სული,
ვერც შეამჩნევდი საკუთარ სიკვდილს. ყოფილიყავი

მხოლოდ სხეული, გამოირწყავდი ფურუნკულებს,
თმებს დაიწიწკნიდი,
ტუჩებს დაიჭამდი, თითებს დაიმტვრევდი

და არც იკითხავდი, რატომ.

აგნეშკას

რომ შემძლებოდა შენი ახსნა, ოღონდ არა სატრფიალო
ლექსის ფორმით, არამედ ახსნა, თითქოს იყო გაჩენილი
მხოლოდ ჩემთვის, თითქოს იყო პირველი და ერთადერთი,
ვინც მინახავს, და მეც პირველი, ვისაც შენთვის
შეუხედავს. არ გამომდის. დავიღალე. ყოველი ახსნა
იყო მხოლოდ საკუთარი

ხედვის ახსნა, სმენის, ყნოსვის, შეხების, განცდის
და გემოსი. ვერშეძლება შენი ახსნის
საფასურია, გადახდილი
ერთგულებისთვის.

* * *

რამდენჯერ მოვკვდი ცხოვრებაში – ძნელი სათქმელია,
რადგან ვკვდებოდი სამუდამოდ. დღეს მხარი გავკარი
ტრამვაის და დავინახე ჩემი სიკვდილი: მკვდარი სხეული
გდია ლიანდაგზე, ხოლო თვითონ მივაბიჯებ

ტროტუარზე, ცაცხვის ჩრდილში. ანდა ცხრა წლის წინ,
როცა ბორბლებში ჩავუვარდი ველოსიპედით
მღვდლის პეჟოს, სისხლიც მივანთხიე საქარე მინას,
ნუთუ მაშინაც არ მოვმკვდარვარ? ანდა შვიდი წლის

ბიჭი, რომელიც სახურავის კიდეზე იდგა,
გადარჩენილი უეცარი ძარღვის განასკვით
მარჯვენა კოჭში, განა მაშინ არ დაასკდა მისი სხეული
ასფალტს? მე მახსოვს უამრავი მსგავსი სიკვდილი

და ნუთუ ყველა გამოვტოვე? სავარაუდოდ,
წლების მანძილზე ავდიოდი სასუფევლის სულ უფრო
მაღალ
საფეხურზე. მხოლოდ გვიან მოვიდა შიში,
რომ სიკვდილები დასრულდება. როგორღა მივხვდე,

თუ რა არის ეს სიბნელე – ახლა, როდესაც
დაცემული წამოვდექი და შარვალი ჩამოვიბერტყე,
ეს სიბნელე, სადაც ხეებს აუწვდიათ ფესვები
მაღლა – ჯოჯოხეთია თუ სამოთხე, თუ დეკემბრის
მიწურულის
ნაშუადღევი?

* * *

ეს იკაროსები სულ თავზე დამფრენენ, მე მათ უკვე
ვეღარც ვამჩნევ – ამბობს მხვნელი ისე, რომ მზერას
არც კი წყვეტს მიწას, და არც ხელს – გუთანს.

აქ არ მიყვარს თევზაობა, იკაროსები ებმებიან
ჩემს ბადეში, და მე უნდა გამოვბლანდო წვრილ ნასკვებში
გახლართული
მათი ხელფეხი – ამბობს მებადური. გარშემო ყველა

მფრინავ ადამიანებზე ლაპარაკობს, და მეც ხშირად
ცას ავყურებ, მაგრამ ერთიც ვერ შევნიშნე –
ამბობს მწყემსი. მე ვწერ მათ ნათქვამს

მეტროსადგურის ჩასასვლელთან, წუთის წინ მთვრალი
ძლივს მილასლასდა კიბის პირველ საფეხურამდე

და გაფრინდა.

განსხვავება

ზღვარი კეთილს და ბოროტს შორის არის მტკიცე
და ურყევი. და მკაფიო, როგორც ხაზი,
აი, ამ ფანქრით გავლებული. განსხვავება

კეთილსა და ბოროტს შორის არანაკლებ შთამბეჭდავია,
ვიდრე სხვაობა ცემინება-ხველებას შორის.

ლექსის წერისას ცემინება მომეძალა და სწორედ ამ დროს
ზარი დარეკა მამაჩემმა, მე კი ისე შემეშინდა,
რომ ფანქარი შემომატყდა, და ნაცვლად დაცემინებისა–

დამახველა. განსხვავება კეთილსა და ბოროტს შორის
ისეთივე აშკარაა, როგორც სხვაობა

საფუძვლიან და უსაფუძვლო
შიშებს შორის.

ორფევსი და ევრიდიკე

ყოველდღე გიგზავნი ელექტრო-წერილებს,
სადაც გიამბობ
ჩემს შესახებ, ყველა წერილს ვასრულებ თხოვნით: თუ

მართლა ხარ და თავს გრძნობ კარგად,
ნუ მიპასუხებ.

თარგმნა ზვიად რატიანმა

დათო ქარდავა

მტკვარი და მისი არქიპელაგი

დასასრული

ცხადია, ვანქი გამონაკლისი არ ყოფილა. მტკვრის ორივე სანაპიროს მთავარ კვანძებზე ქარვასლების, ხიდების თუ ძველი ქუჩების აღებით, მნიშვნელოვნად განიძარცვა ქალაქის ისტორიული უბანი. არაფერს ვამბობთ, ძველი თბილისის ტიპური მჭიდრო და სტიქიური განაშენიანების მოშლაზე, რასაც ბოლომდე მისტიროდა თავის მოთხრობებში ძველი თბილისის ერთ–ერთი უკანასკნელი მეხოტბე არჩილ სულაკაური, რომელსაც ცხოვრების ყველაზე ძვირფასი ბავშვობის წლები მტკვრის პირას ჰქონდა გატარებული:

„როგორ ვიფიქრებდი, თუ ოდესმე მე თვითონ დავანგრევდი იმ სახლს, სადაც ბავშვობისა და ყრმობის წლები გამიტარებია. ჩუღურეთი მეტწილად მეწისქვილეთა და მეთევზეთა უბანი იყო. ბუნებრივია, მეწისქვილენი და მეთევზენი მდინარის პირად უნდა ყოფილიყვნენ დასახლებულნი და ჩვენი უბანიც მტკვრის მარცხენა ნაპირს მიუყვებოდა. ყოფილი ვორონცოვის ხიდიდან მუხრანის ხიდამდე. სახლი, სადაც ვცხოვრობდი, მტკვარს გადაჰყურებდა, აივნები მტკვარზე ეკიდა. ...ინგრეოდა ძველი სახლი, ჩემი ბავშვობის ბუდე... მის კედლებში მალე დაინთქმეოდა უდარდელად, უზრუნველად გატარებული დღეები. გული მეკუმშებოდა: ჩემშიც ირღვეოდა რაღაც...“

ძველი თბილისი, რომელსაც არჩილ სულაკაური მისტიროდა, ვიღაცისთვის უბრალოდ დაბრეცილ, რიკულებჩამოცვენილ აივნებიან, ჭუჭყიან შუშაბანდებიან, ჩანგრეულ კიბეებიან და ნესტიან კედლებიან შენობათა გროვა იყო. რატომღაც ანგარიშში არ მიიღებოდა ამ შენობათა სიძველე, რაც ყველა მნიშვნელოვანი ქალაქის ერთ–ერთი უმთავრესი სამკაულია. სწორედ სიძველის მნიშვნელობის შესახებ წერდა ჯერ კიდევ 1919 წელს ცნობილი ქართველი მხატვარი დავით კაკაბაძე ესეში „ძველი ტფილისი“, რომელიც ჟურნალ „შვიდი მნათობის“ აპრილის ნომერში გამოქვეყნდა:

„სიძველის ფაქტურას ქმნის დრო, რომლის მიზეზით ყოველივე ფორმის გარეგანი გარსი იცვლება. სნორედ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ნამდვილი ძველი საგანი ყოველთვის განირჩევა ახალი მისი მიბაძვისაგან. ფაქტურის სახის შესწავლა და დაკვირვება არასდროს არ შეაცდენს ადამიანს ძველი და ახალი საგნების გარჩევაში.

წმინდა მხატვრული გრძნობის გარდა სიძველისადმი სიყვარულს ჩვენ გვკარნახობს წარსული ცხოვრების და კულტურის ცოდნა. ჩვენი წინაპრების სული კიდევ დარჩენილია სხვადასხვა ნაშთებში, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. სიძველის ნაშთებში ჩვენ ვკითხულობთ წარსულის ცხოვრებას.“

დაკარგული მდინარის ძიებაში

„წადი, იარე, გზა ულევია,
ბოლოს მაინც აქ იპოვნი ბუდეს.
ვისაც მტკვრის წყალი დაულევია,
გულიც საყვარელ თბილისში უდევს“.
ვარლამ ჟურული, „ჩემო თბილისო!“

ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქციამ, სიძველის ხელყოფის გარდა, სხვამხრივაც დააზარალა თბილისი. სანაპიროების გამჭოლ მაგისტრალებად გადაქცევას გენერალური გეგმის შეცდომად მიიჩნევდა არქიტექტორთა ნაწილი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს. 1988 წელს გამოცემული „საბჭოთა საქართველოს არქიტექტურის“ ავტორების თენგიზ კვირკველიასა და ნოდარ მგალობლიშვილის აზრით, ოდესღაც მტკვარი ქალაქის არქიტექტურულ–კომპოზიციური ღერძის როლს ასრულებდა და, ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ქალაქიც ღია (გახსნილი) იყო მდინარის მიმართ, თუმცა ვითარება მკვეთრად შეიცვალა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ქალაქმა მდინარეს საბოლოოდ შეაქცია ზურგი. მართალია, სანაპიროს კეთილმოწყობისას, გაჩნდა იდეა მოწყობილიყო კალაპოტის გასწვრივ მწვანე ზოლი, რომელშიც სოლივით შეიჭრებოდა ასეთივე მწვანე ზოლები ცენტრალური რაიონებიდან, მაგრამ ეს იდეა მალევე იქნა უარყოფილი, რადგანაც მთავარ ამოცანად დაისახა სატრანსპორტო პრობლემის გადაჭრა და შესაბამისად თბილისელებს კვლავ მოეჭრათ გზა მდინარემდე, რომელიც, მოგეხსენებათ, ქალაქის ღერძის გასწვრივ მიედინება:



„მდინარე მოწყვდეულია უღიმღამო ბეტონის ვარცლში და ამოვარდნილია ქალაქის ცხოვრებიდან ავტომაგისტრალებით. ეს მაგისტრალები ვითარდება და ივსება მრავალდონიანი სატრანსპორტო კვანძებით, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტად აშორებენ ქალაქელებს მდინარის აუზს. უკვე ძალიან ბევრი დაიკარგა, მაგრამ ჯერაც არაა გვიანი ნაწილობრივ მაინც დავუბრუნოთ ქალაქს წყლის სივრცე, რომელიც ეგზომ აუცილებელია ქალაქმშენებლობის, ესთეტიკის, კომფორტისა და ჰიგიენის ფაქტორების გათვალისწინებით.“ („საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა“ ავტ. თ. კვირკველია, ნ. მგალობლიშვილი)

წიგნის ავტორთა აზრით, მდინარეზე უნდა გამოდიოდეს უპირატესად სასტუმროები, თეატრები, ღია ესტრადები, კინოთეატრები, სპორტული დაწესებულებები, რესტორნები და, რა თქმა უნდა, ხარისხიანად ნაგები საცხოვრებელი სახლები. ძნელი დასაჯერებელია, რომ მტკვარი, რომელიც ასეთი თვალწარმტაცია მცხეთასა და ავჭალაში, თბილისის ტერიტორიაზე ხელოვნურ არხად აქციეს. აკი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვითაც, „მდინარე“ ეწოდება ბუნებრივ კალაპოტში მდინარე წყალს! არადა, ვიდრე გრანიტის აკვანში ჩააწვენდნენ და მოდარაჯე ცერბერებად ავტოსტრადებზე მგრგვინავ მექანიკურ მონსტრებს დაუყენებდნენ, მტკვარი ყველასი იყო. მისი მღვრიე წყალი, მისი სიგრილე, მისი ტალღების თამაში და დუდუნი იზიდავდა ყველა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის თბილისელს. მტკვარი იყო თბილისელი ბიჭების საყვარელი ადგილი:

„ჩვენი მდინარე არც დიდი იყო და არც – პატარა, თუმცა ჰქონდა საკმაო ზომა იმისათვის, რათა აღენიშნათ მსოფლიო რუკებზე. იწყებოდა ძალიან შორიდან და შორეთშივე მიედინებოდა. მისი სათავე, შენაკადები, ისევე როგორც იმ ზღვასთან შესართავი, რომელშიც ჩაედინებოდა, უცხო იყო ჩვენთვის. მხოლოდ იმ ადგილიდან იყო მშობლიური, საიდანაც შემოდიოდა ქალაქში და ასეთად რჩებოდა, ვიდრე გასცდებოდა მის ფარგლებს. ტკივილამდე მშობლიური იყო მისი სურნელი, ფერი და ხმაური. მდინარე დატანილი იყო მსოფლიო რუკებზე, თუმცა ჩვენ მონაკვეთზე მას თავისი საკუთარი გეოგრაფია ჰქონდა: კუნძულები და ყურეები, ნახევარკუნძულები და მისადგომები, ფლატეები და რიყეები... მისი სათავე ისევე შორეულად, არარსებულად გვეჩვენებოდა, როგორც წინაპრები, ხოლო გაგრძელება ისევე არაფერს გვეუბნებოდა, როგორც არაფერს გვეუბნებიან შორეული შთამომავლები. ვცხოვრობდით აწმყოთი – მდინარის ჩვენი ნაწილით. თავად მდინარეც იცვლებოდა აქ, იცვლებოდა მისი განწყობა, მისი დამოკიდებულება ჩვენდამი. ...ნაპირებს მიუყვებოდა სახლების, ეკლესიებისა და სახელოსნოების მწკრივი. იქვე იყო სამხედრო კომისარიატი და პარფიუმერიის ფაბრიკა. მდინარის ზედაპირს დასჩერებოდა ათასობით მილი – თითივით წვრილიდან დაწყებული, გვირაბივით მსხვილით დამთავრებული. ამ მილებიდან, ქალაქის განწყობის მიხედვით, მდინარეში სხვადასხვა ნივთი ცვივოდა. ჯღანები, ძონძები, მოშლილი ნავთქურები, ძირგავარდნილი სათლები, ბოთლები, მთლიანი კარადაც კი... ამ ნივთების ნაწილი თან მიჰქონდა მდინარეს, ნაწილი კი ილექებოდა ფსკერზე, რომელიც სავსე იყო იდუმალებით! რამდენი საიდუმლო ინახებოდა იქ! მჯეროდა, რომ ფსკერზე იყო არა უვარგისი ნავთქურები და სათლები, არამედ ჯადოსნური საგანძური, არნახული სამყარო გახვეული ზღაპრულ იდუმალებაში.“ (აგასი აივაზიანი, „მდინარის ჩვენი ნაწილი“)

მტკვარს უსმენდნენ, ელაპარაკებოდნენ, ჭირსა და ლხინს უზიარებდნენ და მტკვარიც თანამონაწილე იყო თბილისელთა მწუხარებისა თუ სიხარულისა. ვის არ უსაუბრია მტკვართან? ვის არ უკითხავს მტკვრისათვის რჩევა? „მისმინე აჯა, მისმინე, მტკვარო!“, მიმართავდა ილია ჭავჭავაძე. მტკვრის დუდუნს მიყურადებული ნიკოლოზ ბარათაშვილი კი მრავლისმნახველი მდინარის გულისნადების გაგებას ცდილობდა:

„ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ,
ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ,
მაგრამ ხარ უტყვი!..“

ცხადზე ცხადია, რომ მტკვრის წყალი (როგორც ლადო ასათიანი იტყოდა „მტკვარი მღრიე და მტკვარი ანკარა“) უფრო მეტია, ვიდრე ქიმიური ნივთიერება ფორმულით H_2O. სხვა შინაარსი და სხვა მაგია აქვს ამ მღვრიე წყალს, რომელსაც, თუ იაკობ მანსვეტაშვილს დავესესხებით, თვით წმინდა არაგვიც კი ვერაფერს შველის:

„დიდი ბრძოლა აქვს არაგვს, რომ გაწმინდოს მტკვრის სიმღვრიე. მაგრამ ვერას ხდება, მტკვარი სძლევს და წმინდა, ანკარა არაგვის წყალს შთანთქავს თავის სიმღვრიეში.“ („მოგონებანი, ნახული და გაგონილი“)

ალბათ, კლდესთან შეხამებულ მის ამ სიმღვრიეშია ჩაკარგული მტკვრის მიმზიდველობის ამოუხსნელი საიდუმლო, რომლის მაგია თუ სიძლიერე საკუთარ თავზე გამოსცადა დიდმა ნორვეგიელმა მწერალმა კნუტ ჰამსუნმა. მოგონებების წიგნში („ჯადოსნურ ქვეყანაში. განცდები და ოცნებები კავკასიაში მოგზაურობისას“) ნობელის პრემიის მომავალი ლაურეატი ამბობს, რომ მას შემდეგ რაც წყურვილი ვერ მოიკლა ვერც „მსუბუქი რუსული ლუდით“ და ვერც „კავკასიური ღვინით“, მტკვრის წყალს დაეწაფა:

„დავლიე წყალი მდინარე მტკვრიდან. მაგრამ ეს იყო წმინდა წყლის სიგიჟე. რადგანაც, ცნობილია, რომ ვინც ერთხელ მაინც მოიკლა წყურვილი მტკვრის წყლით, მას სამუდამოდ დატანჯავს კავკასიის მონატრება და ის მუდამ ეცდება უკან დაბრუნებას“.

წიგნი ასეც მთავრდება:

„...მალე ჩვენ დავტოვებთ ამ მხარეს. მაგრამ მე მუდამ ვინაღვლებ მასზე და მუდამ შევეცდები აქ დაბრუნებას, რამეთუ მდინარე მტკვრის წყალი მისვამს“.

კნუტ ჰამსუნის ამ მოგზაურობიდან საუკუნეზე მეტი გავიდა. რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. მათ შორის მტკვრის წყალიც, რომელიც მასში მოხვედრილი კომუნალური თუ სამრეწველო ნარჩენების მაღალი კონცენტრაციის გამო, კარგა ხანია, არ დაილევა, თუმცა, ცხადია, ეს არაა მტკვრის ერთადერთი პრობლემა. მტკვარი კვლავინდებურად ასრულებს სანიტრის როლს – მის გასწვრივ მოძრავი ჰაერის ნაკადი კვლავ უწყობს ხელს სმოგით გაჯერებული ჰაერის განიავებას და მტკვრის მღვრიე ტალღებსაც კვლავ მიაქვთ გაზრდილი ქალაქის კალთებიდან ჩამორეცხილი ჭუჭყი თუ სხვა სახის ნარჩენები, მაგრამ... სულ ესაა და ეს! სხვა მხრივ, მტკვარი გამქრალია თბილისის ყოველდღიურობიდან! გადამალულია თბილისელებისთვის! მას ვერ ხედავენ და მისი არ ესმით! არადა, რომ არა 4–5 მეტრი სიმაღლის გრანიტის კედელი და სანაპიროზე მქროლავი მექანიზმების უწყვეტი ხმაური, აუცილებლად გავიგონებდით მტკვრის დუდუნსა და ტალღების შხუილს თუ არა, გაბმულ სტვენას მაინც. აქ ძნელია არ გაგვახსენდეს ფრანგმენტი არჩილ სულაკაურის „ჩუღურეთული მოთხრობებიდან“:

„შუადღის ზარმაცი თვლემა გაბმულმა სტვენამ შეაშფოთა. ასეთი სტვენა იმას ნიშნავდა, რომ მტკვარზე რაღაც სახიფათო ამბავი ხდებოდა, ან კაცი იხრჩობოდა, ან მტკვარს მოჰქონდა ისეთი რამ, რისი გადარჩენაც ღირდა, სახეირო იყო.“

კარგად მივაყურადოთ. მტკვარს სწორედ ახლა მოაქვს ისეთი რამ, რისი გადარჩენაც ყველაზე მეტად ეგების: მტკვარი თავად სტვენს, გადარჩენას ითხოვს!

ერთხელ ედგარ პოს უთქვამს, პოეზია იმიტომ არის შესაძლებელი, რომ სიზმარი არსებობსო. მსგავსი მიმართება აქვთ თბილისსა და მტკვარსაც. თბილისი იმიტომ არის შესაძლებელი, რომ მტკვარი არსებობს. რომ არა მტკვარი, არ იქნებოდა თბილისიც! აკი, გიორგი ლეონიძესაც შეუმჩნევია:

„იქ, სადაც შენი მტკვარია,
სიცოცხლე სანუკვარია“.

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული**

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com